№5 (17)-2017

ᲠᲝᲓᲔᲝ



მარი (მზევინარ) ბიბილური

ემიგრანტ ქალს

როგორ არ დავწერო ემიგრანტ ქალებზე,
როგორ არ ვილოცო მათზე,
მიდიან, ტოვებენ სამშობლოს, ოჯახებს
და მათთვის იბრძვიან სულ წინა ხაზზე.
მანდილით იცავენ ჩვენს ბედკრულ სამშობლოს,
ზურგს ადევთ ოჯახის ტვირთი,
შვილების ზრუნვაში ათევენ ღამეებს,
დრო გადის დარდსა და ფიქრში.
ღიმილი სახეზე, ქალური სინაზე,
გული კი უდროოდ მკვდარი,
ერთ დროს ქართველი ერის სიამაყე,
დღეს - მონა ქართველი ქალი,
გვიშველეთ, კაცებო,
აიკართ ფარ- ხმალი,
გამოდით, რა ხდება, ხედავთ?!
ქალი დაიცავით, ქალი დაიცავით,
შვილებს დაუბრუნეთ დედა.
მტკივხართ,
მედარდებით, ამაყო ქალებო,
მამაცნო, ერთგულნო, გმირებად შობილნო,
გამოდით ქართველნო, ქართველო კაცებო,
ვაჟკაცის სახელი, გთხოვთ, არ შეირცხვინოთ.
იბრძოლეთ, იომეთ სიცოცხლის ტოლფასად
და ქალი სამშობლოს, ოჯახს დაუბრუნეთ,
თორემ საცოდავად ვწყდებით სხვის მიწაზე,
სიკვდილი, ულმობელი, გულში ისადგურებს.
საფლავებს დაგიკოცნით ტანჯულ ემიგრანტებს,
სიკვდილმა შვილების ნახვაც არ გაღირსათ,
გული მიკვნესის და სული მეტანჯება,
უფალო, დაგვეხმარე,
უფალო,
დაგვიცავ!!!!

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

ირაკი

ჟურნალი გამოდის
2016 წლის იანვრიდან,
გამოსცემს სამცხე-
ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

№5 (17) - 2017

რედაქტორი – ***მერაბ ბერიძე***

მოადგილე – ***მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე***

სარედაქციო საბჭო: ***გიორგი ბუცხრიკიძე***
ლია ზაზაშვილი
ვახტანგ ინაური
მალხაზ ლომსაძე
ვასილ მამულაშვილი
ლერი ნოზაძე
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, *თბილისი*
რეზო შეროზია, *ზუგდიდი*
ნესტან ფიფია, *ზუგდიდი*
ზაირა კეღოშვილი, *ათენი*
ნუგეშა გაგნიძე, *ქუთაისი*

უცხოეთთან თანამშრომლობის
ბიურო: ***ლალი ბერიძე***
მაია ქუქჩიშვილი

მხატვრები: ***ზაალ სულაკაური***
ლელა ფერაძე
ნანა ყორანაშვილი

ჟურნალის ამ ნომერში გამოყენებულია ***რევაზ ინანიშვილის*** *ჩანახატები, რომელიც მოგვაწოდა ელისო კოხტაბელადიშვილმა.*

მდივანი – ***ზაირა გელაძე***
მენეჯერი - ***ნონა საანიშვილი***

საგამომცემლო ჯგუფი: ***ლია ზედგინიძე***
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017
ISSN 2346-836X

პოეზია

ალეკო ღონღაძე

ალეკო ღონღაძე პროფესიით მხატვარია. ლექსების წერა კი, როგორც თვითონ ამბობს, გვიან, 40 წლის ასაკში დაიწყო. წლების განმავლობაში ალეკო ღონღაძის ლექსები, ნოველები და ჩანახატები პერიოდულად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. გამოცემული აქვს პოეტური კრებული „მოხუცებული ბიჭი“.

***

გალაკტიონს კარგად ვიცნობდი, ბევრჯერ შემიყვანიაო სახლში ნასვამი, კიბეზე მწოლიარე, – მომითხრო ერთხელ მოხუცმა გალაკტიონის ეზოდან

ჰოი, ცხოვრებაო, მუხთალო,
ქარო, თმაგაშლილო, ჩადექი!
- კიბეზე ნუ წევხარ, გაცივდები,
ადექი, გალაკტიონ, ადექი, –
მიყვება მოხუცი ქალბატონი, –
ასე შემყავდაო სახლში,
ლოთი იყოო, უბედური,
ჭაღარა შეპარვოდა ხმაშიც...
ყინავდა ამორძალთა კაბარეში,
გუმბათებს შელეწვია წლები,
- ხომ არ შეგაჟრჟოლათ, სამარეში?
ადექით, თქვენს მაგივრად ვწვები...
ზარები დაარისხეს გრიგალებმა,
სული პანაშვიდებს დაესწრო...
გაბახდა გულწრფელი მწუხარება,

- ხომ არ გავთავხედდი, მაესტრო?
გულქვა ირონიავ, წუთისოფლის,
(მწარე გახსენება ცეცხლობს),
ლოთიო,... არც მეტი, არც ნაკლები, –
სიტყვა შხამიანი მეცნო!..
ჰოი, ცხოვრებაო, მუხთალო,
ქარო, თმაგაშლილო, ჩადექი!
საფლავში ნუ წევხარ, გაცივდები,
ბატონო გალაკტიონ, ადექი!..

დუმს სატევარი

ჩაჟამებულა მუხის კედლები,
დროის ობობა ძველ სიზმრებს ხედნის,
თიხის ქოთანში ფშვინავს სიჩუმე –
მარადიული ჟამთასვლის ხვედრი...
ჩაჟანგებულა წარსული ქოხში,
დიდედას ნოხზე ბატონობს ჩრდილი,
თირის ბუხარი ამთქნარებს მძიმედ
და საუკუნე მთვლემარედ ჩივის...
მიჰქრიან წლები ბედის ტრამალზე,
გადათქერილა ბავშვობის ველი,
დუმს სატევარი, როგორც მწევარი
და პაპაჩემის ბრძანებას ელის...

მზად ხარ

გულს კვლავ ფიქრებით თრგუნავს...
გააფთრებული ლომი –
წუთისოფელი ბრუნავს,
ყრუ ბედისწერის მდომი...
გადაფასების დროა,
წლებს ვინ აწონის მისხლით?
მალე ზამთარი მოვა –
დაგუბებულა სისხლი!
მიდის თაობა, ქრება
და ცოტავდები უხმოდ,
მოდის სხვა დროთა წყება,
უჩვეულო და უცხო...
და ზედმეტობის სუსხი
გულ-გვამს ღველფივით გიწვავს,
ზეცას უმზერდი გუშინ,
დღეს აკვირდები მიწას.
ფიქრი მიფრინავს მაღლა,
სულში მოძვრება იჭვი,
სურნელს ვეღარ გრძნობ ქალის,
წაგსვლია ტრფობის ნიჭი!
ცივ გულგრილობის ნოტებს
ფანტავს მიდამო ქარში,
სულში ბავშვივით გოდებს
სასოწარკვეთის მარში!
დაგიკაკუნებს კარზე
სიკვდილი, ჩვეულ ნიჭით
და გაფრენისთვის მზად ხარ
მოხუცებული ბიჭი...

მიკროსამყარო

არ გაადიდოთ,
გევედრებით,
არ გაადიდოთ
მიკროსამყარო
პომპეზური
ქება-დიდებით,
თორემ... მაშინვე,
უსათუოდ,
გავთავხედდებით,
ცოდვილი თავი
გვეგონება
უფრო დიდები...

პირამიდებთან

ფიქრით მოვივლი ძველ პირამიდებს,
ქვიშამ ვერ მალა ქართა ომები,
ათასწლეულის მდუმარებიდან
მესალმებიან ფარაონები...
იმსხვრევა წელში დროთა სიმძიმე,
იქ მუმიები ჯიუტად დუმან,
მზე საჰარაზე ისე ცახცახებს,
როგორც ლანგარზე — ცხვრის მსუყე დუმა.
ჩასძინებიათ საუკუნეებს,
ქალის ძუძუს ჰგავს ნილოსის უბე
და სპირალივით გავარვარებულ
ქვიშაზე მხოლოდ დუმილი სუფევს!

* * *

შეიცხადებენ...
მოჰყვებიან კვნესას და ოხვრას,
მერე მდუმარედ გაჰყვებიან
ჩუმ პროცესიას,
„შევიწყალოთო“, —
გრძელ სეფასთან იტყვის თამადა,
„შესვითო ყველამ,
რა ვქნათ, ძმაო, ძველი წესია...“
ჭრა აქვს ღვინოს და
სუფრა უკვე მოლხენას ბაძავს,
გამოხრულ ძვლებთან
ავად ღრენენ ზორბა ძაღლები,
მხოლოდ ძველ ოდას
ძველებურად აცვია ძაძა,
„რა კაცი იყო?!“ —ქანაობენ
მთვრალი მძახლები.
... საფლავის ბორცვთან,
შუაღამით,
ნეკერჩხლის ტოტზე
იკივლებს ჭოტი —
ბედისწერის ჭროღა ნათლია,
ტყუილად ეძებთ, ვერ იპოვით
აქ მომგონებელს,
აქ ცრემლები და დავიწყება
ერთად მარხია...

იმერეთი... პატარა ქალბატონო!

რა ცეცხლი გინთია
მაგ მაყვლის თვალებში,
პატარა ქალბატონო, —
ამ გულის პატრონო,
შენს გაზრდას, ხელადით
ჭის წყალი შემასვი...
— მობრძანდით, ბიძია,
ახლავე, ბატონო.
— ვისი ხარ, ასეთი
ლაღი და კენარი,
წერწეტი, ვით ალვა
საამოდ მხევარი,
პატარა ქალბატონო,
ამ გულის პატრონო,
შენს გაზრდას, მაგ კოკით
მირონი შემასვი,
— ახლავე, ბიძია,
მობრძანდი, ე, მასე...

მხატვარი - რევაზ ინანიშვილი

* * *

„პოეზიაში ვარ უდიდესი
და ცხოვრებაში გზააბნეული...“
ტერენტი გრანელი

ოდესღაც,
კარგი მხატვარი ვიყავ,
გადამავიწყდა
ყალმის მოსმანი,
ამ ცხოვრებაში
მარტოსული ვარ,
პოეზიაში ვარ
ფიროსმანი.

მანძილი

თანდათან ქრება მანძილი,
მიმზერს მაცდურად ძელი...
თოკის გაფსკვნაა ადვილი,
ჩამოკიდება – ძნელი.

მთვარის ნარქენი

ბულულზე ვიწექ გულაღმა,
ჭოტი გულმკვდარი კიოდა,
პირველ სიყვარულს ვტიროდი,
მთვარის ნარქენი მტკიოდა.
ცრიატ ვარსკვლავებს ვმწყევსავდი,
ცა მადგა დიადოსანი,
სამყარო ხელში მეჭირა,
ვით აკვნის კრიალოსანი.

ანყურთან

დაღარულ გორებს ულონოდ თანგავს
დასიცხულ გნოლთა მჭახე კაკანი...
ამაყად ჰყვება წარსულის ამბავს
აქ დარწეული გმირთა აკვანი.
ციხის კედელთა ჟანგისფერ პერანგს
ხავსად ატყვია სისხლი შემხმარი,
ვდგავარ ბექობზე, საუკუნეებს
ენით უთქმელი გრძნობით შევხარი!
ქარი ვერ ფარავს გიჟურ ყიჟინას,
სულში თახთახებს წარსულის ვალი
და მეჩვენება, რომ გოდოლს მოსწყდა
ბექა ჯაყელის საჯიშე ქალი.

პოეზია

ცირა ბარბაქაძე

თბილისის ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, სემიოტიკის კვლევითი ცენტრის დირექტორი, პოეზიის კლუბის ხელმძღვანელი ილიას უნივერსიტეტში.

გამოცემული აქვს პოეზიის ხუთი კრებული: „ტკივილიდან რწმენამდე“ - 1996; „გამოაღეთ სარკმელი“ - 2003; „დუმილის ამბები“ - 2008; „უცხო ქალაქი“ - 2011; „დღესასწაული“ - 2016; „საბას“ ნომინანტი 2012 წელს. თარგმნილია: გერმანულ, ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, თურქულ და უკრაინულ ენებზე.

***

არ ვარჩევ, ხან მზეა და ხანაც ავდრები -
ხან ცივი ქარი და ღრუბელი მაბრაზებს,
ყოველდღე გამთავრებ, არასდროს მთავრდები,
სად ვდიო ხელისგულს და ბედის ნახაზებს...
ვერასდროს შეურჩევ სიყვარულს ამინდებს,
ვერაფერს დაგეგმავ, შენ, ჩემო ბატონო,
და ვისაც არ სჯერა, გავთვლი და გავიდეს,
მე ვრჩები... სუსტებმა ეს სცენა დატოვონ!

***

შორიდან გიყურებ: წამშალე ლექსიდან,
წამშალე გულიდან, დაბინდე გონება,
მერე კი მოდექი, დამშალე, თუ გინდა,
იქსად და იგრეკად, ალფად და ომეგად.
დამშალე ცეცხლად და ჰაერად დამშალე,
და ვნახოთ, რომელი აღდგება ორიდან,
წამშალე გულიდან, ჰო, მიდი, წამშალე,
მე კი დავდგები და გიყურებ შორიდან...

შენა ხარ ტალღები, ნაპირს რომ ასკდება,
და არის სულერთი, საითაც მიყავხარ,
და იცი, ყოველთვის ჩემთან რომ მარცხდები,
რადგანაც მომკალი და მაინც მიყვარხარ.

***

ნუ გაჩერდები,
როცა არ იცი, საით წახვიდე,
მდინარეებს ჰკითხე და გეტყვიან,
როგორ ისწავლეს სიარული...
მათ ყოველთვის ზუსტად იციან,
საით გაკვალონ...
ნუ გაჩერდები...
შენს თავს მიჰყევი და
ფონს გაგიყვანს...
და ეს სამყაროც
იქით წამოვა,
საითაც წახვალ...
ვარსკვლავივით აგედევნება...
და შენი სუნთქვის თანამგზავრი
ურჩი ქარებიც
ჩადგებიან,
რადგან ქარებიც...
მხოლოდ უძრავ საგნებს ერჩიან...
ნუ გაჩერდები...
არცერთია ბოლო სადგური
და ვერსად ჩახვალ...
ნუ გაჩერდები...
მგზავრი იყავი აქამდე და...
ახლა კი – გზა ხარ!

***

მე ვერ გხედავდი, მაგრამ ყოველთვის,
ვგრძნობდი ფიქრების ფიქრთან შეხებას.
ყველა სტრიქონი შენი გზა იყო
და სულ ვიცოდი, ერთხელ... ერთხელაც
რომ მოხვიდოდი ასე... სიზმარი,
ისე უბრალოდ, როგორც სინათლე,
მე მაპატიე, რომ ბრმა ვიყავი,
რომ მე აქამდე ვერ დაგინახე...

***

როცა ყველაფერს ხელი გაუშვი,
როცა თქვი: დაე, იდინოს ყველაფერმა თავისი ნებით,
როცა კარი გააღე - მომსვლელებისთვის და წამსვლელებისთვის...
ადამიანები იქცნენ ამინდად...
მათ არ შეუძლიათ დიდხანს დარჩენა,
მოვლენ და წავლენ...
ისინი ყოველთვის გარბიან...
მათ ყოველთვის ეჩქარებათ სადღაც...
ყველაფერი ამინდივით ცვალებადია...
როცა დედამიწაზე ცხოვრობ, ამინდს ვერ ამოირჩევ -
ვერ იტყვი:
მზიანი დღე დარჩეს და ნისლიანი - წავიდეს.
ან თოვლი დარჩეს და წვიმა - წავიდეს...
მათი ბუნება ცვალებადია...
შენ, უბრალოდ,
მაყურებელი ხარ...
სცენარს ვერ შეცვლი...

სიყვარულის განმარტება სტუდენტების ენაზე

სიყვარული - არჩევითი საგანია,
სავალდებულო არ არის...
და როცა მისი საათები სავალდებულო საგნის საათებს ემთხვევა...
შენ აკეთებ არჩევანს...
სავალდებულო არ არის არჩევითი საგანი აირჩიო...
სავალდებულო სუნთქვაც არ არის...
მერე რა...

***

არაფერი ეშველება მონატრებას –
არც შეკრული, არც გახსნილი გზები...
ყოველ ღამით მზის სხივივით მომაკლდები,
ყოველ დილით მზის სხივივით გხვდები...
მერე რა, რომ ხელისგულზე ჩამეძინა -
დავასვენე გადაღლილი ფრთები...
მერე რა, რომ ზღაპარია ყველაფერი:
ინათებს და სიზმარივით ქრები...

***

კი, ცარიელია ფურცელი, მაგრამ მეტყველი,
როგორც შენი ხელისგულები,
რომლებშიც ვცხოვრობ...
ვიღებ სიტყვებს ჩვეული და ახალი მნიშვნელობებით
და აქ ვასახლებ - სუფთა ფურცელზე.
საჩვენებლი თითით მივუყვები შენი ბედის ხაზებს და
ტექსტად ვაქცევ...
შენ მეუბნები, რომ მე სულ აქ ვიყავი:
აი, აქ: შენი სიცოცხლის ხაზის გადაკვეთასთან...
მერე გზიდან გადავუხვიე.... ბევრი ვიარე...
ბოლოს მაინც იქ მოვედი, საიდანაც წავედი...
შენს ხელისგულებში ჩემი ისტორიაა,
რომელშიც ვცხოვრობ...
მე ვცვლი შენს ხელისგულზე ბედის ხაზებს,
აი, ისე: როგორც მეისრე მატარებლის ლიანდაგებს...

შენ სულ იცინი, რადგან იცი,
რომ ყველა გზა შენს ხელშია...
რადგან ის, გზების შემქმნელიც,
შენს ხელშია...

***

უშენობის გადატანის სერვისები
ყველა ვსინჯე, რაც კი მოდის ადამიდან,
გაზაფხულზე მეც ზღვასავით შევივსები,
სხვა ნაპირზე ვერასოდეს გადაგიტან...

***

შენა ხარ ჩემი წარსული,
მომავლის სამოსახლო ხარ,
სულ ცხრა მთას იქით წასული
მაინც ამ გულზე ახლოს ხარ...

ირმა შიოლაშვილი

პოეტი, ჟურნალისტი, დაიბადა 1974 წელს დედოფლისწყაროში. ლექსებს წერს და აქვეყნებს ადრეული ასაკიდან. არის ექვსი პოეტური კრებულის ავტორი. 1993-1998 წლებში საქართველოს საზოგადოებრივ არხზე მიჰყავდა გადაცემები თანამედროვე ქართულ მწერლობაზე, 2002-2004 წლებში იყო დილის საინფორმაციო პროგრამა „ალიონის“ სპეციალური კორესპონდენტი გერმანიაში. 1999 წლიდან ცხოვრობს გერმანიაში და ქ. ბონის რეგიონული რადიოს ეთერში უძღვება გადაცემებს საქართველოზე. ეწევა ასევე პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული და გერმანული პოლიტიკური ლირიკა”. მისი ლექსები შესულია არაერთ გერმანულენოვან ანთოლოგიაში და თანამედროვე გერმანულ ლიტერატურულ გამოცემებში. ლექსები თარგმნილი და წიგნად გამოცემულია ასევე რუსულ და გერმანულ ენებზე.

2007 წლიდან არის ევროპელ ავტორთა გაერთიანება „Die Kogge “-ს წევრი.

მას მერე მჯერა, ღმერთო

ყოველ კვირა დღეს, როცა ჩემი სიტყვებისგან აშენებულ
ტაძართან ვდგავარ,
ვფიქრობ ხიდზე, ჩვენ შორის რომ გადებულა, ღმერთო.
ყველა ხიდი დაიწვება ამ ხიდის გარდა.
არადა, მოხდა, - დიდი ხნის წინ ცეცხლი შეუნთეს
სათითაოდ ყველა სიტყვის პირველ ბგერას
და ელოდნენ, რომ ტაძრის კედლებს
საძირკველი სანთელივით დაუდნებოდათ.
მაგრამ თითოეულ სიტყვას ეყო ბრძოლის ძალა,
აწრიალდნენ ხმოვნები და თანხმოვნები,
პირი შეკრეს და ჟანგბადი ამოახველეს
და გადავრჩი, და გადარჩა ყველა კედელი.
მას მერე ვდგავარ გულუბრყვილო ბავშვივით და
ყველაზე მეტად მჯერა შენი სიყვარულის, -
ჩემში მილიონ აყვავებულ სიტყვად რომ ჩარგე.

13 წელი

შეხედე, სარკე შევიძინე, ახალი სარკე შევიძინე,
ამ სარკეში გამოჩნდება შენი პროფილი
და შენი სიყრმის სათამაშო, შვილო.
შეხედე, შენს ჩრდილს ვეფერები,
ულამაზეს ჩრდილს ვეფერები,
ხელის მოხვევას ვცდილობ.

შენ კი დედის ხელს გაურბიხარ,
დატეხილი ხმით გაურბიხარ
და საკუთარ თავს ეძებ.
მე კი ჩემს გულში ვიხედები,
მერე სარკეში ვიხედები
და თავს უხმოდ ვწევ გვერდზე.

რაჰმა

შუადღე იყო, აუდიტორიიდან ბიჭები რომ გაიკრიფნენ და ...
ჩადრი მოიხადა.
ჩემს თვალწინ აყვავდა მისი დაუჯერებელი სითეთრე.
ისეთი ლამაზი იყო, ისეთი თავდაჯერებული ნაკვთებით,
გულში პირველად დავწყევლე ჩადრის არსებობა.
გარეთ წვიმდა. ნამდვილი გერმანული წვიმა იყო
და ისიც გერმანულ წვიმაში ანათებდა -
ჩადრის გამოღმა ანათებდა არაბი ქალი!
ხოლო ევროპა - გულუბრყვილო და ბედნიერი
ჩემსავით იდგა და ნაზ ხელებს ასავსავებდა.

***

ბალღობასავით ტკბილი იყო ის წერილები,
ბალღობასავით ნათელი და ყველაფრის მცოდნე,
მე შემიძლია წარსულიდან გამოგიწოდო
(შენი ძველი „მე“ დღემდე ისეც ძაღლივით მომდევს),
მე შემიძლია შენი გული არ დავანებო
ცხოვრების თამაშს და უბრალო, ნათელი ფიცით
გადაგარჩინო, დაგიბრუნო, ხელი ჩაგკიდო -
შეგახსენო რომ ერთმანეთი ზეპირად ვიცით
და ერთმანეთით მეგობრობის ტვირთებს ვამართლებთ,
და გვიყვარს ხელი, ხანდახან რომ ღამეს მირითმავს,
და ჩვენი სიტყვის დიდი კოშკი, სადაც ბარათებს
ვიფენთ ხალიჩად და ხანდახან ჩაის მივირთმევთ.

ემიგრანტული პოეზია

მარი (მზევინარ) ბიბილური

დავიბადე ქარელის რაიონის სოფელ ფცა-ში. ვიყავი წარჩინებული მოსწავლე, ლექსებს ვწერ ბავშვობიდან. სამშობლოდან შორს ყოფნამ და ჩემმა თერთმეტწლიანმა ემიგრანტობამ უფრო რეალურად დამანახა ქართველი ადამიანების ცხოვრების პირობები. განსაკუთრებით მაღელვებს ქართველი ემიგრანტი ქალების გმირობა და ჩემი ლექსებიც ძირითადად ამას უკავშირდება.

***

ჩემს ფიქრს და წუხილს ვერ გაიგებს
ვერვინ ვერასდროს,
რადგან ის მხოლოდ ჩემს გულშია დაბუდებული,
მე რომ ვლიღინებ, განა მართლა გულს ემღერება,
კარის ზღურბლთან მყავს ბედისწერა ჩასაფრებული,
მაგრამ ქალი ვარ,
ქალი, ერთი ჩვეულებრივი,
ერთ დროს ამაყად
ვაბიჯებდი მშობლიურ მიწას,
ახლა კი ვზივარ სხვის მიწაზე
მარტო, ეული. ეს ჩემი დარდი გულში კვდება
და ვერც კი მითქვამს,
ხანდახან მინდა დავივიწყო ყველა გარშემო,
მარტის დღესავით არეულმა, ისე, უბრალოდ,
სულელ ქალივით გავინავარდო,
მივყარ-მოვყარო ყველა დარდი და მოგონება,
მინდა, ეს გული მზის
სხივებით მეც რომ გავათბო!

***

ჩემი ტკივილის გაყუჩება
მე თვითონ შევძელ
და ჩემ სახიდან მოვიშორე
დარდის იარა,
უფალს მივანდე ყველა, ვინაც მე გამიმეტა,
ვინაც ამ გულზე გამეტებით
გადამიარა,
უფალს მივენდე, მის კალთაში
დავიდე ბინა,
ველარ მაშინებს ორპირობა და მტრობა სხვისი,
უფალს მივენდე და ვიცი, რომ არ მიმატოვებს,
მე კი ვიბრძოლებ სულისათვის,
უფლის გზით ვივლი,
ეკლიან გზიდან გავუყვები შარას ვარდიანს,
ვიცი, რომ მივალ და უფალთან დავიჩოქები,
ვიცი, უფალი არასოდეს არ მიმატოვებს,
ვიცი, ბოლომდე არ დატოვებს
ამ გულს დარდიანს,
დრო მოვა, ალბათ, დავიჩოქებ უფლის წინაშე
და დავუკოცნი ხელებს წმინდას, ხელებს მადლიანს!!

***

გულს გაზაფხული კვლავ უხარია,
კვლავ ვარდის სურნელს ვისუნთქავ ხარბად,
თუმცა ცხოვრებამ დამასვა დაღი
და ემიგრანტის ჩამაცვა კაბა,
მაინც მივიწევ, მთიულის გულით,
ვჩეხავ ნარ-ეკლებს, გზას რომ მიღობავს,
მე - მთებში ლაღად გაზრდილი ქალი,
მივათრევ ჩემს ტვირთს მხრებით გმირულად,
ბევრჯერ დავეცი, მძლია ცდუნებამ
და მტრის ხარხარი ჩამესმის ყურში,
მაგრამ არასდროს დაგმორჩილდებით,
ვიდრე ჯერ მკერდში მიძგერს მე გული,

უფალს ჩავჭიდე მედგრად ხელები,
მე ჯვარი მიცავს, ნაკურთხი
ღვთისგან,
ღმერთო, არ მომკლა მე სხვის მამულში,
ჩემი ნაკურთხი მამული მინდა!!!

***

მინდა, შევცვალო მე ეს სამყარო,
არა, არ მიყვარს, ვერ ვეგუები,
მინდა სამყარო, სავსე სიმართლით,
სამყარო - რწმენით და ერთგულებით,
ყველას სახეზე წრფელი ღიმილი
და ყველას გული სიკეთით სავსე,
სხვისი წუხილის ჩვენად ტკივილი
და სიხარული, სხვისიც რომ გვავსებს,
მინდა სამყარო ულრუბლო ცის ქვეშ,
სულ მზემ ანათოს ცისფერ ღრუბლებში,
მინდა, რომ ყველას გვიყვარდეს ყველა
და ვიხუტებდეთ ერთურთს გულებში,
სხვისი ტკივილი, ჩვენც რომ გვტკიოდეს,
სხვისი ღიმილი გვმატებდეს სითბოს,
ძარღვებში სუფთა სისხლი ყიოდეს,
მე ასე თბილი სამყარო მიხმობს!!

***

ფეხზე დადექით, ქართველო ვაჟკაცებო,
დროა, გამოფხიზლდეთ ყველა,
ქალი აღარ დარჩა ქართლის მიწა-წყალზე,
უცხოეთს გაუყენეს ყველა,
გული ტანჯვით კვნესის, სული ვერ ისვენებს,
ადგილს ვერ პოულობს, ოხრავს,
კაცი შეიმოსა ქალის წინსაფარით,
ქალი გზას გაუყენეს ტყვეთა,
ქალი გააგზავნეს მონად უცხო მიწის,

კაციც კმაყოფილი დარჩა,
ქალმა გაიხადა კაბა ქართული და
მოირგო ევროპული ფარჩა,
ღმერთო, ნეტავ როდის, როდის შეიცვლება,
ამპარტავნობანი ჩვენი,
ისევ ღრეობები, ისევ გართობები,
უქალოდ დარჩენილი ერი,
ნეტავ, როგორ იღებთ სასმელს მამაპაპურს
და სვამთ სადღეგრძელოს ქალის,
ნეტავ, სადღა დაგრჩათ ქალი, ქართველებო,
ვაი, სად გამოვყოთ თავი,
ნუთუ მართლა ასე,
ასე გადავშენდით,
ასე შევირცხვინეთ თავი,
ლუკმა პურისათვის ქალები გავწირეთ,
კაცს კი ბალიშს უდევს თავი.
აღსდექ, საქართველოვ,
აღსდექ, საქართველოვ!
დროა, გაახილოთ თვალი,
ქალი დაუბრუნეთ ოჯახს, ვაჟკაცებო,
გეყოთ ბაქი-ბუქი მცდარი,
ნეკნი აღარ შეგრჩათ,
უცხომ ამოგგლიჯათ,
ნუთუ, მთლად დაკარგეთ თავიც,
ხელში როგორ იღებთ სასმელს მამაპაპურს
და სვამთ სადღეგრძელოს ქალის?!!!

ემიგრანტული პოეზია

ნანა ობოლაძე, საბერძნეთი, ათენი

წარმოშობით ვარ ლაგოდეხიდან. ვცხოვრობ თბილისში. დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. პარალელურად ვსწავლობდი ჟურნალისტიკაზე. ასევე დავამთავრე პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტში ღვთისმეტყველების კურსი.

ვმუშაობდი სკოლაში, კერძო კოლეჯში. ვასწავლიდი რელიგიის ისტორიას და კულტურას. ვმუშაობდი საპატრიარქოს ჟურნალ „ქაროზის“ რედაქტორის თანაშემწედ.

ემიგრაციაში ვარ 2014 წლის აგვისტოდან. ჩემი ლექსები იბეჭდება ჟურნალ „ქაროზის“ და „ქვაკუთხედის“ ნომრებში, ასევე, პატრიარქის კურთხევით გამოცემულ წიგნში: „მამული, ენა და სარწმუნოება“.

ეს საქართველოა

ეს საქართველოა! - სამშობლო ქართველთა,
რომ ვერ დალია გლოვა და დარდი,
სისხლით გაჟღენთილი მიწა საძვალეთა,
გულში რომ ჩაუკრავს მაცხოვრის კვართი.
ეს იბერიაა! - დავითის ნაშენები,
წმინდა ბრძენი მეფის დიდი გვარიანის,
თუმც ბრძოლის ველზე ვართ დღესაც ქართველები,
აქეთ დიდგორის და იქით ბასიანის.
ეს გეორგიაა! - წმინდა გიორგივით
ერი მებრძოლი და თავდადებული,
მავანს რად ჰგონია, ასე იოლი გზით
უკან დავიხევთ ხვალ დამარცხებული.
ქართველთა დროშა გმირობის სიმბოლოა,
გესმით! მებრძოლთა სისხლისფერია,
დიდება და ხსოვნა სადღეგრძელოა,
ვინც ჩვენი ყველა მტერი მოიგერია.
ქართველთა სამშობლო - ეს საქართველოა!
მძიმე ჯვრის საზიდად გამორჩეული...
ღვთისმშობლის კუთვნილი მთა და მდელოა,
მისგანვე დალოცვილი და კურთხეული.

დრო როდია მკურნალი

დრო როდია მკურნალი,
აქვს უცვლელი დინება,
გაგთელავს უნებლიედ,
თუ სადმე ჩაგეძინება.
დროის მატარებელის
აჩქარებას ფარულად,
მაშინ მივაყურადე,
როცა ხელმოცარულად,
დავრჩი კენტად, ცხოვრების
მძიმე ორომტრიალში,
მარტოდ უცხო მხარეში,
ვით ჩიტი გალიაში.
განვლილ გზას გადმოვხედე
ახლა ისევ თავიდან,
მიკვირს, ორმოცდაათი
წელი როდის გავიდა.
უკვე ნამდვილად ვიცი,
დრო არ არის მკურნალი,
დროს უნდა მიადევნო
მხოლოდ ფხიზელი თვალი.

შემოდგომის ნიავმა

შემოდგომის ნიავმა
ფუნჯით ჩამოიარა,
ხეებს მწვანე ფოთლები
შეარჩინა კი არა,
წითელ და ყვითელ ფერებს
ოქროც შეაზიარა,
ყველა შეაფერადა,
დაღლაც არ აღიარა.
მერე გაბუტულ ჩიტებს
ქროლვით შეეხმიანა.
ხის ცარილ ტოტებზე
ჩამომსხდრებს ერთიანად...
შესიტყვებას ლამობდა,
თითქოს თავაზიანად,
თუმცა, ზურგი აქციეს
ბელურებმა მთლიანად.
ბჭობდნენ, რომ მოახლოვდა
ზამთარი სუსხიანად...
ამ ჟღურტულის მოსმენამ
მთლად დამასევდიანა...

გაზაფხული უშენოდ

უშენოდ,
თუმცა გაზაფხული ისევ მოვიდა,
შენი დაბადების დღეს - თერთმეტში –
იებით მარტი
მოკრძალებული მილოცავს ჩუმად,
მივლის შორიდან,
ვხედავ, როგორ სურს შემიმსუბუქოს
ეს გულის დარდი.
ვერ ვუმასპინძლე,
ჩემგან როგორც იყო ჩვეული,
ვერ მივეფერე,
წვიმისგან სველი თეთრ კაბას იშრობს
აპრილი,
ჩემი დედოფალი გამორჩეული,
იასამნებით სურს მოვიდეს,
მომისამძიმროს.
მაისი, ვარდებს მოსავს
ნაზი ფერის კაბებით
და თანაგრძნობით შემომცქერის
შემოსილს შავად,
იმ გულით თბილი მასპინძელი
რომ ვეღარ ვხვდები,
წელს...?
გაზაფხული მესალბუნება
პირიქით თავად.

წერე ქართულად

ქართულად წერე, თითო მარცვალი
სულით ნაძერწია ასო-ბგერები,
უბადლო ფორმის, ნაზი და მრგვალი
ბავშვივით ხალასი, მისაფერები.
სიტყვების ბაღნარს ქართული ენის
მოჩუქურთმებულს ლექსის ფერებად,
ჩვეული ორნამენტები შვენის,
რთული რითმებიც და ამღერებაც.
მხედრულს, ხუცურს თუ ასომთავრულს,
როგორ უხდება სვლები ნარნარა,
განუსაზღვრელი სიყვარულივით
მორაკრაკებს, ვით წყარო ანკარა.
მუსიკალურია თითო მარცვალი,
სულით ნაძერწია ასო-ბგერები,
ქართულად რომ წერ, არის მთავარი
შვება და განცდა ბედნიერების.

სამშობლოსთვის

კვლავ სამშობლოსთვის გევედრები
და მთელი გულით,
გთხოვ, შეისმინე ჩემი ლოცვა
მოკრძალებული,
ღმერთო! ამას გთხოვ მუხლმოდრეკით,
გულანთებული,
მოგვეც ქართველ ერს ბრძოლის უნარი
განახლებული.
რამეთუ ვიცნოთ ჭეშმარიტება
სარწმუნოების,
და სიყვარული იყოს სასრული
უთანხმოების.
გულში ჩავიკრათ ბრძოლით დაღლილი
ქართული ენა,
მრავალჟამიერ მის სიჯანსაღეს
მის გადარჩენას.

კვლავ აღვადგინოთ მთლიანობა
ჩვენი მამულის,
ყოველი გოჯი ცრემლით და სისხლით
გადანამული.
რას არ ვიზამდი ამისთვის, ოღონდ
ვიცოდე – რა სჯობს,
ჩემი გულიდან ყოველი წვეთი
თუნდ დაიხარჯოს...
ლოცვად მუხლმოყრილი გევედრები,
მსურს, გავისარჯო,
ჩემო ს ა მ შ ო ბ ლ ო ვ!
ეს გული გლოცავს,
შენ გაგიმარჯოს!

მხატვარი - რევაზ ინანიშვილი

რომ მეგულებოდე სადმე

სადმე რომ მეგულებოდე,
ყველა გზას გამოვივლიდი,
შენამდე რომ მოვიდოდე,
ვერ შემაშინებდა ბინდი.
ვერც შემაჩერებდა ქარი,
არც დამასველებდა წვიმა,
ზღვას გადმოვცურავდი ნავით,
ისევ მოგიხმობდი შინა.
გზას ეკლიანსა და ვიწროს,
ვიდოდი დღისით და ღამით,
შიში გაქრებოდა, ვფიქრობ,
არ დავისვენებდი წამით.
ამოვაშენებდი კიბეს
ზემოთ ასავალსაც, ცამდე,
გავკაფავდი გზას კიდე,
რომ მეგულებოდე სადმე.

ემიგრანტული პოეზია

ნელი თედეიშვილი

ცხოვრობს ილიას სამშობლოში - ყვარელში. პროფესიით პედაგოგია. წლებია, მუშაობს საბავშვო ბაღის ხელმძღვანელად. ალბათ, ამიტომაა, რომ სამი ლირიკული კრებულის გარდა ორი საბავშვო წიგნის ავტორია. ემიგრაციაში იმყოფებოდა ხუთი წელი, კერძოდ, საბერძნეთში, ათენში, სადაც იგი შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად, აქტიურად იყო ჩაბმული სათვისტომოებთან კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში. იყო ქალთა ორგანიზაცია „საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირის“ მმართველ საბჭოში და ამავე ორგანიზაციის ჟურნალ „ემიგრანტი ქალის“ რედკოლეგიის წევრი. 2012 წელს მრავალი დიპლომებით დაბრუნდა სამშობლოში, ყვარელში, სადაც აგრძელებს პედაგოგიურ და შემოქმედებით მუშაობას. 2013 წლიდან საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრია.

ზეცას ვუმზერ!

დავაწვეთე ღვინო პურზე,
ახლა ღმერთთან ვისაუბრებ,
ქვეყნის დარდი მაწევს ზურგზე,
ზეცას მაინც შვებით ვუმზერ.
ამ ცას ჰქვია მზიანეთი,
რომლის შინაც სახლობს ღმერთი.
ამბავს ვყვები სიყვარულზე,
სამშობლოზე, ჩემს მამულზე.
კეთილს, კეთილ საქმეს ვუქებ,
ბოროტს მე ვერ გავამუქებ,
ჩემი ქვეყნის მიწას ვუმღერ,
როგორც ჩიტი თავის ბუდეს.
დავაწვეთე ღვინო პურზე,
განა რამ ვთქვი, ზეცას ვუმზერ!

სველი ჩიტივით

ეს გაზაფხულიც ღვარცოფით მავსებს,
როგორც ალაზანს მაისის წვიმა,
ბოლო იმედიც მიაქვთ ნიაღვრებს,
გული ეული ჩიტივით მტკივა.
ვხედავ, ხიდები გადაუვსია,
წყალს მიაქვს ძველი სამკაულები,
ხმა რომ არავის არ გაუცია,
ისე მიხურეს ჩემ წინ კარები.
მზეს ვნატრობ ახლა, სველი ჩიტივით,
ცხელი სხივები ამოაბრწყინოს,
ბედით გატანჯულ ამორძალივით,
შიშველი, მარტო აღარ გამყინოს.
ვგავდე ნიავსა, მთებს რას ავყვები,
ღერღეტი ღელეში ჩავიჩეხები,
ფრთები რად მინდა ასეთი,
მიწას თუ შევაბერდები.
არ მინდა იმის წყალობა,
ვინც ამას დიდხანს ნანობდა,
ვისმინო კაცის გალობა,
ვინც ცას გინებით ამკობდა.
მინდა, გზა ვიყო მრავალის,
დათმობა მქონდეს მთავარის,
ვგავდე არა ქარს — ნიავსა,
ვინც კარს არ უტეხს ჭრიალსა,
ვიფრინო სისხამ დილასა
ცრემლი შევუშრო მტირალსა!

***

ყველაწმინდა ქარო, შორიდან მონაბერო,
რას მემართლები, ჩემი ქუჩაა, ჩემი სახლი, ჩემი კარები,
აქ თბილისია, ჩემი ძველი, იქით - მთაწმინდა,
სამშობლოს ვუმღერ, ვეფერები, მეტი რა მინდა.
მინდა დავლიო შენი ღვინო - შენი დოქიდან,
სხვა მიწის ღვინო დასალევად როდი მყოფნიდა,
ვთქვა სადღეგრძელო წინაპართა დიდი ხსოვნისა,
შენი და ჩემი მეგობრისა, ხვალის მოსვლისა.
არ დავასრულო სიყვარული, შენთან ერთობა,
სამარადჟამოდ გული მხოლოდ შენ მოგენდობა,
ყველა სუფრიდან მოგეფერო, დაგლოცო, მინდა,
უფალი ღმერთი შეგეწიოს და ყველაწმინდა!

ჭკუა განძია!

გველს თაგვი თაფლად შეარგოს,
კაცს ნუ დაჰკბენს და დაშხამავს,
ბოროტს ხელიც არ შეახო,
თორემ მძინარე დათვსა ჰგავს!
ღორის ღორობა არ მიკვირს,
მაოცებს ნაკი ნუკობა,
კაცს თუ გონება არ უჭრის,
უხდება მაიმუნობა.
ჭკუა განძია იმედის,
უფლის ჯილდოა - პატარა,
მეტია, ვინც სულ სიკეთით
და სიყვარულით ატარა!

ამირან!

კავკასიის მთებს შეესისხლხორცე,
მიჯაჭვულს, დღემდე ღმერთი არ გწირავს,
ტანჯვა არ არის შენი სიცოცხლე,
გწამდეს, რაინდო, გმირო ამირან!
არავინ იცის, შენშია მეხიც,
ელვა-ქუხილით სახე გიბრწყინავს,
გაქვს ოცნებებიც, მზეს ჩუმად ეტრფი,
მთვარიან ღამეს, ხშირად არ გძინავს...
მჯერა, ახდება, არ ვიცი, როდის,
მთებს გადაადგამ, აჰყრი ფეხებად,
სცადე, დევგმირო, იქნებ ეგ შფოთი,
პოეზიაში იქცეს ლექსებად!...

დაიბადება პატარა ბიჭი!

რას დააკლებენ შენს მთებს, მყინვარებს,
გზას ნაკადულსაც ვერ შეუცვლიან,
მტერი თუ მოვა, მოსვლას ინანებს,
ნახავს, მართალ კაცს რა შეუძლია!
ტოტზე ნებივრობს ბელურა ჩიტი,
აქ სიყვარული არ დამთავრდება,
დაიბადება პატარა ბიჭი
და იმედები გათამამდება.
კაცი შვილივით ვენახს მოუვლის,
მერე ღმერთს, ღვინით შენს თავს ავედრებს,
მტკვარი, ბორჯომში შეყვარებული
მოდის და თბილის ქალაქს დაეძებს!

გიზო ზარნაძე

კიდევ ერთხელ პეტრიაშვილის ლექსზე

სწორედაც ასე: **„პეტრიაშვილის ლექსზე“,** სახელის გარეშე, რადგან, თუ ლექსზეა საუბარი, მკითხველს ისედაც **გურამ პეტრიაშვილი** გაახსენდება, თუ ცნობილ კარდიოლოგზე — **შალვა პეტრიაშვილი!..**

გურამის ლექსის მოსმენისას (წაკითხვისას ხომ მით უფრო!), არითმიაც რომ გქონდეს, თანდათან რიტმული გაგიხდება, ბრადიკარდია გაგიქრება, გული საგულეს ჩაგიდგება!..

როგორ და რანაირად ახერხებს ამას პოეტი? ჩვეულებრივად, რადგან, არცთუ იშვიათად, გენიალურ თხრობას რომ იტყვიან, იმ თამასას სწვდება.

გურამიც ისე სადად და ნათლად გვიყვება ამბავს (უყვარს სიუჟეტიანი ლექსები), როგორც, ვთქვათ, **ტოლსტოი** იწყებს თხრობას **„კავკასიის ტყვეში“:** „კავკასიაში ოფიცრად მსახურობდა ერთი ბატონი, გვარად ჟილინი. ერთხელ მას სახლიდან წერილი მოუვიდა. მოხუცი დედა სწერდა: დავბერდი და მინდა, სიკვდილის წინ ვნახო ჩემი საყვარელი შვილი. ჩამოდი გამოსათხოვებლად, მიწას მიმაბარე და მერე ღმერთმა ხელი მოგიმართოს, კვლავ დაბრუნდი სამსახურში. მე

კი საცოლეც მოგიძებნე: ჭკვიანიცაა, ლამაზიც, მამულიცა აქვს, იქნებ შეგიყვარდეს კიდეც, შეირთავ და სულაც აქ დარჩები“.

კალამს შეჭიდებული ხალხი ხშირად ვიხსენებთ ხოლმე **გრანელის** მარად მშფოთვარე და მგლოვიარე სულს: **„გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“.** ხომ წარმოუდგენელია, ამ ღვთიურ იდილიას ერთხელ მაინც არ შევსწრებოდეთ სოფლად, მაგრამ ჟრუანტელს არა იმდენად ჩვენგან ხილული გვგვრის, რამდენადაც პოეტის მიერ წარმოსახული და ჩვენგან წაკითხული.

ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაგვინახავს ჩქერიდან (ამომხტარი არ იკმარებს!) ისარივით ამოფრენილი კალმახი როგორ გაწვართული ილტვის ზეცისკენ, მაგრამ მალევე (მერამდენედ გაწბილებული!) თავდაყირა ეშვება წყალშივე!.. ეს ყველაფერი ფირზე აღბეჭდილი მაინც გვინახავს, მაგრამ ამ იდილიური სურათის ხილვით აღძრული ემოცია, სიმძაფრით, უთუოდ ჩამორჩება, პოეტის მიერ დახატულს: „წითელწინწკლია თევზები წყლიდან მალიმალ ხტებიან, ჩამავალი მზის სხივებში ლამაზად იდრიკებიან, უნდა ავყვინთოთ ცაშიო, ერთმანეთს ეჯიბრებიან“.

ჯერ მარტო ნეოლოგიზმი „ავყვინთოთ“ რადა ღირს! მაგრამ მთავარი ისაა, რომ ავტორი, ილუზიონისტივით, ერთადერთი შავი ფერით (ფანქრით) ქმნის მდიდრულ პალიტრას — მისგან შავთეთრ ტელეეკრანზე ნანახი ყვავილი, როცა კითხულობ, ჯადოსავით, იკრებს ფერებს!

აქსიომაა, რომ მწერლისთვის მთავარი საშენი მასალა სიტყვაა, მხატვრისთვის — ფერი. რაც უფრო სიტყვათა დიდი რესურსი აქვს მწერალს, მით უფრო სრულყოფილი უნდა იყოს მისი „ნახატი“, ასევე მხატვარსაც ფერთა მდიდრული პალიტრა უადვილებს სრულყოფილი სურათის დახატვას, მაგრამ როგორც დიდი **ნიკო ფიროსმანის** მოლ-ბერტი არ ყოფილა ნაირ-ნაირი ფერების სარბიელი, ასევე, **პეტრიაშვილიც** უკიდურესად მომჭირნედ იყენებს სიტყვათა მარაგს. იმას კი არ ვამბობ, მწირი მარაგი აქვს-მეთქი, არა, იქნებ, არავისზე ნაკლებიც, მაგრამ იმდენად ზუსტად იყენებს მათ, რომ ზოგჯერ ერთადერთი სიტყვა თვალსაჩინო შტრიხად გამოიყურება!

გურამის შემოქმედებას გრძნობა ასაზრდოებს, ვინემ — გონება.

მავანი და მავანი აზრის გამოსახატავად ასეთ „უმაკიაჟო“ წინადა-დებას პრიმიტული თხრობის ნიმუშად ჩაგვითვლის და ამჯობინებს ასეთ ნარატივს: „გურამ პეტრიაშვილის შემოქმედებაში იმპრესიო-ნალისტური იმპულსი უფრო დომინირებს, ვიდრე — მშრალი გნოსეოლოგია“.

როგორც ფიროსმანის ნახატს ზოგჯერ ვერაფერს ვნებს „პერსპექ-ტივის“ უგულვებელყოფა და თითქოს აშკარა დისპროპორცია (ვთქვათ, მარგარიტას უსაშველოდ მსხვილი ქვედა კიდურები), ასევე, პოეტი არაფრად დაგიდევთ აზრის ლოგიკური ფორმით გამოხატვას: ამჯობინებს და ახერხებს კიდევაც, გულით გაგრძნობინოს მისი ლო-გიკურობა.

გურამი და ქართული სიტყვა სინონიმებია, იგია მისი შინამოც და გარესამოსელიც. შეიძლება ითქვას, რომ იგი მთლიანად ქართული სიტყვისგან გამოკვეთილი ქანდაკია. გურამისთვის არ არსებობს დუნიაზე ქართულ სიტყვაზე ლამაზი თუ ელვარე, მღერალი თუ მგლოვიარე, მასზე მიუკარებელიც და მასზე თვინიერიც, მასზე უდარდებელიც და მასზე გულმწუხარეც, მასზე შლეგიც და მასზე ბრძენთაბრძენიც! ამიტომაა, ასე რომ მიმართავს მათ, ქართულ სიტყვებს: **„თქვენს მაღალ, ნათელ ტაძარში ვარ მუხლმოყრილი მლოცველი, თქვენი მსუბუქი ფეხების ნატერფალების მკოცნელი!“**

გურამს სჩვევია ისე შეუმჩნევლად გადაგდოს საკუთარი სევდა, რომ გაოგნებული რჩები და განა მართლა იმიტომ, რომ არ ელოდი და ამის გამოა განსაცვიფრებელი, არამედ იმიტომ, რომ... ერთი სიტყვით, დედა ვის არ ჰყვარებია და ვიღამ უნდა გაგაკვირვოს **ესენინის, ტაკუბოკოს, სიმენონის, ხელაშვილის, დუმბაძის შემდეგ, თურმე, სადა ხარ!**

ამ ბოლო დროს სამმა ქართველმა პოეტმა იმდენად არაორდინალური რაკურსით დამანახეს „დედის პორტრეტი“, ვერ მომითმენია, შეუძლებელია მკითხველსაც რომ არ გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილება.

ჯერ იყო და, ახლახან გარდაცვლილი, საკმაოდ მიჩუმათებული, გაუხმაურებული *(ჯერჯერობით!)* პოეტის, **რენე (გიგა) კალანდიას ლექსმა, დამრია ხელი: „გიგა, სქუა, მუ მონკა რე ღურა, ასე მეტიშ მოცოდუ თი საწყალი მუასქანი“.** (გიგი, შვილო, რა მძიმე ყოფილა სიკვდილი, ახლა უფრო მეცოდება ის საწყალი მამაშენი“-ო). ასე ეუბნება აგონიაში მყოფი დედა შვილს (რენეს), რომელსც დედის უკვე შემცივნული ხელის მტევანი აკანკალებულ მუჭში ეკავა.

არ მინდა, მკითხველი შეცდეს: მამამისი ასე იმიტომ კი არ ეცოდება უფრო, რომ მეუღლის გარეშე რჩება! არა, მამამისი კაიხნის გარდაცვლილია და სულთმობრძავი ქალბატონი იმდენად იმით კი არაა შეძრწუნებული, რომ თვითონ ეცლება სამზეოს, არამედ იმით, რომ მეუღლეს, თურმე, როგორი სიმწრით ამოსვლია სული!

არაფერია მოსარიდებელი! ეს ჭეშმარიტად ქართული ლექსია!

მეორე, გურამ პეტრიაშვილის ლექსი გახლავთ – **„დედა“: „თუმც დედა უკვე აღარა მყავს დიდი ხანია, კვლავაც გულს მიკლავს, გაცრეცილი რომ ეცვა პალტო“.** ანუ, რომ აღარა ჰყავს დედა, ეს გაუნელებელი და სიცოცხლის ბოლომდე გამყოლი ტკივილია, მაგრამ, უფრო, ეს კი არ ყოფილა (ჭირსაც შეჩვევა სჩვევია) შვილისთვის გულსაკლავი, არამედ ის, რომ ვერა და ვერ შეძლო სიცოცხლეში მისთვის ახალი პალტო ეყიდა!

მესამე ირაკლი (ვახტანგ) ვაშაყმაძეა:

„დედას“

მოირწეოდი ვედროთი, ჭიქიდან მოგქონდა წყალი.
გადაითვლიდი წიწილებს, ძერაზე გულშემწყრალი.
შეანელებდი ლობიოს, მერე მჭადს აიყვანდი,
მოდიო, დამიძახებდი, მეცხრე ცას ამიყვანდი.
რა ტკბილი ხარო, მეტყოდი, გული ხარობდა შენით.
როგორ შვენოდი ამ ეზოს, ალბათ, ზეცასაც შვენი!

რა ზუსტად მიგნებული ზმნაა – **„შვენოდი“!** კი არ ალამაზებდი, აკოხტავებდი, ამშვენიერებდი, არამედ, სწორედაც რომ „შვენოდი“ (ხომ გახსოვთ, **ალექსანდრ სერგეევიჩთან:** „Явилась ты“,). რავინ არ ადრის მას, გენიოსს!.. ვაშაყმაძე პათოსითა და რიხით კი არ შემოგვძახის, უბრალოდ, ტაქტიანად შეგვახსენებს, რომ ქართველები ვიყავით, ვართ და, ვინძლო, კვლავაც ვიქნებით!..

მე დედა არ მახსოვს. ორი წლის ვყოფილვარ. არ ვიცი დედის სიყვარული. ასეთი ლექსების კითხვის შემდეგ, ვორჭოფობ — რა სჯობდა: მცოდნოდა? არ მცოდნოდა?

მამის წერილები შვილს

დაბადებამდე და მის მერე

მამა - იგივე **ოტია იოსელიანია,** შვილი - იგივე **დაჩი.**

ეს წერილები ახლა შენს ხელთაა, მკითხველო.

სხვისი წერილების კითხვა ცუდ ტონად რომ ითვლებაო! შესაძლოა, შეიცხადოთ.

ნუ გაიოცებთ ძალიან, რადგან ამ წერილების ადრესატები ჩვენ-ჩვენი შვილებიც არიან.

ამიტომაც იცემა ერთად აკინძულნი – ცალკე წიგნად.

ოტია იოსელიანი საოცრად პოპულარული მწერალი რომ გახლავთ, ამაში ლომის წილი შესანიშნავ ნოველებთან და პიესა – **„სანამ ურემი გადაბრუნდებასთან“** ერთად, **„დაჩის ზღაპრებსაც“** უდევს, რომ აღარაფერი ვთქვათ ათამდე რომანსა, ამდენივე პიესასა თუ უამრავ მოთხრობაზე.

„ურემი“ ყოფილ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის 80-ზე მეტ თეატრში იდგმებოდა ანშლაგებით, ხოლო „დაჩის ზღაპრები“, პროცენტულად, ყველა მის პროზაულ ნაწარმოებზე მეტი ტირაჟითაა გამოცემული.

პანაცეასავით იყო იმ გამომცემლობისათვის, რომელსაც გეგმის შესრულება გაუჭირდებოდა: გამოსცემდა გეგმის გარეშე „დაჩის ზღაპრებს“ და მორჩა!

იქნებ ყველას არ მოეხსენებოდეს: დაჩი (იგივე აბესალომი) მწერ-ლის უმცროსი შვილია (ამიტომაცაა დაჩი!). შუათანა მანოა (იგივე მანანა), ხოლო მთლად უფროსი ბაჩოა (იგივე რამაზი).

ჰოდა, სწორედ ესენი არიან „დაჩის ზღაპრების“ მთავარი პერსონა-ჟებიც.

„დაჩის ზღაპრების“ ერთგვარი გაგრძელებაა, ოღონდ — არა ზღა-პარი, არამედ მხატვრულ-პუბლიცისტური სახის ნოველების კრებუ-ლიც, ან უკვე თქვენი კუთვნილი „წერილები დაჩის“.

მოხდა ისე, რომ თქვენს მონა-მორჩილს, 70-იანი წლებიდან მო-ყოლებული, მწერალთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა და, ბუნებრივია, არაერთი ეპიზოდი მახსენდება.

ლამის სპარტანული აღზრდის გულმხურვალე მომხრე გახლდათ, თანაც, ქართველი ბავშვის სწორედაც რომ ქართველად აღზრდისა და ჩამოყალიბების მოწადინე.

ხშირად იცოდა თქმა: მე უკიდურესობების კაცი ვარ. თუ მძულს, ბოლომდე მძულს, თუ ვაფასებ ვინმეს, იმასაც - ბოლომდეო!..

შეღავათი, მომეტებულად, ბავშვის აღზრდაში, მისგან წარმოუდ-გენელი გახლდათ.

ვერაფრით ვერ ეგუებოდა დედიკოების გულისწამღებ ხვეწნა-მუდარას: ჩემი კაი ბიჭი, ეს ერთი ნაჭერი კარაქიანი პურიც და... ჩაგიშვებ ეზოში ბავშვებთან სათამაშოდო!..

„ნუ ვზრდით ბავშვებს დონდლო, უუნარო და უფხო არსებებად, უინიციატივო ქალაჩუნებად!“-ო.

რავა ტოლსტოისავით ქადაგებ, ზუსტად აგრე მსჯელობს, ერთ სტატიაში, გავლენა აშკარაა-მეთქი, – შევბედე, ერთხელაც იყო.

– ლევი, აპა რისი ლევი იქნებოდა, სხვანაირად ემსჯელა! ის გრაფი კი იყო, მარა გლეხკაცის სულიც ედგა, მიწის ყადრიც იცოდა და შრომის ფასიც.

დიდი მწერლის მხოლოდ სახელით მოხსენიება რაღაცნაირად მეხამუშა და წავეხუმრესავით: ისე, ლიოვადაც რომ მოგეხსენებინა, შენგან არ ეწყინებოდა, ცოცხალიც რომ ყოფილიყო.

– ჰო, მაგრამ... ლიოვას, ალბათ, შინაურებიც ვერ ეძახდნენ ხათრით, ენას ვერ მოუჩლიქავდნენ. სხვათა შორის, ვერც იმ ცხოველს, ქართულად „ლევ"–ი რასაც ნიშნავსო.

– ქართულად არის ის სტატია თარგმნილი? – მკითხა ბოლოს.

– არა, ქართულად სადაა!

– აპა, მაგოდენი რუსულის ცოდნა ვინ მომაშავა! პურს რომ „ხლებ" ქვია, ქე ვიცი, მარა, რომ მაბრუნებიო, ვერ ვიზამ.

ხუმრობდა, რასაკვირველია! ხუმრობა მისი სტიქია იყო!

ამიტომაც, მაინცადამაინც როდი სჩვეოდა თავპატიჟის გამოდება, როცა თამადობას სთხოვდნენ. თუმცა, სხვისთვის რომ შეესახელებიათ, სულ ერთია, ოტია იქნებოდა სუფრის ავანჩავანი.

ოტიას ისე ბუნებრივად გამოსდიოდა ერის სატკივარზე გულანთებული მსჯელობა და ღაღადისი, რომ ყველაზე მორგებულად იმშვენებდა მისი ჭეშმარიტი მოჭირნახულის მანტიას.

უდავოდ შთამბეჭდავია ოტიას ნებისმიერი ტექსტი, მაგრამ შეუდარებლად შთამბეჭდავი გახლდათ მისი მეტყველების მანერა, ლოგიკური სინტაგმების კასკადი, ინტონაციის არტისტული მიმოქცევანი, რომლითაც მსმენელი „მონუსხული" ჰყავდა.

ვის-ვის და, ოტიას დიაღაც ხელეწიფებოდა ახალგაზრდობის დამოძღვრა – თუ როგორ უნდა ქცეულიყვნენ არა უბრალოდ ბიოლოგიურ არსებებად, არამედ - ქვეყნის კაცებად!

ამიტომაც „წერილები დაჩის" უფრო ძლიერი ნაწარმოებია, საკმაოზე მეტად ძლიერიც, ვიდრე **მაკარენკოების** „პედაგოგიური პოემები" თუ მიხალკოვების საბავშვო პოეტური შტუდიები.

„წერილები დაჩის" — ესაა ნოველებად ჩამოგვირისტებული დიდაქტიკური შეგონებანი, არა მხოლოდ მოზარდთათვის, არამედ მოზრდილთათვისაც „დიდად მარგი".

სამაგალითოდ, გთავაზობთ ამონარიდს ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც ასეა დასათაურებული — „თავისუფლების თაობაზე" *(წიგნში სულ 77 წერილია):*

„მონა თუ იბრძვის, მონა არაა. დაპყრობა დამონებას არ ნიშნავს. დამპყრობელის მოძულეს და ურჩს, მონობა არ ეთქმის. მოძალადისადმი დათმობა, დაზავებაა მონობა. მპყრობელი რამდენად ლმობიერია, იმდენად საშიშია. რამდენად ებრალები და მზრუნველობს, იმდენად გამათხოვრებს და გაუძლურებს. რამდენად გაჭმევს და გასმევს, იმდენად გათვინიერებს, გიბრიყვებს და მის დაკრულზე გაცეკვებს. თუ მის ენაზე გაჭიკჭიკებს, გამღერებს, – შენს ენას გაძრობს და გამუნჯებს. თუ ტაშს უკრავდა გუნდრუკს უკმევ, – გამდაბლებს და გაქვესკნელებს“.

დაჩი სანამ დაიბადებოდა, რამდენიმე წერილი უკვე გამზადებული მქონდა გონებაშიო, – მითხრა ერთხელ.

„კი მარა, რა იცოდი, ბიჭი რომ იბადებოდა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოდაში ექოსკოპიები!

– ვიცოდი, ვიცოდი, ქეთომაც იცოდა, ბიჭი რომ ებადებოდა.

– ჰოდა წინასწარ...

– კი წინასწარ! საერთოდ, ნოველა იქნება თუ პიესა, მწერალმა წინასწარ უნდა იცოდეს თავიდან ბოლომდე. შეუძლებელია ნოველის ან პიესის დაწყება იმ იმედით, რომ წერისას ამბავი თვითონ გაიკვალავს კვალსო... და ა.შ. „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ მე ზუსტად ექვს დღეში დავწერე.

– გაოგნებული ვარ იმით, რაც ახლა შენ თქვი.

– რა ვთქვი ასეთი!

– ცნობილი რუსი დრამატურგი ევგენი შვარცი იგონებს ეპიზოდს, როცა **მიხეილ ზოშჩენკო,** უკვე „ზემოთ“ ავად გაკრიტიკებული და მწერალთა კავშირიდანაც გაძევებული, ისედაც იპოქონდრიით არაქათგამოცლილი, სწვევია ერთხელ **შვარცს** და ზუსტად ეგ სიტყვები უთქვამს: პიესა მთლიანად ზუსტად უნდა იცოდე სავარაუდო მიზანსცენებიანად, სანამ კალამს ხელს მოჰკიდებდეო!

– ზოშჩენკო, რასაკვირველია, ასე იტყოდა! ის ზოშჩენკო იყო და ეთქმოდა! იქნებ ჩვენებურსაც ეთქვა ვინმეს, მარა, ვის ვკითხო, **რუსთაველის** არ იყოს, **კაკაბაძეც** მკვდარიაო“

რამდენი ასეთი საუბარი მაგონდება...

შარჟები და პაროდიები

მუხრან მაჭავარიანი

მხატვარი - ზაალ სულაკაური

მოქკავშირული აღაპი

„არაგვში“ გაშლილია მდიდრული სუფრა...
გარდაიცვალა „ერის კაცი “, ჩინებული ლხინია!
შუსუსუს მინისტრი, თარგამაძე, თავაზიანობს
ყასიდად:
შემწვარ მწყერს არ მიირთმევთ, ქალბატონო
ირინა?
გმადლობთო, — ირინამ, — ჩემიც ბლომად
მყავსო!..
(ლობიოს წაეტანა. ნამლევ მთვარესა ჰგავს)
გურულებს ტირილშიხიცი არ გვიყვარსო! —
ეტყვის იქედნურად, გულღრძოდ თვალებს ნაბავს...
გახურდა ქეიფი. მანდილოსნები ჭორებს,
მამაკაცები ვეება ყანწებს დაეწაფნენ.
კახუნა — მართვე შევარდენის,
ირინა — გნოლი შაოსანი,
ებღვირებიან ერთმანეთს.
(ოო, ეს უკვე ზედმეტია!) კახუნამ:
მე თქვენ მოგიწყობთო ბაირამ-ზეიმს!
დაიჟინა, მიტინგიაო! — ბაკურაძეს
დავურეკავ და გიჩვენებთო სეირს!
— რას უთხარ! — კახასთან ელენე მიფრინდა:
ტო ესტ „Пыр“-ი არი, რას გაამიტინგა?!.
— ჰი, ჰი, ჰი, — ქირქილებს მუჭში სარიშვილი, —
ეს თუ მინისტრია, ამასაც ვიკითხავ!..
...მერე, კახუნამ „ჩაატარა“ არჩევნები.
შალიკო გამოვარდა. შევარდა ფიქრია.
მერე, სტრასბურგიდან, მოიცათ, მაცალეთო! —
იქადის შალვა და ქუდს ბერტყავს ფიფქიანს...
მერე, მამუკას, თამრიკოს, ვანიკოს
„ქუჩის ოპოზიცია“ ჰქვია
და, რა თქმა უნდა, ირინაც იქვეა!..

მურმან ლებანიძე

მხატვარი - ზაალ სულაკაური

კომპარტიელს

ბორჯომს წაგიყვანს და ციმორს არ გაჭმევსო,
მშიერს დაგაგდებსო, წაჰყვები ვინცო,
ხმა თუ ამოიღე, ამბავს დაგაწევსო, —
შენზე თუ უბნობენ, ძველი ხარ, ბიჭო!..
მე ახლა იმ ასაკში არა ვარ, ქე იცი,
და არც იმ ჭკუაზე, მძორი გავაფხაო!..
სულ მთლად მივატოვო ლხინი და ქეიფი,
ბიჭები გადვიკიდო, სიდედრი გავახარო!..
ხოლო ეს ჩვენი ძმა თავისას ერეკება!..
(ჩემი შეგონება არ უღირს გროშად),
თუმც კი ჩახოხბილი ეელეთმელეთება —
კეჟერა მსხალს ვარჩევო! — რაღაცებს როშავს!..
ისე იჭაჭება სიკვდილმიწეული,
ვითომც ვჯობივარო თავადს, დიდგვარიანს!..
ვითარც მორბელაძე, მუცელმიმწნეული,
რომა იმგვარია!..

***

ჩიტაძის ქუჩის დასაწყისში, ჭადრის ხეში დღესაც
ჩარჩენილია კიტოვანის ყუმბარის მასრა 1991 წლის
დეკემბრის მოვლენების სახსოვრად

ორსავე მხარეს ბოძებული ტყვია და დენთი,
რუსის ხელმწიფის დაგებული, ნაღდად მახეა!
არავითარი არგუმენტი, ამაზე მეტი,
არ გაგვაჩნია!..
ვითარ იწვოდა „რუსთველი“ და ილხენდა
ფლიდი!..
ყუმბარის მასრა ბებერ ჭადარს დღესაც
გასჩრია!..
არავითარი დოკუმენტი, ამაზე დიდი,
არ გაგვაჩნია!..
„სპოსიბოს“ ნაცვლად, საზღვრად ვიზის
აღმართა კეტი!..
და მაინც ისევ ვუერთგულოთ?! ვის, გააჩნია!..
არავითარი სხვა ლამპარი, ილიას მეტი,
არავითარი სხვა ხსნა, სხვა გზა,
არ გაგვაჩნია!

ინტერვიუ

რამაზ პატარიძე

როდესაც საუბრობს ქართული ანბანის უნიკალურობასა და ერთადერთობაზე, მის წარმომავლობასა და სიძველეზე, მეცნიერის ხმა საოცარი ძალით, დამაჯერებელობითა და ენერგიულობით ივსება. ამ ძალას დამწერლობათმცოდნე რამაზ პატარიძე თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების სიღრმეებიდან იღებს. დღესაც საზრდოობს იმ კვლევების, მიგნებების, აღმოჩენების ემოციებით, ქართული ანბანის შესწავლა რომ იწვევდა. ახსოვს, მაგრამ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს უამრავ დაბრკოლებას, ცხოვრებაში რომ შეხვედრია როგორც მეცნიერს და როგორც ადამიანს. მის ბიოგრაფიაში ყველაფერი გადაწონა ათასწლეულების წინ ქურუმთა მიერ ქართული ანბანში დამალულ საიდუმლოსთან ზიარებამ. მკვლევარს არ ემეტება თანამედროვეობა იმისთვის, რომ დავშორდეთ ჩვენივე საწყისებს, დავკარგოთ კავშირი ძირებთან, ამიტომ წინაპარათა ცოდნითა და სიბრძნით ნასაზრდოები დღესაც ფიქრობს, წერს, გვასწავლის...

დამწერლობათმცოდნე რამაზ პატარიძეს წელს 90 წელი უსრულდება. „არავი“ ულოცავს მეცნიერს საიუბილეო თარიღს. უსურვებს მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს, იმ ქვეყნისა და ერის კეთილდღეობას, რომლის სამსახურშიც გაატარა თითქმის საუკუნე!

გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ რამაზ პატარიძესთან.

- თქვენ არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, პატარიძეების გვარი მოდის მესხეთიდან. საინტერესოა, რა ისტორია არსებობს, ვისგან გაქვთ ეს განაგონი და რას გვიამბობს პატარიძეების გვარის წარმომავლობის შესახებ ეს გადმოცემა?

- მე პირადად ჩემი სოფლელების საუბრიდან ასეთი ცნობა არ გამაჩნდა. დაახლოებით გასული საუკუნის 90-იან წლებში, უფრო ზუსტად 2000-იანი წლების დასაწყისში, ათასწლეულების მიჯნაზე, თბილისში, თავისუფლების მოედანზე არსებობდა ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ერთი დაწესებულება. მის თავმჯდომარეს თურქული

გვარი კი ჰქონდა, მაგრამ მე მითხრეს, რომ ის ქართველი იყო და ქართული ენა იცოდა. ამიტომ ძალიან დავინტერესდი. აღმოჩნდა, რომ ის თურქეთის ცნობილი ბიზნესმენი ყოფილა და აქ ქართველ და თურქ ბიზნესმენთა საერთო დაწესებულება გაუხსნია. მე მივედი ამ ბიზნესმენთან და ქართულად დავიწყე ლაპარაკი. ჯერ ტელეფონით დავუკავშირდი, ყურმილი აიღო შესანიშნავი ქართული ენით მოსაუბრე პიროვნებამ. ასე, რომ მერე დიდი სიამოვნებით მიმიღეს თავის რეზიდენციაში და იქ გაიმართა საუბარი ჩვენ შორის. გამოირკვა, რომ იგი წარმოშობით იყო თურქეთის მესხეთიდან და გვარად იყო პატარიძე. ეს მან სრულიად ნათლად განმიცხადა. აი, რა მითხრა პატარიძემ: ჩვენ ვიცით გადმოცემით, რომ ჩვენი ნათესავები აქედან საქართველოში - ბათუმსა და ქუთაისში წავიდნენო. ახლა რაში ყოფილა საქმე. იქ, თურქეთში როცა დაიწყო მაჰმადიანობის გავრცელება, ასეთი ვითარება შეიქმნა: ნაწილმა მესხებისა, პატარიძეებისა, არ მიიღო მაჰმადიანობა და წამოვიდნენ საქართველოში. ზოგიერთი დარჩა, ზოგიერთი წამოვიდა. ასე, რომ წარმოშობით ჩვენ, პატრიძეები ვართ მესხეთიდან. იქ დარჩენილიც ყოფილა ბევრი. ამ თურქეთელმა პატარიძემ, რომელსაც გვარი ჰქონდა გამოცვლილი, თვითონ კარგად იცოდა თავისი გვარი, წარმომავლობა, თანაც, როგორც მოგახსენეთ, შესანიშნავი ქართულით საუბრობდა. ესე იგი პატარიძეები დღესაც თურქეთში ქართულად ლაპარაკობენ და ენას არ ივიწყებენ.

- დიახ, პატარიძეებს მართლაც ექნებოდათ კავშირი მესხეთთან, რადგან პატარიძეების გვარი ჩვენ გვხვდება 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებულ მაჰმადიან მოსახლეობაშიც. ხომ არ დაუსახელებია თქვენს თანამოსაუბრეს სოფლები, სადაც პატარიძეები ცხოვრობდნენ?

- სიმართლე გითხრათ, სოფელი არ მიკითხავს. მიმაჩნდა, რომ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარია, რომ ვინც არ მიიღო მაჰმადიანური რელიგია, წამოვიდა საქართველოში და იმათი შთამომავლები ჩვენა ვართ. იქაურებმა მიიღეს ეს სარწმუნოება და თურქეთში დარჩნენ. ეს არის, რაც ვიცი ჩემი გვარის წარმომავლობის შესახებ. უფრო დაწვრილებით არ მომიძიებია, არც თურქეთში ჩავსულვარ და არც პატარიძეების საგვარეულოში ვყოფილვარ. ამით დავკმაყოფილდი იმიტომ, რომ არა ვარ ისეთი ახალგაზრდა, რომ გავისარჯო.

- გადავიდეთ თქვენს უფრო ახლო წინაპრებზე, რომლებზეც დარწმუნებული ვარ, მეტი იცით. გვიამბეთ უახლოესი წინაპრების, ანუ მშობლების შესახებ.

- მამაჩემი იყო მიქელ პატარიძე. ის დაბადებულია 1895 წელს, გარდაიცვალა 1959 წელს 65 წლის ასაკში. ცნობილია, რომ იყო პოეტი, მაგრამ არ გამოუქვეყნებია თავისი ლექსები. თავის საკუთარ ლექსებს იშვიათად აქვეყნებდა და ძირითადად იყო დაკავებული თარგმანებით. ძალიან კარგად იცოდა ენები. თავისუფლად საუბრობდა რუსულ და ფრანგულ ენებზე. რუსულის ბრწყინვალედ მცოდნე იყო იმიტომ, რომ ჯერ სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და შემდეგ პეტერბურგში. იქიდანვე გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, იყო პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. შემდეგ მსახურობდა მეფის სასახლის დაცვის გვარდიაში და მეფის სასახლეს იცავდა.

რევოლუციის შემდეგ რუსეთში დაეხმარნენ, გამოასწრო და ჩამოვიდა საქართველოში. აქ მოღვაწეობდა გიორგი ნიკოლაძესთან ერთად. დაახლოებული იყო ქუთაისელებთან. ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ნიკო ნიკოლაძესთან, გიორგი ნიკოლაძის მამასთან. დღესაც ჩვენს სახლში დარჩენილია ნიკოლაძეებისაგან შეძენილი საწერი მაგიდა, ასე, რომ გიორგი ნიკოლაძის, ნიკო ნიკოლაძისა და მიქელ პატარიძის საწერი მაგიდა ახლა ჩემთან არის. რელიქვიასავით ვინახავ. როდინდელი მაგიდაა! 1895 წელსაა, მგონი, დამზადებული... რამდენი დროა გასული! საუკუნეზე ძველია! დედა არის ლეჩხუმელი, ნემსაძის ქალი და დიდი მადლიერი ვარ, რომ წერა-კითხვა და ქართული სული მისი წყალობით მიდგას სხეულში. მყავდა ორი და და ერთიც მე ვიყავი, სულ - სამნი, მეტი ვაჟი მიქელ პატარიძეს არ ჰყოლია. ჩემი დები გარდაცვლილები არიან, მე კი წელს 90 წლის ვხდები.

- თქვენ დაიბადეთ თბილისში, სოლოლაკში. სოლოლაკი ერთ-ერთი ძველი და კოლორიტული უბანია ჩვენი დედაქალაქისა. როგორ დაგამახსოვრათ თავი სოლოლაკში გატარებულმა წლებმა, როგორი იყო თქვენი უბანი თქვენი დროის თბილისში, რომელი შთაბეჭდილებები არ გახუნდა ბავშვობიდან?

- სოლოლაკში დიდხანს არ გვიცხოვრია. იქ რომ ვცხოვრობდით, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. როცა მიქელ პატარიძის ოჯახი და ნემსაძეები გაერთიანდნენ, მერე ვერაზე გადავსახლდით, ერთად დავიწყეთ ცხოვრება. მერე მოხდა ისე, რომ დედა ავად გახდა და აბასთუმანში წავედით საცხოვრებლად.

- სწორედ ამის შესახებ მინდოდა მეკითხა. თქვენ ბრძანებთ, რომ აბასთუმანში ცხოვრობდით კიდეც. რა პერიოდი გაკავშირებდათ აბასთუმანთან?

- სწორედ ის დრო, როცა დავიწყე სწავლა. სკოლაში აბასთუმანში შევედი. იქ სამი კლასი დავამთავრე. მეოთხე კლასში რომ გადავედი,

მიქელ პატარიძემ დაასრულა საკუთარი სახლის მშენებლობა თბილისში. იქამდე ჩვენ აბასთუმანში ვიყავით. მერე ზემელზე გადმოვედით. ამჟამად ისევ დავუბრუნდი ძველ ადგილს და ისევ სოლოლაკში ვცხოვრობ.

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი და მისი მნიშვნელობა ნამდვილად განუზომელია. ვიმედოვნებ, რომ ის თავის ფუნქციას მომავალშიც შეასრულებს. მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, არასოდეს განელდება ინტერესი უნივერსიტეტის იმ წლებისადმი, როდესაც კათედრებთან დიდი მეცნიერები, უნივერსიტეტის დამფუძნებლები იდგნენ. თქვენ გქონდათ ბედნიერება, მათ პირადად შეხვედროდით. როგორ გაიხსენებთ დიდი კორიფეებისდროინდელ უნივერსიტეტს?

- უნივერსიტეტში პირველად მამამ წამიყვანა 1940 წელს, როდესაც გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი და გზად გამაფრთხილა: დააკვირდი და დაიმახსოვრეო. ძალიან კარგად მახსოვს უკვე მიცვალებული ივანე ჯავახიშვილი. მე ჯერ მხოლოდ 12 წლის ვიყავი, ივანე ჯავახიშვილი რომ გარდაიცვალა, სკოლაში დავდიოდი. დედ-მამამ მოილაპარაკეს, წავეყვანე თუ არა მამას უნივერსიტეტში და გადაწყვიტეს, რომ წაყვანა სჯობდა. და ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ივანე ჯავახიშვილი, მართალია, მიცვალებული, მაგრამ ძალიან მკვეთრად აღმებეჭდა ჩემს მეხსიერებაში. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მამამ გამაფრთხილა. მე ძალიან მიყვარდა გაზეთები, ვკითხულობდი და კარგად მახსოვს, ივანე ჯავახიშვილის პორტრეტებით იყო გაზეთები გადავსებული. ამიტომ იმწუთშივე ვიცანი ივანე ჯავახიშვილი და ჩამრჩა კიდეც მეხსიერებაში მისი სახე, ჩამებეჭდა მისი ჰაბიტუსი.

- დაამთავრეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, რატომ აირჩიეთ ეს სპეციალობა?

- სხვათა შორის, ამ საკითხში მამას დავუჯერე. მამამ მირჩია, რაკი საქართველოს სპარსეთთან ძალიან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა (მამა „ქართლის ცხოვრების მკითხველი“ იყო). მირჩია, სპარსული ენა მცოდნოდა, რამდენადაც, როგორც გითხარით, საქართველო ძალიან ხანგრძლივად იყო დაკავშირებული სპარსეთთან. ამის გამო მე დავუჯერე მამას, მიქელ პატარიძეს დიდი გავლენა ჰქონდა ჩემზე და ჩავაბარე აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობაზე

- ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ თავს პავლე ინგოროყვას მოწაფედ მიიჩნევთ. პავლე ინგოროყვას ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო კვლევების შესახებ ცნობილია, მაგრამ ცოტამ თუ იცის,

როგორი პედაგოგი და როგორი ადამიანი იყო თქვენი მასწავლებელი პავლე ინგოროყვა?

- ამის შესახებ მინდა გითხრათ, რომ მე უმაღლესში ძალიან გატაცებული ვიყავი ივანე ჯავახიშვილით და განსაკუთრებით პავლე ინგოროყვათი. ყველაფერს მისას გაფაციცებით ვკითხულობდი. მაგალითად მისი „გიორგი მერჩულე“ გამოქვეყნდა 1954 წელს, მანამდე ის „მნათობში“ იბეჭდებოდა და მე წაკითხული მქონდა. უკვე უნივერსიტეტის დამთავრებისას (1950 წელს დავამთავრე) მთლიანად ჩაფლული ვიყავი პავლე ინგოროყვას შრომების კითხვაში და გადაუჭარბებლად შეიძლება გითხრათ, რომ პავლე ინგოროყვას რაც გამოქვეყნებული ჰქონდა, ყველაფერი ვიცოდი. საქმე ის არის, რომ უკმაყოფილო დავრჩი ჩვენი უნივერსიტეტისა. სამწუხაროდ, მიმაჩნდა, რომ პავლე ინგოროყვა ჯეროვნად არ იყო დაფასებული. უნივერსიტეტში კარგად არ ვსწავლობდი, რადგან სხვა რამ მაინტერესებდა. გატაცებული ვიყავი ქართული ანბანით, ეს მაწუხებდა ძალიან. სახტად დავრჩი, როცა პირველად გავიგე, რომ ქართული ანბანის, მისი წარმოშობის შესახებ ქართველებმა არაფერი ვიცით, ეს პირდაპირ ჩემთვის იყო გამაოგნებელი: როგორ, მე, ქართველმა, ქართული ანბანი არ ვიცი? ამასთან შეგუება არ მინდოდა და ვერც ვეგუებოდი! ამიტომ პავლე ინგოროყვამ მირჩია, რომ ჯერ ხელნაწერები შემესწავლა. მან მოახერხა და მე მიმიღეს ხელნაწერთა ინსტიტუტში. მაშინ იქ ილია აბულაძე იყო და ასე დაიწყო ჩემი კვლევები. ეს მოხდა უნივერსიტეტის დასრულებიდან უკვე 10 წლის შემდეგ. ამ პერიოდში დავდიოდი პავლე ინგოროყვასთან. მე რაკი მისი ნაწერები ყველა ვიცოდი, ამიტომ პავლე ინგოროყვა ერთგვარად აზრს მიზიარებდა. ჩვენი საუბრები არ იყო ხანმოკლე. ეს იყო ტკბილი საუბარი, სწავლა კი არა - ეს იყო ქართული სინამდვილის ანალიზი. პავლე ინგოროყვა ამ მხრივ ჩემთვის იყო პირდაპირ წამალი და იმედი, რომ მე მეკვლია ანბანის საკითხები. თვითონაც დამეხმარა ყოველნაირად და ყოველმხრივ. მითხრა, როცა ასეთი მიზანი გაქვს, ჯერ ხელნაწერები უნდა ისწავლოო, ამიტომ 1960 წელს დავიწყე მუშაობა ხელნაწერთა ინსტიტუტში და იქ ვსწავლობდი ქართულ ხელნაწერებს, განსაკუთრებით ხელნაწერების დათარიღების საკითხებს. ძალიან კარგად გავეცანი უძველესი დროიდან მოყოლებულ ქართულ სიგელ–გუჯრებს, ფაქტობრივად, 10 წელიწადი ვმუშაობდი ხელნაწერთა ინსტიტუტში და ეს საკმარისი დრო ოყო იმისათვის, რომ კარგად დავუფლებოდი ქართულ ანბანის საიდუმლოს. უკვე დამებადა, გამიჩნდა იმედი ქართული ანბანის ამოცნობისა.

- ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებებით იდეურად საზრდოობდით, პავლე ინგოროყვა თქვენი მასწავლებელი იყო, კიდევ თუა ვინმე მეცნიერი, რომელმაც თქვენი, როგორც მკვლევრის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა...

- არა, მეტი არავინ. ქართული ანბანის სპეციალისტი მაშინ არავინ არ იყო, ამიტომ ამ საკითხს მარტო შემოვრჩი. პავლე ინგოროყვას „ქართული წარმართული კალენდარი" რომ არის, იქ ქართულ ანბანზე საკმაოდ მნიშვნელოვანი კვლევა აქვს ავტორს ჩატარებული, ბევრი საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული. ასე, რომ ამ საკითხში ჯავახიშვილი იყო მხოლოდ და პავლე ინგოროყვა. რაღაცაში იყო საქმე. ამ საკითხს გაურბოდნენ. მერე გამოირკვა, რომ ეს შემთხვევითი არ იყო. მაშინ ყველა ინსტიტუტს თავისი გეგმა ჰქონდა და არსად ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ კვლევა არ იყო გათვალისწინებული. მე დამოუკიდებლად მივიღე ეს გადაწყვეტილება. ჩემი გადაწყველება ასეთი იყო: ჯერ უნდა ამომეცნო ქართული ანბანი, ის საიდუმლო, რაც მასში ძევს. გზა ქართული ანბანისაკენ გადიოდა სომხურ ანბანზე. კორნელი კეკელიძის მოსაზრებით, ჩვენ ანბანი შეგვიქმნა სომეხმა მესროპ მაშტოცმა, საჭირო იყო ამ საკითხის კვლევა. მაშინ, როგორც გითხარით, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი იყო ილია აბულაძე. ინსტიტუტიდან წავედი სომხეთში, მატენადარანში და იქ სომხური ხელნაწერების შესწავლა დავიწყე. მე დამებადა თანდათანობით ჩემი თვალსაზრისი, რომ არავითარი მესროპ მაშტოცი! ქართული ანბანი ძალიან ძველია, ხოლო სომხური ანბანი მე-5 საუკუნისაა ახალი წელთაღრიცხვით. ამ ორ დამწერლობას 1000 წელი აშორებს ერთმანეთთან.

- თქვენმა თაობამ შეძლო და მეცნიერებაში თავისი სიტყვა თქვა, გააგრძელეთ უფროსი თაობის გზა, ნაზრევი. საინტერესოა, რა იმემკვიდრეთ წინამორბედთაგან და თქვენ რას უტოვებთ მემკვიდრეობით მომავალ თაობას?

- საქმე ის არის, რომ, მართლაც, ჩვენმა თაობამ, წინა თაობის გზა გავაგრძელეთ. ვინ იყო წინა თაობა - ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა. ივანე ჯავახიშვილმა უდიდესი რამ გააკეთა, მან საფუძველი დაუდო ქართულ დამწერლობათმცოდნეობას, ქართულ პალეოგრაფიას. ახალმა თაობამ გააგრძელა ივანე ჯავახიშვილისა და პავლე ინგოროყვას გზა. მე რომ მკითხოთ, მე-20 საუკუნე ეს არის ივანე ჯავახიშვილისა და პავლე ინგორიყვას საუკუნე მეცნიერებაში. ახალმა თაობამ გააგრძელა ეს გზა. ახალ თაობაში მე ვგულისხმობ ისეთ

მეცნიერებს, როგორებიც არიან გურამ აბრამიშვილი, ზაზა ალექსიძე... ზაზა ალექსიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამოიცნო კავკასიის ალბანეთის დამწერლობა. სომხური დამწერლობა ამოვიცანი მე, აგრეთვე ქართული დამწერლობაც. ეს სამივე დამწერლობა ამოუცნობი იყო და ჩვენ, ახალმა თაობამ წვლილი შევიტანეთ საერთოდ ანბანური დამწერლობის წარმოშობის გარკვევის თვალსაზრისით. ჯერაც კაცობრიობას ამოცნობილი არა აქვს ანბანური დამწერლობა, ანბანური დამწერლობის წარმოშობა ზოგადად. ეგვიპტური წარმოშობისაა თუ ებრაული წარმოშობისა - ეს საკითხი ჯერ დასავლეთის მეცნიერებმა ვერ გაარკვიეს და დღემდე ბუნდოვანია. ჩვენ ამას, ფაქტობრივად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვიკვლევთ. ახლა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისია, ქართულმა მეცნიერებამ თავისი წვლილი შეიტანა საერთოდ ანბანური დამწერლობის წარმოშობის საკითხში. ანბანური დამწერლობის წარმოშობის შესახებ ჩემთვის ცხადია: ანბანური დამწერლობა შეიქმნა მხოლოდ ერთხელ, შექმნა მხოლოდ ერთმა ერმა და ეს, მე ვფიქრობ, არის ებრაული ანბანი. მაგრამ ამოცნობილი რატომღაც ვერ არის. ვერ იქნა ამოცნობილი ჯერჯერობით ვერც რუსი მეცნიერების, ვერც ევროპელი და ვერც ამერიკელი მეცნიერების მიერ. მათ ვერ შეძლეს ანბანური დამწერლობის წარმოშობის გარკვევა, ამდენად ქართულ ანბანს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ანბანს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საერთოდ კაცობრიობამ ამოიცნოს ანბანური დამწერლობა. თუ არადა, დღეს ქართულ ანბანს ბადალი არა ჰყავს იმიტომ, რომ ამოცნობილია ქართული ანბანი. დასრულებულია ძიების პროცესი. ასი წელიწადი ქართული მეცნიერება სწავლობდა ამ საკითხს, ივანე ჯავახიშვილიდან მოყოლებული და ჩვენი თაობის მეცნიერებით დამთავრებული. ამდენად, ქართული ანბანის კვლევა დაიწყო ივანე ჯავახიშვილმა 1914 წელს და დასრულდა ქართული ანბანის ამოცნობა 2014 წელს. 100 წელიწადი გრძელდებოდა! ზუსტად ამის შესახებ საჯარო ბიბლიოთეკაში საჯარო ლექციის დროს აღვნიშნე, რომ ქართული ანბანის კვლევა დასრულებულია, ქართული ანბანი ამოცნობილია და ეს არის შედეგი ასი წლის საქმიანობის. როგორც გითხარით, ივანე ჯავახიშვილიდან დაწყებული, დამთავრებული ქართველი მეცნიერების მიერ. არა მარტო მე ვმუშაობდი ამ საკითხზე. ვცდილობდი, რომ ბევრი ქართველი მეცნიერი ჩაბმულიყო ამ საქმეში და ამისი მნიშვნელობა ბევრს გაეგო. ყველას თავისი წვლილი შეჰქონდა. სპეციალურად იყო საჭირო მათემატიკოსების ჩართულობა,

ასტრონომიული კალენდრის შესწავლა. ძველი მათემატიკური გათვლების გარეშე ქართული ანბანის ამოცნობა შეუძლებელია.

- მივადექით თქვენს უმნიშვნელოვანეს ნაშრომს „ქართული ასომთავრული“. კვლევამ სერიოზული გავლენა იქონია საზოგადოებაზე, გამოიწვია უაღრესად დიდი ინტერესი, თუმცა... რატომღაც წიგნი დაბეჭდა გამომცემლობა „ნაკადულმა“. როგორც ჩანს, მოერიდეთ მთავლიტის წნეხებს. თუმცა წიგნის გამოსვლის შემდეგ მავანნი მაინც დაინტერესდებოდნენ გამოცემთ. ვინ იყო მაშინ გამომცემლობა „ნაკადულის“ ხელმძღვანელი, რომელიც არ შეუშინდა და გაუძლო ზეწოლას?

- მართლაც, ავერიდეთ ცენზურას და დავბეჭდეთ „ნაკადულში“. საქმე ის არის, რომ ჩემი ნაშრომი ქართულ ანბანზე უკვე არც ერთი ინსტიტუტის გეგმაში არ იყო, მათ შორის არც ხელნაწერთა ინსტიტუტში და ამიტომ ბევრი მოწინააღმდეგე გამოჩნდა, ყველამ უარი თქვა დაბეჭდვაზე. დაბეჭდვა იყო ჩემი მეგობრის, არჩილ სულაკაურის დამსახურება. არჩილ სულაკაურმა მაიძულა, ასე რომ ვთქვათ, იმიტომ, რომ ის იყო თავდადებული მეგობარი და დიდი პატრიოტი. ამიტომ, ცხადია, რომ მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გამოქვეყნებულიყო ჩემი ნაშრომი ჯერ „მნათობში“, ეს იყო 1972 წელი (1972 წელს „მნათობში“ დაიწყო „ქართული ასომთავრულის“ ბეჭდვა და მთელი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა. მერე, როცა „მნათობში“ მოვიდა რედაქტორად არჩილ სულაკაური, მერე ის ბეჭდავდა). წიგნი გამოვიდა 1980 წელს, არჩილ სულაკაური ამ დროს „ნაკადულს“ ხელმძღვანელობდა და „ნაკადულის“ მეშვეობით მოვახერხეთ დაბეჭდვა. მაგრამ, ერთის მხრივ, კარგი რამ გაკეთდა. ჯერ ერთი - არჩილ სულაკაურმა ოციათასიანი ტირაჟით დაბეჭდა (მეცნიერულ გამოცემაში, რომც დაებეჭდათ, დაიბეჭდებოდა 1000 ცალად, მეტად არა, ამიტომ მე მოვიგე, 20-ჯერ მოვიგე). ეს წიგნი ახლაც იყიდება. დღეს თბილისის ქუჩებში წიგნები რომ აქვთ გამოტანილი, შეგიძლიათ იშოვოთ, უთხრათ და დღესაც შეიძლება ამ წიგნის ყიდვა.

- თქვენ ამაზე დიდ ყურადღებას არ ამახვილებთ, მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეული წნეხი თქვენ მიმართ მაინც იგრძნობოდა. ეს, რა თქმა უნდა, აისახებოდა თქვენს საქმიანობაზე. რაც გვეტყვით ამის შესახებ?

- რა მოგახსენოთ, რაღაცა შევიწროვების მაგვარი, მართლაც მქონდა. მაგალითად, ხელნაწერთა ინსტიტუტიდან დამითხოვეს. მაშინ დისერტაციის დაცვა აუცილებელი იყო, დავიცავი დისერტაცია და „ენციკლოპედიაში“ გადავედი. რატომღაც არასანდო ადამიანად ვიყავი მიჩნეული, თუმცა, არ ვიცი, რატომ, მაგრამ იქიდანაც დამით-

ხოვეს და დავბრუნდი ხელნაწერთა ინსტიტუტში. ხელნაწერთა ინსტიტუტში ნაშრომი მე შევასრულე გეგმის გარეშე. როგორ იყო ინსტიტუტში, იცით: შენ გაქვს შენი თემა, შენ ასრულებ გეგმას. ის სომხური ანბანი რომ ამოვიცანი, ეს იყო ხელნაწერთა ინსტიტუტში ყოფნის დროს. როცა ამოვიცანი ქართული ანბანი, მე დათხოვილი ვიქმენ ხელნაწერთა ინსტიტუტიდან. მაგრამ მთავარი რა არის, იცით? მთავარია, რომ მქონდა მიზანი და ჩემი მიზნიდან არასოდეს გადამიხვევია. მე უნდა ამომეცნო ქართული ანბანი!!!

- თქვენ ბრძანეთ, რომ დღემდე არ არის შესწავლილი ანბანური დამწერლობა მაშინ, როდესაც მეცნიერებმა იეროგლიფური დამწერლობის გაშიფვრა შეძლეს. რატომ აღმოჩნდა უფრო ძნელი ანბანური დამწერლობის წარმოშობის საკითხის გარკვევა?

- მე მგონი მიზეზი ის არის, რომ ანბანური დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლები იწყება დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის, ანუ ქრისტესშობამდე, მე-18 საუკუნეში, მანამდე არ ჩანს. ეს არის გაკრული ხელით შესრულებული ნარწერები. ეს არის ჩრდილო სემური ენების, მონათესავე ენების, ანუ ებრაელების, ქანაანელების, არამეელების, უგარიტელების, ფინიკიელების და ა. შ. დამწერლობა. უთუოდ გამოთქმულია სწორი დებულება იმის შესახებ, რომ, როგორც ზევითაც აღვნიშნე, ანბანი შეიქმნა ერთხელ და შექმნა ერთადერთმა ერმა. სხვა ერებმა ეს ანბანი გადაიწერეს, კი არ შექმნეს, გადაიწერეს და ამით მივიღეთ, ვთქვათ, ბერძნულ-ლათინური დასავლური სისტემა ანბანური დამწერლობისა და აღმოსავლური სისტემა ანბანური დამწერლობისა. სამწუხაროდ, ქართული ანბანი არ ეკუთვნის არც ერთ განშტოებას. აი, ეს იყო ის თავსატეხი ამოცანა, რომელიც უნდა ამოცნობილიყო. კითხვას რომ დავუბრუნდეთ, ჩემი თვალსაზრისი ასეთია, შეიძლება ითქვას, ვარაუდი: საერთოდ ანბანურ დამწერლობას ქმნიდნენ ქურუმები, ანუ რელიგიის მესვეურები. ქურუმთა ქვეყნები უპირველესი ქვეყნებია: ძველი ეგვიპტე, ძველი ბაბილონი, ძველი კოლხეთ-იბერია, რომელიც ამოვარდნილია ამ ორი ცივილიზაციის სფეროდან იმიტომ, რომ ჩვენ მცირე ცნობები გვაქვს ამ იბერიულ-კოლხური ცივილიზაციის შესახებ. მოღწეულია ჩვენამდე არა ქურუმთა ანბანური სისტემა, არამედ საყოველთაო, საყველპურო. თანაც ყველასათვის ადვილად მისაწვდომ ფორმებშია ეს მიწოდებული. ანბანური დამწერლობის არსი და რაობა უპირველესად რა არის? საქმე ის არის, რომ ის უპირველესად არის ბგერის სიმბოლო და რიცხვის სიმბოლო. რატომღაც არავინ არ იცის ქარ-

თული ანბანის ასო-ნიშანთა სახელები. სკოლაში არ ასწავლიან, არადა, ეს ასე არ უნდა იყოს. გაგახსენებთ აკაკი წერეთლის მიერ ლექსად თქმულს, რომ ყმანვილო, თუ გსურს გიყვარდეს შენი სამშობლო ძალიან, პირველი ეს დაისწავლეო, რომ პირველი ასო არის „ან“. პირველი ასო-ნიშნის სახელში დევს საიდუმლო. ამ საიდუმლოს იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ გვაქვს მეოთხე საუკუნის თხზულება. ამ ძეგლს ეწოდება „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

- თქვენ ამბობთ, რომ ეს ნაწარმოები შეიქმნა მეოთხე საუკუნეში? რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

თარიღი თვითონ ტექსტშია მოცემული. აქ, ამ თხზულებაში წერია: „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“, იგულისხმება, რომ ყოველი საიდუმლო ქართულ ანბანშია დამარხული, ეს თხზულებაც ძალიან რთულია იმიტომ, რომ რთულ მხატვრულ ფორმებშია მოცემული, ეგრეთწოდებული წყობილი სიტყვის რიცხვების ძეგლია. არსებობს ქართული ძველი პოეზიის სხვადასხვა ვარიანტი კლასიკური ფორმის მარცვლედობაზე დამყარებული, არის უმარცვლედო ლექსებიც. ამ უმარცვლედო ლექსით არის „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ დაწერილი.

- რატომ ვერ ამოიცნეს მეცნიერებმა ანბანის საიდუმლო?

- თურმე რაკი ჩვენს ხელთ არ არის ქურუმთა მიერ შესრულებული და არ არის ჩვენამდე მოღწეული! მოღწეულია საყოველთაოდ წარწერები ისევ ქურუმების მიერ ხალხისთვის შექმნილი წარწერები. მოგეხსენებათ ახლა თქვენ, რა რთულია იეროგლიფური, ვთქვათ, ეგვიპტური დამწერლობა. იეროგლიფური დამწერლობა რომ იცოდე, ათასამდე იეროგლიფი უნდა იცოდე და ეს ძალიან რთულია. არადა, სემურ ანბანში სულ 22 ასო-ნიშანია, საკმარისია ეს 22 ასო-ნიშანი დაიმახსოვრო და უკვე წერა-კითხვის მცოდნე ხარ. ჩვენამდე მოღწეულია ქურუმთა ერთადერთი ანბანური დამწერლობა – ეს არის ქართული. სხვა, მეორე ქურუმთა ანბანური დამწერლობა არ არსებობს!? ერთადერთი ანბანური ქურუმთა დამწერლობა არის ქართული. ქართული ანბანის შესახებ ბევრი ცნობა გვაქვს. სამწუხაროდ, ამ ცნობებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ ცოდნა ქართული ანბანის შესახებ ყოველთვის არსებობდა უმაღლეს წრეებში. ანუ ქართული ანბანის საიდუმლოს ზიარებულნი იყვნენ დიდი პიროვნებები: მეფის სასახლის უმაღლესი საზოგადოება, ან ეკლესიის უმაღლესი წინამძღვრები. ვთქვათ, სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი. ისინი ისეთ ცნობებს

გვაწვდიან, რომ დღემდე ამ ცნობებსაც ვერ ვგებულობთ, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანი ამბობს: „**ენა ქართული (იმეორებს იმას, რასაც მეოთხე საუკუნის ქურუმი ამბობდა), შესრულებული და განვრცელებული და განრკვეული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა წარმართი“.** მართლაც ძნელი გასაგებია.

- როგორც ბრძანებთ, ქართველთა ანბანი ამოსაცნობია, მასში ჩადებულია საიდუმლო ქურუმთაგან, რატომ ასაიდუმლოებდნენ ქურუმები ანბანს, რატომ არ აცხადებდნენ მასში ჩადებულ საიდუმლოს?

- დავიწყოთ იქიდან, რომ ქართული ანბანი არის ქურუმთა ანბანური დამწერლობა და ის საიდუმლოა. თქვენი კითხვის პასუხად მივყვეთ ისტორიას. ასეთი ისტორია აქვს ქართულ ანბანს: ქართული ანბანი შეიქმნა ქართული დრო-ჟამის სათვალავის საფუძველზე, კალენდარი რომ ვთქვათ ლათინურად. ესე იგი, ჩვენ არ გვჭირდება ყოველწლიური კალენდარი, საკმარისია, გვქონდეს ქართული ანბანი, რომ იქ ამ ანბანის მეშვეობით ხდება წლების, თვეების, კვირების წუთების, წამების, საათების, წელიწადების ათვლა. ამიტომ, ცხადია, ქართული ანბანი დაკავშირებულია წელთაღრიცხვასთანაც და საწყისი რა არის? საქმე ის არის, რომ ძველი ქართველები იყვნენ მთვარის ღმერთის თაყვანისმცემლები, როგორც სხვა უძველესი ერები, მაგრამ ძვ. წ-აღ-ით 540 წელს საქართველოში დამთავრდა მთვარის კალენდარული ეპოქა. ეს არის ქართული ანბანის შექმნის დასაწყისი თარიღი და ამავე დროს, როგორც გითხარით, დასრულდა საქართველოში მთვარის კალენდარული ეპოქა, დრო-ჟამის სათვალავი და მზის დრო-ჟამის სათვალავი დაიწყო, ე.ი მთვარის კალენდარული ეპოქის შემდეგ მზის კალენდარული ეპოქა დაიწყო. ანბანი კალენდარია, ქართულ ანბანში დადასტურებულია მზის კალენდარი. ქართველებმა დაიწყეს მზის კალენდარულ სისტემაზე გადასვლა. მრგვლოვანი არ ნიშნავს წრიულს! ქართველმა ქურუმებმა იცოდნენ, რომ დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო არა წრიულად, რაც ეგონა კოპერნიკს. ქართველმა ქურუმებმა ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში იცოდნენ ის, რაც ევროპამ გაიგო მეცხრამეტე საუკუმეში.

- ბატონო რამაზ, გთხოვთ, დავაზუსტოთ ერთი საკითხი: თქვენ ამბობთ, რომ ქართული ანბანის ასწლოვანი კვლევის ეპოქა დასრულდა მისი ამოცნობით. იქნებ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს რომ ქართული ანბანი ამოცნობილია?

- პირველ რიგში, შესწავლილია ქართული აბნაბის ასო-ნიშანთა ბგერითი მნიშვნელობა და დადგენილია მისი წარმოშობის თარიღი. გაგახსენებთ გალაკტიონ ტაბიძის წინასწარმეტყველურ ლექსს:

„შენ, რომელიც მარად მზეებრ გვინათ,
არა გუშინ გაჩნდი თვალის ჩინად,
არამედ მზით ამოენთე ბრწყინვად -
ოცდაექვსი საუკუნის წინად...
იმდროიდან დაწყებული დღემდე -
როს გათენდა, მზით ანთებულ ზემდეგ,
სერზე აველ, მთაწმინდაზე შევდეგ
ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ“ - იწინასწარმეტყველა, პოეტური გენიით მიხვდა, სხვაგვარი პოეტური ხედვით განჭვრიტა და, ფაქტობრივად, თარიღთან ახლოს მივიდა გალაკტიონი. ასევე გაშიფრულია ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობა და ამოცნობილია ის ასტრონომიული ცოდნა, რომელსაც ინახავს ჩვენი ანბანი. მაგალითად: ქართულ ანბანში დასტურდება ბაბილონური რვაწლიანი მთვარის კალენდარული სისტემა, მზე-მთვარის 19-წლიანი კალენდარული სისტემა, მზის კალენდარი. მთავარია, რომ დასტურდება 4-წლიანი ჟამეული, 32- წლიანი ციკლი და 128-წლიანი ჟამეული.

ქართული ანბანის შექმნა დასრულდა 540 წელს ძველი წელთაღრიცხვით, ეს სიბრძნე რომ განხორციელებულიყო ამ ანბანში. ესე იგი, ამოცნობილია ქართული ანბანი ნიშნავს, რომ ამოცნობილია მისი ასო-ნიშნები, მასში ჩადებული კალენდარული, მათემატიკური ასტრონომიული სიბრძნე. ვიცით მისი შექმნის თარიღი.

- თქვენ არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ არასამართლიანი დამოკიდებულება გვაქვს ჩვენი ისტორიული წყაროების მიმართ, უბრალოდ, არ ვენდობით ჩვენს ისტორიულ წყაროებს. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ქართულ მეცნიერებაში ეს ტენდენცია?

- მართლაც, გვჭირს ქართველებს რაღაც. ხშირად გვგონია, რომ ჩვენმა წინაპრებმა არაფერი იცოდნენ და ჩვენ, მეცნიერებს გვაქვს ყველაფრის ცოდნა. ეს ცოტა სამარცხვინო ამბავია. მე მგონი ასეთი დამოკიდებულება არასწორია და ევროპელი მეცნიერების გავლენის შედეგია.

ქართული ანბანი ძველი წელთაღრიცხვის 550 წელს ამოქმედდა. ეს დიდი საქმეა. ჩვენ ქართული ანბანის შექმნის დასაწყისიც ვიცით, მისი დასასრულიც ვიცით. ჩვენ ამოქმედების თარიღიც კი ვიცით. ანბანი თვითონ გვეუბნება ყველაფერს თავის შესახებ. ჩვენ გვაქვს ფარნავაზ მეფის წარწერა. ვიცით, რომ ფარნავაზს არ შეუქმნია

ანბანი. მატიანეები ყველაფერს გვეუბნებიან: „**და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არ-ღა-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.** მართლაც, აიტეხეს მეცნიერებმა, ჩემო ბატონო, ამან ფარნავაზმა შექმნა ქართული ანბანიო. არა, ბატონო. არ წერია ეს არსად! მწიგნობრობა არ ნიშნავს ანბანს. მწიგნობრობა არის წერა-კითხვის ცოდნა. ფარნავაზმა შექმნა წერა-კითხვა. იქვე მემატიანე გვეუბნება: „ესე წიგნი ქართლისა ცხოვრებისა იწერებოდა ჟამითი-ჟამად, ვიდრე **ვახტანგ გორგასალამდე**“. გვაქვს აგრეთვე ქართული შემეცნებათა მატეანე, ბრწყინვალე მატიანე, ეს ცოტა უფრო გვიანდელი ძეგლია და მასში ზოგადი მიმოხილვაა წარსულისა, რაც ქართველმა უნდა იცოდეს. ამ ძეგლში ვკითხულობთ: „**არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა ვიდრე ფარნავაზამდე. სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა, ესე იგი ქურუმთა მათ რომელთა უხუცესთა და ხევისბერთა უხმობენ. იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხ-ვერპლენი ერისანი, ღმერთთა მიმართ და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი და წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცურნი“.** ყველაფერი ხომ წერია. მე არ მეგულება უფრო კეთილშობილი მემატიანეები, როგორებიც არიან ქართველები. საოცარია მათი პატიოსნება. არადა, ჩვენ სულ უკულმა ვიგებთ, რა იციან მათ ჭეშმარიტება, ჩვენ ვიცით ყველაფერიო. მე მგონია, ჩვენი მემატიანეებისადმი უნდობლობა, როგორც მოგახსენეთ, ევროპელი მეცნიერებისგან წამოვიდა და ჩვენ ქართველებმაც მხარი ავუბით. კაცობრიობის წარსულმა და აწმყომ იცის ერთადერთი ანბანური დამწერლობა, ეს არის ქართული ანბანური დამწერლობა!

- სამწუხაროდ, ქართული წყაროებისადმი უნდობლობა მხოლოდ ქართული ანბანის თემით არ შემოიფარგლება. თქვენ ჩვენი მატიანეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე საუბრობთ „ვეფხის-ტყაოსანთან“ დაკავშირებითაც...

- მოგეხსენებათ, არსებობდა შოთა რუსთაველის სახელობის ლი-ტერატურის ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი სწავლობდა ქართულ მწერ-ლობას და მათ შორის უპირველესი ქართველი პოეტის, შოთა რუსთა-ველის „ვეფხისტყაოსანს“, დამთავრდა ეს მუშაობა? სამწუხაროდ, არ დამთავრებულა და შეწყდა! შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რუსეთის იმპერიის შემოსვლით, ბაგრატიონებისა და ორბელიანების

საგვარეულოს დაქსაქსვითა და მოსპობით, დაიკარგა ძველი ქართული ცოდნა ჩვენი წარსულისა, მაგრამ შემოგვრჩა მატიანეები, რომელთა შესწავლა დაიწყო მეოცე საუკუნიდან, მათ შორის „ვეფხისტყაოსნისას“. სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ ვერ შევთანხმდით, როდის მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი. რომ გავიხსენით, ნიკო მარი, მეთოთხმეტე საუკუნით ათარიღებდა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას და მისი მოსაზრების მიხედვით შოთა რუსთაველი იყო მეთოთხმეტე საუკუნის მწერალი. რატომ არ ვუჯერებდით მატიანეებს. ისევ გავიმეორებ, ეს იყო ჩვენი მეცნიერების ერთ-ერთი ნაკლი. იყო შეცდომა იმის აღიარება, რომ ყოველგვარი ცნობები, ქართული წყაროები არასანდოა ჩვენი წარსულის შესახებ. ეს სენი სჭირდა თვით ივანე ჯავახიშვილსაც კი. აბა, რწმენა რომ ყოფილიყო, ჩვენი მატიანეებისა, ხომ წერია, „ქართლის ცხოვრებაში“, რომ ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული. ეს იმთავითვე უარყოფილ იქნა. არადა, მატიანეებს თვითმხილველები წერდნენ. მატიანეების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს სულთა მოსახსენებლებს, ანუ აღაპებს. მაგალითად, არსებობს A ფონდის 1089 ხელნაწერი „გერგეტის სამების სულთა მატიანე“. ამ მატიანეში (გვიანდელი ჩანაწერია, რადგან გადაწერილია და ეს ბუნებრივიცაა) წერია, რომ მგოსანი შოთა წარვიდა იერუსალიმს და მუნ აღესრულა. მოცემულია თარიღიც - 1219 წელი. არ გვჯერა ამისი და ჩვენი უბედურებაც ეს არის, აქ თარიღიც წერია, რიცხვიც და თვეც. წერია, თამარის გარდაიცვალების თარიღიც, - 1213 წელი, 18 იანვარი. სწორია ბატონო, რას ვერჩით! ე. ი. შოთა რუსთაველი არც 14 საუკუნის მოღვაწეა და არც უფრო ადრინდელი.

- საინტერესოა თქვენი მოსაზრებები ნეკრესის წარწერებისა და დავათის სტელის შესახებ?

- იცით, წარწერებზე საუბარი საიდან უნდა დავიწყოთ? პირველ რიგში, ქართული ანბანის შესწავლით. ქართული ანბანის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი ტექსტის წაკითხვა.

გავიხსენოთ ბოლნისის სიონის წარწერა. თქვენ იცით, რომ ეს წარწერა მიჩნეულია უძველეს ძეგლად. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ძველ წარწერებს ვერ ვკითხულობთ! იმიტომ, რომ ანბანის ამოცნობა ახლა დამთავრდა და მეცნიერებმა, ყველამ ეს არ იცის. მაგალითად, არაბობამდელი დამწერლობის ძეგლებს ვერ ვკითხულობთ. აკაკი შანიძემ ბოლნისის სიონის წარწერა მართებულად ვერ წაიკითხა, აღნიშნა კიდეც, ნახევარი ჩამორეცხილიაო. ასეც არის, მაგრამ როცა ანბანის ცოდნითა ხარ შეიარაღებული, თითქოს ასო-ნიშნები თვითონ აღმოცენდებიან

და ადვილდება. ბატონი ბაადურ მჭედლიშვილი სათავეში ჩაუდგა ბოლნისის სიონის ამოკითხვის პრობლემას და ჩვენ ოთხი წელიწადი ვმუშაობდით, რომ ამოგვეკითხა. წარწერა რელიეფურია, ამობურცული ასოებით არის შესრულებული. წყალმა ეს ასო-ნიშნები ჩამორეცხა და დარჩა მოტიტვლებული ზედაპირი, მაგრამ დაუწერელ ზედაპირსა და დაწერილ და წაშლილ ზედაპირს შორის გარკვეული ამინდის პირობებში იფეთქებდა ხოლმე ეს განსხვავება. ოთხი წელიწადი მოვანდომეთ მე და ბაადურმა წარწერის წაკითხვას. თქვენ იცით, როგორ კითხულობდა შანიძე და ახლა მე მოგახსენებთ ქართული ანბანის ამოცნობის შემდეგ როგორ იკითხება ეს წარწერა: „**უფალო შეწევნითა წმიდისა სამებისაითა უფალთ უფლისა პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლისა ჟამეულსა აღხეშენა. ჯვარსა ქრისტესა ვინ აქა შინა თაყვანი ხცეს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამისა ეკლესიაჲსა მშრომელსა ბოლნელსა ეპისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღმერთმან შეიწყალენ, ამენ“.** დაუგდეთ ყური, დიდებული წარწერაა, მღერის თითქოს. ასევე ამოსაკითხი იყო თარიღი ამ წარწერისა. ამ დროს ასევე უნდა ვიცოდეთ ქართული ანბანის კალენდარული მონაცემები, როგორ იწერებოდა თარიღები მგვლოვანი ასომთავრული დამწერლობით. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა, მთავარი კი ის გახლავთ, რომ ჩვენ ვერასდროს წავიკითხავთ წარწერებს სწორად, თუ არ შევიარაღდებით ქართული ანბანის ცოდნით.

თქვენ მეკითხებოდით დავათის სტელაზე, დავათის ქვა-ჯვარის შესახებ. მას ვერ წავიკითხავთ, თუ არ ვიცით ანბანი, არადა, იქ მითითებულია ძალიან ცხადად და მარტივად 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა.

- ხშირად ისმება კითხვა ქართული და სომხური ანბანის ურთიერთმიმართების შესახებ. საუბრობენ გარეგნულ მსგავსებაზეც. რას გვეტყვით ამის შესახებ თქვენ, ვინც საგანგებოდ სწავლობდით სომხურ ანბანს?

- ქართული ანბანი ვიცით, როდის შეიქმნა და ამოქმედდა. როგორც გითხარით, ეს არის 540 წელი ძველი წელთაღრიცხვით. ასევე ასე თუ ისე, ვიცით როდის შეიქმნა სომხური ანბანი. სომხური ანბანის შექმნა უკავშირდება მესროპ მაშტოცს. მესროპ მაშტოცის დაბადების დროც ცნობილია, დაიბადა 362 წელს და გარდაიცვალა 440 წელს. დააკვირდით, ბოლნისის სიონის წარწერა უკვე შესრულებული იყო ქართველი ქურუმების მიერ მაშინ, როდესაც ჯერ

მესროპ მაშტოცი დაბადებულიც კი არ იყო. თვითონ სომეხი მეცნიერები ანბანის შექმნას ახალი წელთაღრიცხვით 414 წლით ათარიღებენ. ამ პერიოდშია შექმნილი სომხური ანბანი. რაც შეეხება მსგავსებას, ეს იმიტომ არის, რომ აღებულია ქართული მოხაზულობა და მიცემული აქვს სხვა ბგერითი მნიშვნელობა. ეს არის და ეს!

- ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, თუ რატომ ასაიდუმლოებდნენ ქურუმები ქართულ ანბანს. საინტერესოა თქვენი მოსაზრება კიდევ ერთ საკითხზე. რატომ დავკარგეთ ცოდნა ქართული ანბანის შესახებ? როდის დავკარგეთ ინფორმაცია და რამ შეუწყო ამას ხელი?

- კარგი კითხვაა. დიახ, ძველად დამწერლობას ქმნიდნენ ქურუმები. ეს უძველესი ანბანური დამწერლობის ძეგლები ქურუმთა შექმნილი არ ჩანს, არამედ გამარტივებულია, გაუბრალოებულია საყოველთაო ხმარებისათვის, მდაბიოთათვის. ბერძნებმა გადაწერეს ფინიკიური დამწერლობა და ეს არის მათი დამწერლობა. ყველასგან განსხვავებულია, არავის ჰგავს და კიდევ უფრო დიდი საიდუმლოა ქართული ანბანური დამწერლობა. თუ ჩვენ მრგვლოვანი ხუცური, ნუსხა-ხუცურის შესახებ ყველაფერი ვიცით იმიტომ, რომ მადლობა ღმერთს, ჩვენი მატიანეები დროდადრო გვამცნობენ ხოლმე. ცოდნა ამ საიდუმლოსი უმაღლეს წრეებში ყოველთვის არსებობდა. კარგად იცის ყველაფერი სულხან-საბა ორბელიანმა. ორბელიანებმა და ბაგრატიონებმა მრგვლოვანი ხუცური კარგად იცოდნენ, რა საიდუმლოც იყო აქ შენახული. წავიდნენ სახელმწიფოს მესვეურები და ცოდნა ანბანის შესახებ გაქრა. ჩვენ ვამბობთ, რომ უძველესი ძეგლია „შუშანიკის წამება“. ეს თხზულება მე-6 საუკუნეშია შექმნილი და ამის შესახებ წერია „ქართლის ცხოვრებაში“, მაგრამ არა, ვამტკიცებთ, რომ ჩვენ ვიცით და მემატიანეებმა არ იცოდნენ. რაღაცა სენი შეგვეყარა. ჩვენ, ბოგანოებმა ყველაფერი ვიცით და ჩვენმა წინაპრებმა არაფერი იცოდნენ. ყველაფერი პირიქით არის.

ამოცნობილია ქართული ანბანის ასო-ნიშნების რაობა. ფარნავაზის დროს ქართულ ანბანს დაემატა 36-ე ასო-ნიშანი. ეს იცოდა სულხან-საბამ და წერდა კიდეც ამის შეასახებ. რაც შეეხება იმას, თუ როდის დაიკარგა ქართული ანბანის ცოდნა, რუსეთის იმპერიის შემოსვლის შემდეგ, როცა მოიშალა ქართული უმაღლესი მმართველობა ბაგრატიონებისა.

- როგორც ბრძანებთ, დაასრულეთ ქართული ანბანის ამოცნობა. ეს უდიდესი და ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაა. საინტერესოა, რა მიმართულებით არის საჭირო დღეს ქართული ანბანის კვლევა, რა ამოცანა დგას თანამედროვე მეცნიერის წინაშე?

დიახ, ქართული ანბანი ამოცნობილია, მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ მხოლოდ ჩემი დამსახურებაა. ყოველთვის საერთო წესით უნდა გაკეთდეს ის, რაც გასაკეთებელია. მე შემოვიღე ქურუმთა წესი, ქართული ანბანი ხომ ქურუმთა საერთო ძალით იქმნებოდა და არა ერთი კაცის მიერ. ახლა რომ იკვლევს მეცნიერი, ეს ჩემიაო, ამბობ, როგორ შეიძლება. მახსოვს, ერთხელ, აფაქიძესთან მივედი, ვიცეპრეზიდენტი იყო მაშინ. ვუთხარი, ხელნაწერთა ინსტიტუტში ვმუშაობ და ხელნაწერს არ მაძლევენ-მეთქი. არაო, ამ ხელნაწერზე სხვა მუშაობსო, - მიპასუხა. არ შეიძლება აკრძალვა! განა ანბანი კერძო საკუთრებაა, როგორ შეიძლება აუკრძალო ვინმეს ანბანის კვლევა. ეს ეკუთვნის ერს. ქართველი ერის საკუთრებაა და საერთო ძალით უნდა წარიმართოს, რომ შედეგი დაიდოს. ასევე აუცილებელი იყო სომხური ანბანის ამოცნობა იმიტომ, რომ სომხური გზაზეა. სომხური უნდა შემოგაკვდეს ხელში, სხვა გზა არ არის, რომ ქართულამდე მიხვიდე! ასე, რომ საჭირო იყო საერთო ძალისხმევა, ამიტომ მივმართე მათემატიკოსებს და სხვა მეცნიერებსაც. მათემატიკოსებმა ძალიან გამიმართლეს და საჭიროა ჩაერთონ ასტრონომები, ისეთი საიდუმლოა ქართულ ანბანში, რომ საჭიროა ყველას ცოდნა. როგორც გითხარით, ქართულ ასომთავრულში, გარდა ძირითადი ანბანური დანიშნულებისა, სხვა ინფორმაციაც არის. გარკვეულია, რომ ეს ინფორმაცია არის რიცხვითი და ასტრონომიული.

ახლაც უნდა გაგრძელდეს ქართულ ანბანზე მუშაობა. ახლა მთავარია, ვისწავლოთ ის, რაც ქართულ ანბანშია ჩადებული. ვისწავლოთ, შევიარაღდეთ ქართული ანბანის ცოდნით. ეს უნდა გააკეთეთოს მომავალმა თაობამ და კიდევ ერთი, სკოლაში უნდა ვასწავლოთ ჩვენს ბავშვებს ქართული ანბანი! ეს ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლაში უნდა ისწავლებოდეს ქართული ანბანი. დაახლოებით ის, რომ მთავრულად ასე იწერება...

ჩვენ აღარც მრგვლოვანი ხუცური ვიცით, არც მწიგნობრული ნუსხა-ხუცური ვიცით, არც მდივან-მწიგნობრული ვიცით, არც ძველი მხედრული ვიცით და რაც მხედრული გვაქვს, ისიც დაგლეჯილია. ამოგლეჯილია ასოები, დაკარგული აქვთ რიცხვითი მნიშვნელობა. მეცხრამეტე საუკუნეში დაიგლიჯა უმოწყალოდ ქართული ანბანი. შენ თუ მომავალი ხარ, თუ ქვეყანა ხარ, ააღორძინე მწიგნობრობა, კალენდარი, წელთაღრიცხვა და ასე შემდეგ... აი, რა ევალება მომავალ თაობას!

ინტერვიუერი მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე

ლალი ბრეგვაძე-კახიანი

ლალი ბრეგვაძე-კახიანი – მწერალი, მთარგმნელი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად, სხვადასხვა გამომცემლობაში რედაქტორის თანამდებობაზე, სამხედრო ჟურნალ „მეომარში" და საბავშვო ჟურნალში – „მინდა ყველაფერი ვიცოდე" – სტილისტად. გამოცემული აქვს მოთხრობათა კრებულები. ესპანურიდან თარგმნა და გამოსცა ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობები და მიგელ დელიბესის რომანი „ხუთი საათი მარიოსთან". მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, სლოვაკურ, ინგლისურ, ფინურ ენებზე. დააარსა და გამოსცემდა გაზეთ „ირაოს".

ხმა ანდეგრაუნდიდან

არ ვიცი, როდის მივხვდი, ცხოვრება ის სულაც არაა, რაც ნიაღვრებში ჩაკარგულ ჩემს ბილიკებზე დიდხანს სიარულისას მეგონა. დინების საპირისპიროდ სვლა დამიბედა ჭეშმარიტებათა ამაო ძიების დამქანცავმა ცდამ. უშედეგოდ დავშვრი, ბევრი ვერაფერი გავაწყვე, თუ არ ჩავთვლით, რომ ახლა უფრო გულმოწყალე ვარ, შენდობაც მეტი შემიძლია. დანამდვილებით ვირწმუნე, ყოველი ჩვენგანი ჯვარზე მიტევებული ავაზაკია, რაც ბევრს გვავალდებულებს, სრულიად ცვლის ლამის დოგმებად ქცეულ წარმოდგენებს იმ შესაძლებლობებზე, საკუთარი მონაპოვარი რომ გვგონია.

ქვიშის საათს დაემსგავსა ყოფა. ჟამი ჟამობს. მე კი უნდა ვამტკიცო, ჩემი ადგილი ანდეგრაუნდში არ არის. მახინჯი დროის ისეთი შეცდომაა იგი, როდესაც ბამბამ ყურთასმენის წამღებად ჩხრიალი ისწავლა. შემზარავია ეს ხმები, მასში უსამართლობის ზარები რეკენ, რწმენის უკანასკნელი ნაპერწკლის მომშთობი, სამაგიეროდ, ფხიზელი ინსტინქტებით აღჭურვილთა ვნებების დამაოკებელი.

ცოტაც და შემშურდება მიდგომ-მოდგომის ნიჭით დაჯილდოებულების, ყოველგვარი სიტუაციის სათავისოდ გამოყენება რომ

ეხერხებათ. მათ ვინ შეედრება, ამ საქმის ვირტუოზები არიან, ნამდვილი ჯადოქრები. უთუოდ ლურჯი ფერის დამსახურებაა, სწრაფი და სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება რომ შეუძლიათ. ეს ფერი ტვინს ეხმარება, ააქტიურებს მის მუშაობას. ბიოლოგები დამიდასტურებენ, იგი აუცილებელია პილოტის კაბინაში, საოპერაციოში, ან მნიშვნელოვანი მოლაპარაკების დროს. ლურჯის ცქერიდან ორმოცი წუთის განმავლობაში ამაღლებული განწყობა ნარჩუნდება. შემთხვევითი როდია, ახალჯვარდაწერილები თაფლობის თვეს ზღვაზე რომ ატარებენ, ანდა მთაში, სადაც ახლოა ლაჟვარდოვანი ცა. ასეა, არაფერს ვაჭარბებ. ნათქვამში ნურანაირი სხვა ქვეტექსტის ძიებას ნუ შეეცდებით. ხოლო, თუ მაინც არ გსურთ დაჯერება, ძალიან გამიცრუებთ იმედს. მაშინ მოგახსენებთ აგერ, ახლახან მომხდარ ფაქტს მთლად ცინცხალი ისტორიიდან:

კაცმა, ვინც ლურჯი ფერის ქვეშ აუარებელი ადამიანი გააერთიანა და გამარჯვებაც დიდი მოიპოვა, იცოდა, რასაც აკეთებდა.

წარმოიდგინეთ, ისიც ერკვეოდა ფერთა მაგიაში, ის მეორე თუ პირველი, გაცილებით ადრე, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოს ფილოსოფია რომ აიღო შეიარაღებაზე. აკი მოწმე გავხდით, ყველა სურვილი იოლად აიხდინა, წინ ვერაფერი დაუდგა.

მაგია მაგიაა, ისეთები შეუძლია, არც დაგვესიზმრება. ხოლო მათ, ვინც ჯადოქრობას არ ვმორჩილებთ, არ ვუერთდებით მედროვეთა მწკრივებს, ბოლომდე ინდივიდუალისტებად ვრჩებით, განსაკუთრებული სტატუსი გვეძლევა – აუტსაიდერები ვხდებით, ანუ გველის უპერსპექტივობა. სხვაგვარია ჩვენი ბედი, არავის ვაინტერესებთ, უცხონი ვართ, მორჩა და გათავდა. ვერაფერს გააწყობ.

წარმოდგენა არ მაქვს, რამდენი შევგროვდებით ასეთები, ალბათ, არცთუ ბევრი, მაგრამ ქვეყანა ამით არ იქცევა. მოვა დრო, ფარა ისევ შემობრუნდება და მოექცევიან უკანანი წინ, წინანი კი – უკან. და ასე იქნება, ვიდრე მეორედ მოსვლამდე. მაგრამ, რა ვქნა და, მაინც მგონია, წინ-უკანობა პირობითია. მისი ნამდვილი საზომი მომხვეჭელობის მარიფათში, მისგან შექმნილ მატერიალურ კეთილდღეობაში კი არა, ადამიანის ღირსების ხარისხში უნდა ვეძებოთ.

ეს ძიებებიც გულს აწყალებს. მართალი რომ ვთქვა, ფუჭი, არაფრისმაქნისი ცდებია, თვით ადამიანობის უდიდეს იდეას რომ აკნინებს. ისე კი, დასანანია, რად არ შემიძლია ტვინის ჭყლეტის გარეშე ვიცხოვრო, ჩუმად და ლამაზად – ბალახის ღეროსავით. გეცინებათ? ვაღიარებ, ბევრი მოვინდომე. თუმც, ოცნების უფლება ჩემთვის ჯერ არ წაურთმევიათ. ჰოდა, მეც ვსარგებლობ. სიცხით ადუღებულ

ავტობუსში სხვა რა ვაკეთო. ვზივარ ვიღაც აქოშინებული ბერიკაცის გვერდით. მზე, მართალია, მიეფარა ღრუბელს, მაგრამ, ამას, ფანჯარასთან მჯდომს, მაინც უჭირს სუნთქვა. დღეს მისი საცოდაობის ცქერა მერგო. ვწუხვარ, არაფრით შემიძლია დავეხმარო, გარდა იმისა, მალე ჩავალ, ის კი აქეთ გადმოინაცვლებს, მოსცილდება გახურებულ ფანჯარას, ესეც რამეა.

კულტურის სამინისტროში ჩემი წიგნების შეკვრა მიმაქვს საპატიო თანამდებობაზე გამწესებულ ერთ ძველ ნაცნობთან, რომელიც მათ ბიბლიოთეკებს გადასცემს საჩუქრად, თანაც მოვინახულებ დიდი ხნის უნახავს.

ჩვენი ნაცნობობა ჯერ კიდევ მანამ დაიწყო, ვიდრე დრო, რომელშიც ვცხოვრობდით, რომანტიზმის სასაფლაოდ გადაიქცეოდა. ერთად ვმუშაობდით კარგზე კარგ, მაშინდელი გაგებით, საუკეთესო საექსპერიმენტო დაწესებულებაში – თავის თავში გამომცემლობის, საერთაშორისო ლიტერატურული ურთიერთობის, მხატვრული თარგმანისა და კიდევ სხვა ფუნქციას რომ ითავსებდა. წარმატებული ექსპერიმენტის მუშაკებს სიხარულის ატმოსფეროში გვიხდებოდა შრომა, სრულ მშვიდობაში, რაც დამსახურება იყო დაწესებულების დამაარსებლისა და ხელმძღვანელის – უიშვიათესად წესიერი ადამიანის. ჩვენ მაშინ ვიყავით ნორჩები, ლამაზები, ენერგიულნი და ინტერესიანები. ის პოპულარული მწერლის ქალიშვილი გახლდათ, ერთობ პატივცემული მამის. მე კი უქომაგო, ცხოვრების სირთულეებთან შიშველი ხელებით შებმული ახალგაზრდა მწერალი, ვის ზურგსუკან არანაირი ანგარიშგასაწევი ძალა არ იდგა. მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი, სულაც არ მენაღვლებოდა. ვწერდი მოთხრობებს და ვიბეჭდებოდი. კარგი დებიუტი მერგო. რუდუნებით, ნაჭერ-ნაჭერ მოვიპოვებდი ადგილს ცისქვეშეთში დასამკვიდრებლად.

ახლა უკან რომ ვიხედები, შიში მიპყრობს, თან მეცინება განვლილ წლებზე, რომელშიც ცხვარივით ვცხოვრობდი და მგლების გარემოცვა ოდნავაც ვერ მაბრკოლებდა, წაქცევის შემდეგ წამოდგომა მესწავლა. ასე ვაკოწიწე საკუთარი სამყარო, სადაც, შესაძლებელია, ისულდგმულო ველის შროშანთა სიწარმტაცით და დღე-ღამეთა მონაცვლეობის მტკიცე წესრიგი გაიხადო გულის მესაიდუმლედ. იგი ბუნების გამაოგნებელი მდუმარებიდან ამოგაზიდვინებს მხოლოდ შენთვის სასმენ ხმებს ახალ და ახალ საოცრებათა გასაცხადებლად. შთაბეჭდილებები ხდება მთავარი სიმდიდრე. სურვილი გიპყრობს, ვერხვის ჭალებიდან მობერილი ნიავივით გაისპეტაკო ჰაერი, ირგვლივ სულთამხუთავი ბოღმის ღრუბლად რომ მომდგარა. ეს შხამია,

ნელა მოქმედი, ტკბილი და მაცთური, რასაც თითქმის მიეჩვიე. კარგი იქნებოდა, გესწავლა მისი გაუუვნებელყოფაც, მაშინ რამდენს იხსნიდი ცოდვის სიმძიმისგან. თეორიულად ყველამ ვიცით, ადამიანი არაა ბოროტებისთვის გაჩენილი. მხოლოდ თავკერძული გადაცდომებია, გონებას რომ ბინდავს დროებითი კეთილდღეობის მისაღწევად. დროებითი-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რადგან ამქვეყნად მუდმივი არაფერია. ბუნებრივად შეიძლება ჩავთვალოთ, ბევრს ფხიზელი ინსტინქტები რომ გმართავთ. ვაფასებ კიდეც თქვენს ნიჭს, მოხერხებულად მოერგოთ სიახლეებს, ყველაფერი სათავისოდ გამოადნოთ. ბოლო ხანებში რომ ვაკვირდები, ჩემს დანახვაზე ზოგს სახე გეცვლებათ. ეს იმიტომ ხომ არა, საკუთარი ავკაცობა გახსენებთ თავს? ცუდი საქციელები ადამიანს, რაც არ უნდა იყოს, გულზე წიხლივითა აქვს დაბჯენილი, რადგან საფუძველში მაინც ღვთიური საწყისი გვიდევს, სულ სხვა რამეზე მიმანიშნებელი. გაგიკვირდებათ, თქვენს ფიქრებში შემიძლია შემოღწევა. თვალები გაგცემთ. დამიჯერეთ, შარშანდელი თოვლივით ეს არაფერში მესაჭიროება. მინდა გაცნობოთ, ჩვენ შორის ომი არ იქნება, მაგრამ მშვიდობისთვის იმდენი ბრძოლა მოგვიწევს, ქვა ქვაზე არ დარჩება. ასეა, რა ვქნა... ისიც ვიცი, ერთი სული გაქვთ, რაც შეიძლება უხმაუროდ მომიცილოთ, როგორც ევთანაზიის დროს. ვეცდები, მოგიტევოთ ეს დიდი შეცდომა, იმიტომ კი არა, ძალიან მომწონხართ. ამას ქრისტიანობა მავალდებულებს. ეს ჩემი ცხოვრების სტილია. სტილს კი ყველაფერში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. რა ბრძანეთ? ხომ არ მომეყურა. მეკითხებით, ევთანაზია რა არისო? მართლა არაფერი გსმენიათ მასზე? ღმერთო ჩემო, რანაირად მოხდა! ახლავე აგიხსნით, შევისწავლე ეგ საკითხი. ევთანაზიის პრობლემისადმი მიძღვნილ ლექციასაც კი დავესწარი, ბევრი რამ შევიტყვე. ვინ აღარ მონაწილეობდა თავყრილობაში. ექიმები – ხანდაზმულნი თუ ახალბედანი, სამედიცინოს სტუდენტები, სამღვდელოება და, რასაკვირველია, მოქალაქეები, სხვადასხვა პროფესიისა და მენტალიტეტის.

იქიდან დავიწყებ, რომ ევთანაზია გახლავთ ეგრეთ წოდებული იოლი სიკვდილი. მეთოდი მოიფიქრა ამერიკელმა ექიმმა, გვარად გევორქიანმა მე-20 საუკუნეში. ოცდათერთმეტი ევთანაზია განახორციელა. უკანასკნელზე დასდეს ბრალი და დააპატიმრეს. ყველაფერს გიამბობთ, დრო საკმაოდ მაქვს, დათქმულზე ცოტა ადრე მოვედი ადგილზე. ვფიქრობ, დაცდა მომიწევს. მისმინეთ ყურადღებით! ვეცდები, დრო არ დავკარგო, თანაც პოპულარულ ენაზე გამომივიდეს. მოკლედ, ევთანაზია ჰქვია აქტს, როდესაც სიკვდილს, ჰო,

სიკვდილს, რომლის წინაშე ადამიანის მოდგმა ძრწის და კანკალებს, დიახ, მას, ცოცხალთაგან შეჩვენებულს, წყევლა-კრულვისა და გმობისთვის გამეტებულს, დამარცხებულის მდგომარეობაში კი არ ხვდები, ისე კი არ მორჩილებ, ვითარც გარდაუვალი ფატალიზმის უძღებ ხახაში მოქცეული, არამედ, ნებაყოფლობით შედიხარ მისი უდიდებულესობის უკიდეგანობაში, უშიშრად, საკუთარ თავზე აღმატებული. შეგიძლია, ყოვლისშთანმთქმელ სამყაროს მხოლოდ ენა კი არ გამოუყო, ბრაწიც უჩვენო ნიშნად იმისა, დაუმტკიცო, შენი ნება მისაზე არანაკლებია. სწორედაც რომ თავად იღებ გადაწყვეტილებას ამქვეყნიდან წასვლის შესახებ, სადაც იქამდე დაჰყავი, სადამდეც ხელი მიგიწვდა. იმდენი სამსალა სვი, რამდენსაც გაუძელი და აჰა, დადგა დრო, მიწიერი ტვირთისგან გასათავისუფლებლად, მზად ხარ, აიკრა გუდა-ნაბადი, ნეტარივით დაადგე გზას – შეუცნობელს, ოღონდ ტყვესავით კი არ ჩაბარდები არყოფნის წყვდიადს, არამედ სიხარულით გაუხსნი გულს, მადლიერებით ჩაეხუტები.

მადლიერება საუკეთესო თვისებაა. მხოლოდ მისითაა შესაძლებელი იმ სიმაღლემდე ასვლა, როდესაც თავისუფალი ნება გადაგაწყვეტინებს, ბოროტს ბოროტით არ მიუზღო. ასე მიხვდები, რას ნიშნავს სიტყვები: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე", სიტყვები, რისი მსგავსიც ჯერ არ თქმულა. ნეტა მას, ვინც გაითავისებს, ამისი წარმომთქმელის ბაგენი რითი ასაჩუქრებდა ადამის შთამომავლობას. ბევრი მოკვდავის გონისთვის ბოლომდე მიუწვდომელი ეს „ანი" და „ჰოე" გვპირდება ღვთიური შუქის ნათებაში მოხვედრის ბედნიერებას.

რაც შეეხება ევთანაზიის მთავარ პრინციპს, იგი მომაკვდავის ან მისი პატრონის სურვილით ხორციელდება. უკურნებელი სენით გატანჯული დახმარებას ითხოვს. ეს გასაგებია. ევთანაზიისადმი მიდგომა კი სხვადასხვანაირი არსებობს. როგორც გაირკვა, ასაკოვანი ექიმები ეწინააღმდეგებიან მას იმ მოსაზრებით, ექიმს აქვს უფლება, მკვლელი არ გახდესო. ახალგაზრდა მედიკოსები უფრო ლიბერალობისკენ იხრებიან. სამღვდელოებაც, „არა კაც ჰკლა"-ს პრინციპიდან გამომდინარე, ევთანაზიას უდიდეს ცოდვად მიიჩნევს. ექიმ გევორქიანს კი ფანატიკურად სწამდა, რომ სიკეთის სამსახურში იდგა.

ადამიანის სიცოცხლის ხარისხს ხომ თავისუფლების ფენომენი განსაზღვრავს. შემიძლია ვიამაყო, მე თავისუფალი ვარ, სრულიად აპოლიტიკური. არც ერთი პარტიის წინაშე არ მაქვს ვალდებულება. სამშობლოა ჩემი პარტია, რომლის ერთგულ ქომაგს აქამდე ვნატ-

რობთ. არავის ვეტმასნები, არც არავის იმედით ვსულდგმულობ. საკუთარ სამყაროში ყოფნა მირჩევნია. ხშირად დუმფარასავით ვიძირები, ვეშვები ყოველგვარ ეგოზე დაბლა, ამაოების ნისლში.

ახლაც ასე მემართება. მგონი ნერვები მღალატობს, მიქრება ჩინოვნიკთან შესვლის სურვილი. ეგებ მართლა გადავიფიქრო. მაგრამ ეს წიგნები? მათი სიმძიმე მაბრკოლებს, ჯობს, ჩავაბარო ბარემ. რაც არის, არის. სხვა თუ არაფერი, ვნახავ მაინც, როგორია ახლა ძველი ნაცნობი, ახალგაზრდობიდან რა შემორჩა, ან რამდენად დაეტყო მმართველი ძალის წევრობა. შეგვიძლია, წარსული გავიხსენოთ, როცა პარტიული ნიშნით სხვაობა არ გვთიშავდა, სისტემა ჩვენს ურთიერთობაში არ მონაწილეობდა. მომწონს აპოლიტიკურობა, ჩემი ნება რომ იყოს, ყველა პარტიას ავკრძალავდი. იმედია, მიზეზს არ მკითხავთ. მაინც გეტყვით, რომ ისინი ვერაგი იარაღია, კაენის ქვის ტოლფასი, ერთმანეთისგან გასაუცხოებლად.

განა ტყუილად მეშინია მოუხელთებელი კაცის, ვისაც, გეგონება, სახეზე კანის ნაცვლად, თანდაყოლილი ნიღაბი აქვს გადაკრული. იგი ქვეყნის წინა რეჟიმმა დანიშნა და დღევანდელთან „კოჰაბიტაციის“ პირობებშიც რჩება ერთ-ერთი ლიტერატურული გაზეთის რედაქტორად. ამ სახენიღბიანმა ფარული ომი გამომიცხადა, ცდილობს, დამთრგუნოს, მომიკლას რწმენა, მაგრამ ავიწყდება, დებიუტანტი რომ არ ვარ, ტკივილზე ადვილად ვერ დამაბიჯებს. დახურულ კართან დგომის დრო კი აღარ მაქვს. ოღონდ ეგაა, მაინც მაშფოთებს მისი კლანური მენტალიტეტი, ყოველგვარ წმინდასა და ამაღლებულს პატივს რომ აჰყრის. რასაკვირველია, მასთან ბრძოლაში არ ჩავებმები, ეს ჩემს ღირსებაზე ბევრად დაბლა დგას, თავს ნებას არ მივცემ, რაიმე ვამტკიცო, უაზრობაა. ამიტომ გადავწყვიტე, გაგაოცოთ, ვთქვა, ბევრ რამეს ფეხზე ვერ დავიკიდებ-მეთქი, მაგრამ მსურს, ერთს მაინც მივაღწიო – გავითვალისწინო ბიბლიური შეგონება და ღორს მარგალიტი აღარ დავუყარო. თუმც, ამ რამდენადმე საჩოთირო სურვილ-გამონათქვამის გამო ვიცი, პირდაპირ ყულფში ვყოფ თავს, საბაბს ვაძლევ ღვარძლიანთ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც აღმატებულ ხარისხში რომ მოვიხსენიებ. ასეთების გარეშე ცხოვრება ნამდვილად მოსაწყენი გახდებოდა. სამართლიანობა ითხოვს, დიდად პატივსაცემ პერსონებს დავუფასო გამაფხიზლებლის როლი, თორემ ჩემი ამბავი რომ ვიცი, ისე ჩამეძინებოდა, დათვის გამოზამთრება არაფრად მოგეჩვენებოდათ. სულ მუდამ უნდა მახსოვდეს, ეშმაკის მონის დროშა სამყაროს ბნელი ენერგიის ნაფლეთებითაა ნაკერი. იმ ძლიერი ძალის ნასხლეტია, რასაც, ჯობს, გაერიდო.

დაე, ჩაითვალოს, რომ დაგამარცხა. თუმცა მან ხომ არ იცის უარ-ყოფითი მუხტისგან განთავისუფლების ჩემეული ხერხი. სულ მარ-ტივი რამაა – ყოველ ახალ წელიწადს თავიდან ვიცილებ ავ მო-გონებებს და წარსულის მძიმე აურის მატარებელ ძველმან ნივთებს. საბედნიეროდ, არჩევანი ჩემს ხელთაა. წარმოიდგინეთ, საყურესაც კი არ ვატარებ. ამიტომ ვერავინ მეტყვის სულელურ კომპლიმენტს მისი სილამაზის გამო. ასევე ვერავინ მნახავს ქუჩაში ძაღლთან ერთად სა-სეირნოდ გამოსულს. ვერც სოციალურ ქსელებში მოძებნიან ჩემს გზავნილებს. არ მაქვს ჯგუფურად გადაღებული ფოტოები, ნაკლებად მიტაცებს ხალხმრავალი ადგილები და ჯერ არც მემუარების შექმნის სურვილი გამჩენია.

რაც მაწუხებს, ან მიხარია, პირწმინდად ვყვები მცირე ზომის კა-მერულ მოთხრობა-ესეებში, რის ფორმასაც ბოლო ხანს დავუმე-გობრდი. მან დამანახვა სივრცე, სადაც თავისუფლად ვახერხებ მოძ-რაობას. მიჩვენა ნიშა, რომელსაც ბუნებრივად მოერგო მეტაფორული აზროვნების ნაცადი ხერხი. აქ შემიძლია მივმართო მეტაფიზიკასაც, რაც მიადვილებს, მოვლენებს და საკუთარ თავსაც, როგორც დამ-კვირვებელმა, ყოველგვარ განზომილებათა გარს მიღმა გასულის პიზიციიდან შევხედო, ქვედინების გზით მივიღო წიაღსვლათა ეფექ-ტი, რითაც მკითხველი არაა განებივრებული. ის შეეჩვია სიუჟეტის მწყობრ ხაზს და მიჰყვება კვალდაკვალ, ესე იგი, ნაწარმოების სიცოცხლეში არ შეაქვს წვლილი, მთლიანად ავტორზეა ჩამოკი-დებული, რაც არა მარტო ტრადიციად, არამედ უვარგის ჩვევად ექცა. ამის გამო მას ობივატელობას ვერ დავაბრალებ, ღმერთმა დამიფა-როს. ისიც ნუ დაიწყებს განსჯას, ნაწარმოებში რამდენი დოზით უნდა იყოს მოთხრობა, რამდენით – ესე. ყველაფერი ჩემს პასუხისმგებ-ლობაზეა. ასეთმა ფორმამ ძალიან გამიტაცა და გამეხარდება, სხვე-ბიც თუ იგრძნობენ მისი არასტანდარტულობის ხიბლს, მიიღებენ ჩემ-გან, როგორც ალალად მიძღვნილ საჩუქარს და დოგმატიკოსები არ-მაგედონს არ დამატეხენ.

ცუდი ჩვევებისგან განთავისუფლება ნამდვილად გვმართებს, მით უფრო ახლა, ასეთ ამტუტებულ დროში, სადაც პალმირას უბედუ-რების გამო იერემიას მოთქმით ტირიან მსოფლიოს სიძველენი. სილა-მაზის მეხოტბეები გულმდუღარედ გლოვობენ ბოროტის ნამოქმე-დარს. ცას სწვდება ურვა და ზარი – განბანილი ცრემლის ოკეანეში, – იმ წმინდა ემბაზში, რომელშიც ლოცვის სული ისხამს ფრთებს. ის მფარველებს აფორიაქებულ პლანეტას — ჩვენს ცისფერ სახლს – და, ადრე თუ გვიან, ყვავილების წვიმად დაუბრუნდება კაცობრიობის იმ

ნაწილს, მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრე რომაა და არ ფიქრობს, მხოლოდ მას ეკუთვნის დედამიწა. ხომ მეთანხმებით, რომ კაცთა მოდგმა წინააღმდეგობებისგან თავისუფალ სივრცეში ცხოვრების ღირსია.

ფიქრი, რომელიც ცნობიერ, თუ არაცნობიერ სურათებს დებს, რატომღაც გააქტიურდა. მახსენებს დროს, ბედნიერების განცდის გაიგივება კომშის სურნელით მთვრალი სამყაროს წარმოსახვით რომ დავიწყე. ჯერ კიდევ ბავშვობაში, იმ პატარა ქალაქში, სადაც მაშინ ვცხოვრობდი, აი, რას შევესწარი:

მეზობელს სოფლიდან ჩამოზიდული უამრავი კომშით აევსო მთელი ოთახი. კედლები ბომბორა კომშის აკიდოებით იყო მორთული. ყველგან, – კარადებზე, მაგიდაზე, საწოლის ქვეშაც კი, – კომშები მოელაგებინათ. ქერაკულულებიანი დები ამაყად ისხდნენ ქვეშაგებებით ამაღლებულ ტახტზე, თავიანთი სიმდიდრით ტკბებოდნენ. ღრმად ისუნთქავდნენ მომაჯადოებელ სურნელს, რაც შემდგომში მეც მთელი ცხოვრების მანძილზე მეგზურად გამყვა, უფრო მეტიც, დამარწმუნა, რომ კაცი, ვისაც ცოლად გავყევი, კომშის სურნელით მთვრალი სამყაროდან იყო.

წარსულის მოგონებანი შეუფასებელი საუნჯეა, ნეტარად მიძინებული და გასაღვიძებლად მზადმყოფი. თუნდაც ასეთი:

შატილის კოშკთა მდუმარება, მკაცრ ფორმებში ჩაკირული, ოდნავ შიშის მომგვრელიც მეფურად შეუვალი დიადი სიძველის გამო, ახლა გახსენებასაც რომ ვეკრძალვი. ნეტა ასეთ შემთხვევაში რას ამბობენ ხოლმე? რას არქმევენ მას, ჩაძირულს ხსოვნის ქვესკნელში? იქნებ მწუხარე ბედნიერებას. და თუ ასეა, პირადად განვიცადე იგი. მე ვიყავი, ვისაც ის კოშკები დაჰყურებდა, სრულიად ახალგაზრდა. ვდგავარ, თვალს ვერ ვწყვეტ, კამკამა არღუნის ხიდზე როგორ ქურციკივით გამორბის ჩვენი მასპინძელი ხევსური ყმაწვილი. ხელში საკლავი აუტატებია. ჩვილივით მიუკრავს მკერდზე თავისი გაზრდილი ციკანი. ლამაზები არიან – თეთრი ციკანი და ცისფერთვალა პატრონი – ტანკენარი, მზით გარუჯული, თმაგამოხუნებული, იმ ცისა და იმ მიწის შვილი.

მერე ბრმა, ცხოვრებისეული კონტრასტი... უსიამო მოსაგონებელი...

უცნობმა „ჩოხოსანთა“ ამქრიდან, მეგობრის ჭირის სუფრასთან გვერდით რომ მეჯდა და დროდადრო აგრესიულ თვისებებს ავლენდა, ხალხით გადაჭედილ საბანკეტო დარბაზს გახედა და მთელი სერიოზულობით იკითხა, ახლა აქ ქართველი მეტი იქნება თუ მეგრელიო?

როგორ მოგწონთ? არის თუ არა გაუკულმართებული აზროვნების ნიმუში? ასეთს რა შეიძლება მოჰკითხო. ბრიყვთათვის კანონები ცალკე როდი იწერება. ან რითი გინდა მიხვდე, მათი ტვინი რას გამოაკრისტალებს და როდის ისვრის გარეთ, ატმოსფეროს მოსაშხამად.

ჩინოვნიკი ქალბატონი არ ვიცი, ყოველივე ამის შესახებ რა აზრის შეიძლება იყოს. ერთი ცხადია, იგი შეყვარებულია პირად ცხოვრებაზე, გამართლებული ყისმათით მოწესრიგებულ ოაზისებრ მიკროსამყაროზე. ამაში შეხვედრის პირველსავე წუთში დავრწმუნდი. მისალმებაზე მპასუხობს, მერე ისე შემომცქერის, თითქოს არასდროს ვენახე. ვცდილობ, ავუხსნა, რომ წარსულში ერთად ვმუშაობდით. ჰო, თითქოს ძალიან მეცნობითო, ჩაილაპარაკა, მაგრამ მაინც აზრზე არაა, ვინ ვარ.

– ნუთუ ასე შევიცვალე? – ვეკითხები, ამავე დროს ვახსენებ ეპიზოდს, თუ როგორ შემომნატრა ერთხელ, დაქორწინებული რომ არ ვიყავი, – ბედნიერი ხარო. მე კი აქედან შინ უნდა წავიდე, ბავშვებს სუპი გავუკეთოო.

ყურადღებით მომისმინა და გაეღიმა, ოდნავ ეცადა მოშინაურებას. მაგრამ მაინც უხილავი ჯავშანი აცვია, საიმედოდ ზის მასში.

ხელჩანთიდან მისთვის საჩუქრად განკუთვნილი ჩემი წიგნი ამოვიღე, მაგიდაზე დავუდე. ამის შემდეგ უფულობის გამო ვეღარ მოვახერხე წიგნის გამოცემა-მეთქი, – ვამბობ. ასე სულაც არ ვაპირებდი, უნებურად გამომივიდა. არ მჩვევია ვინმესთვის თავის შეცოდება. მშვენივრად ვიცი ფილოსოფია ჭკვიანური გამონათქვამის – „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი“. და ისიც, სიტყვათა ძალას დუმილის ძალა რომ აბათილებს. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი დუმილით შეხვდა მოსმენილს. დასწვდა წიგნს, შეატრიალ-შემოატრიალა, ყდის უკანა მხარეს ჩემს ფოტოს დააცქერდა, დაკვირვებით გამომხედა. მერე წინა ყდა გადაფურცლა, სამახსოვრო წარწერას ჩაჰკრა თვალი. ამასობაში იმასაც მივხვდი, წარმოდგენა არ აქვს, მწერალი თუ ვარ, რისი ცოდნაც, მამამისის შვილობა იქით იყოს, სამსახურებრივად ევალება. გავიფიქრე, წამკითხავი, რა თქმა უნდა, არ არის-მეთქი. მოტანილი წიგნების შეკვრა, კვლავ სტამბის ჭრელ ქაღალდში შეფუთული, მაგიდაზე შემოვდე. ეს ბიბლიოთეკებისთვის, თქვენი პროექტის მეშვეობით-მეთქი, – დავაკვალიანე. მიხვდა, ხმის ამოუღებლად დაიქნია თავი. მას ფავორიტ მწერალთა ჯგუფი დაჰყავდა რეგიონებში. ყოველი ასეთი ლაშქრობისას თითოეულს სოლიდურ თანხას უხდიდა ბიუჯეტის ხარჯზე. აქციას ცოცხალი წიგნები შეარქვა.

ამისთვის პრემიაც მიანიჭეს. თუმც ტრადიცია კომუნისტების დროინდელი გახლდათ, მხოლოდ სახელი შეიცვალა. ამ შემთხვევაში, ველოსიპედის ხელთავიდან გამოგონება არაფერს აშავებდა. ვიღაცას მაინც გაუჩნდა საარსებო წყარო.

მამამისზე ჩამოვუგდე სიტყვა, ვის ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც ერთგულად უძღვებოდა. მოცოცხლდა, გამოძვრა ბარიერის შემქმნელი უხილავი ჯავშნიდან, კარგად ათვისებული დიპლომატიური თავაზიანობის ეტიკეტი რომ ითვალისწინებდა – ბუნებრიობას რამდენადმე აცდენილი, და რაც, თავისი უბადრუკი ხელოვნურობით, მოსაუბრის ფსიქოლოგიურ დათრგუნვაზე იყო გათვლილი.

მამაზე საუბარი მისი სტიქია იყო. მოეშვა თქვენობით მომართვას, მანამდე შიგადაშიგ რომ გამოურევდა, თითქოს ინგლისელები ვყოფილიყავით. სკაბრეზისტები ვახსენეთ, რაზეც ვთქვი, რომ მამამისი ლიტერატურაში სკაბრეზს არასგზით მიიღებდა.

– ახლა ზოგი ეპატაჟით ცდილობს თავის დამკვიდრებას, – მითხრა, – ახერხებენ კიდეც. მაგალითად, თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის აუგი, ანდა ქრისტესი. ყველა სხვადასხვა გზას ირჩევს, – ერთი სკაბრეზისტის გვარიც ახსენა, – იმან სულაც დაიბრალა, თითქოს შიდსი სჭირდა.

დაიბრალაო. ვგრძნობ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს. აქამდე მეგონა, მართლა სჭირდა და მეცოდებოდა. ჩავფიქრდი. მან კი გულგრილი, ოდნავ მაცთური მზერა მომაპყრო, უსიტყვოდ მიხსნიდა, თუ ესეც ვერ შეძელი, დამნაშავეს სხვაგან ნუ ეძებო. რასაკვირველია, წარმოდგენა არ ჰქონდა ჩემს აკმეზე, და რომ იაფფასიანი ეპატაჟი პატიოსან გზად არ მიმაჩნდა, რადგან მისი მეშვეობით მოპოვებული პოპულარობა ყალბია. მხოლოდ ტირაჟების გასაღებას უწყობს ხელს. ნუთუ ძნელი გამოსაცნობია, ასეთი ტირაჟები როგორი გემოვნების დასაკმაყოფილებლად გამოდგება?

თუმც ისიც ვიცი, მთელი ცოდნა დავანებულია სინოპრიკურ კავშირებში, ანუ ყველგან. ვიზიარებ მეცნიერულ მტკიცებას იმის შესახებ, რომ ადამიანი, როგორც სოციალური არსება, მთლიანად დამოკიდებულია ამ კავშირებზე. როცა მათ კარგავს, იქცევა ანაქორეტად, იკეტება ეგოიზმის კაფსულაში და ხდება შავი ძალების სათამაშო. საზოგადოება, სადაც ნამდვილსა და სუროგატს შორის განსხვავებას ვერ არჩევენ, სატანურის აღზევებაში მონაწილეობს.

სამწუხაროდ, ჩემ ირგვლივ ყველაფერი ისეა მოწყობილი, გაიოლდა ანაქორეტად გადაქცევა. კრიტერიუმები დიდი ხანია, დაირღვა.

დაიბნა ადამიანი. ეტალონის გაგება კომიკურობამდეა მისული. ამაზე ერთი ისტორიული ეპიზოდიც მიგვანიშნებს:

საბჭოთა იმპერიის პერიოდში ცეკას მდივანმა მეხლისმა, თურმე, იოსებ სტალინს შესჩივლა, მარშალ როკოსოვსკის ახალი საყვარელი ჰყავს, რა უნდა ვქნათო!?

ოპა�ა!..

უნდა შეგვშურდესო, – უპასუხია ბელადს.

დროის მცირე მონაკვეთში ბევრმა აზრმა გადაუქროლა ჩემს გონებას, ვიდრე ჩინოვნიკმა ლეპტოპზე მიღებული წერილი შეამოწმა, მერე მობილური ტელეფონით აჟღრიალებული ზარის ავტორს ესაუბრებოდა. ბოლოს თქვა, მინისტრმა დამირეკა, მაგრამ შემომჩივლა, აღარ მახსოვს, რისი თქმა მინდოდაო.

ვაი, ჩვენი ბრალი, რა კარგად გვაქვს საქმე! ეს ის მინისტრია, ხალხს გულზე რომ არ ახატია, განსაკუთრებით საყდრისის ოქროს საბადოს აფეთქების გამო. თუმცა, საბადოს კულტურული ძეგლის სტატუსის მოხსნა მისი წინამორბედის დამსახურებაა, რაც თითქმის დაავიწყდათ. სიმართლე კი ისაა, არც ერთსა და არც მეორეს არავინ არაფერს ეკითხებოდა. მათ ძალა არ შესწევდათ, წინააღმდეგობა გაეწიათ ოლიგარქი ფორმალური მმართველისთვის, ვინც ფაქტობრივად განაგებს ქვეყანას. ასეთია ჩვენი სინამდვილე. რატომღაც ის მილიარდერი ფორმალური მმართველი ახსენა ჩინოვნიკმა ქალმა, ცოტა წაითამაშა, თითქოს გვარი ვეღარ გაიხსენა და მე წავეშველე. სრული ჭეშმარიტება თქვა მისი ბანკიდან დაფინანსებული სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა პრივილეგირებული კასტის შესახებ, სამშობლოს რჩეულებად რომ მოინათლენ.

– ზოგი სრულებით არ საჭიროებს დახმარებას, მაგრამ რა, ასეა და მორჩა! წარმოიდგინე, მეც კი არ მაქვს დანიშნული ეს სტიპენდია! – მაუწყა დაუფარავი მღელვარებით.

აქ საშინლად მიძლიერდება ტურბულენტობის ხარისხი, თითქოს უფსკრულში ვვარდები. ვმუნჯდები საბოლოოდ. რაღა შეიძლება ვთქვა. გაოგნება კულმინაციას აღწევს. მეც კი არ მაქვსო... მესამე თვალით ვხედავ, შუბლზე სისხლისფრად მეტვიფრება სასოწარმკვეთი სიტყვა – შშ! ასეთ გარემოცვაში ხომ ლოგიკურია მავანთა სურვილი, ანდეგრაუნდში გადამისროლონ. ანდა უკეთესი – თვლიან, უკვე იქ ვარ. წარმოიდგინეთ, ტყუილად, სულ ტყუილად. არ ვემორჩილები პლაცებოს ეფექტის ზემოქმედებას. მაპატიონ სიტყვებმა, მაგრამ, ამ გაგებით, საბოლოოდ უნდა გავემიჯნო მნიშვნელობებს: „მოჩვენებითი“, „ყალბი“, „ვითომ“, „პირობითი“ და სხვა მისთანებს, ამოვშალო

ცხოვრების წესიდან. ოღონდ ჩემს პროტესტს ამბოხებული მონის ქმედებად ნურავინ მონათლავს. იმად ყოფნას ნუ დამაბრალებს, რაც არასდროს ვყოფილვარ, თორემ, ნიძლავს ჩამოვალ, ამ საქმეში მარცხი გარანტირებული ექნებათ.

აღარ ამომიღია ხმა. ჩემი შეძრული მეობის ფერთა ტკივილნარევ სფუმატოში განზავდა თავსდატეხილი რეალობა. ისღა დამრჩენია, ღრმად ჩავისუნთქო და გადავწყვიტო, ბედს შევურიგდე-მექი, ან, იქნებ, სულაც სიტყვებს ვუფრთხილდები, ვერ ვიმეტებ იმ ვითარებაში დასახარჯად.

ქალს მზერა მივაბჯინე. თვალები დაღლოდა. უნდა მოვისხა მადლი, დაუყოვნებლივ გავეცალო, თორემ ვგრძნობ, პულსმა აუწია. მან ბოლომდე გამოიყენა დიპლომატიური ნიჭი, გახარჯა მთელი რეზერვი. წამოდგა, დერეფანში გამაცილა, რაიმე დამაიმედებლის თქმასაც ეცადა – ვნახოთ... იქნებ, რაღაც... – ბოლომდე ვერ გაბედა. ისე უნდობლად შევხედე, სახე შეეცვალა. აქ ყასიდი სიტყვებით თამაში დასრულდა. სწრაფად დავემშვიდობე, თავის კეთილდღეობაში დარჩენის საშუალება მივეცი.

როცა კიბეზე ვეშვებოდი, მოულოდნელად წვეულმა სიმშვიდემ გამაოცა. ზუსტად ვერც ავხსნი, რა ერქვა ამას, ნუთუ დამარცხებულის გამარჯვება, თუ კიდევ სხვა რამ, გაოცებად რომ ღირდა.

თბილისი, 2017

ვასილ ბერიძე

თანამედროვე ცხოვრების თანამედროვე ქართული მოგზაურობა

ზოგს მოსწონს მოგზაურობა, ზოგს – არა, მე არჩევანი არ მაქვს, უნდა ვიმოგზაურო, აქ უჩვეულო არაფერია, ჩემსავით ბევრია გამოკიდებული გზას ოჯახის სარჩენად, თუმცა, ბევრისგან განსხვავებით, მე მოგზაურობის გარეშე არ შემიძლია. პირველად მამაჩემმა 10 წლის ასაკში წამიყვანა ექსპედიციაში მაღალმთიან აჭარაში, ეს დაუვიწყარი შეგრძნებები დღემდე მომყვება: ცაში გაკიდული საბაგირო გზა, ღორჯომის ჯამე, ქალბატონის ჯვრიანი თავსაფარი, მჭადი, ყველი, თაფლი, შუახევი, მთის კალთებზე მწვანე საფარში ჩაძირული პატარ-პატარა სოფლები, აჭარული კილო და სხვა... მას შემდეგ ვმოგზაურობ ველოსიპედით, ნავტიკით, ფეხით, მანქანით, თვითმფრინავით, ავტობუსით, სამარშრუტო ტაქსით... ვაკვირდები ყველას და ყველაფერს: უცნაურს, საინტერესოს, ძველს, ახალს, ლამაზს, განადგურებულს, ავს, კარგს... ყველა მოგზაურობას თავისი სპეციფიკა, სირთულეები და თავისებურებები გააჩნია. მაშ ასე, მინდა ერთი დღის შესახებ გიამბოთ:

დილას გავიღვიძე, ჩვეულებრივ ავდექი, ჩავიცვი, ჩაი დავლიე, ჩავალაგე ჩემი ზურგჩანთა, მოვიკიდე ზურგზე და წავედი სამსახურში. საქმე არ გვაკლია, კონტეინერები ბევრია, მანქანებიც და შესაბამისად პრობლემებიც, ამ წვრილ–წვრილ საქმიან ლაფსუსებს საბოლოოდ დიდი დრო მიაქვს, მე კი მეჩქარება! დღეს პარასკევია (მეორე კვირაა, რაც სახლში არ ჩავსულვარ), საღამოს თბილისში მივდივარ. საქმეს გულს ვეღარ ვუდებ, გაქცევაზე ვარ, ზუსტად ამ დროს უნდა გამოხტეს ყველაფერი. მე და გია შონიამ შევამოწმეთ კონტეინერის მდგომარეობა G T E -ს ტერმინალზე, ვრუნდებით უკან სამსახურში, გეზში, ამ დროს მანქანების გამშვების გვერდით შემოწმების ადგილზე ხალხის ჩოჩქოლი, ხმაური მესმის, ერთი ამბავია, მაქანის მეპატრონე და ტერმინალის თანამშრომელი დატაკებულები არიან, უყვირიან ერთმანეთს, მანქანის მეპატრონე გაჰკივის - სად არის ჩემი კალპაკები!? წაიღეთ არა!? მოიპარეთ! არ შეგარჩენთ, თქვენი დედა...,

წავიდა გაწევ-გამიწევა, მეც მშვიდობის მტრედივით ჩავდექი შუაში, გავაჩუმე ერთიც და მეორეც, - რა ხდება!? – ვკითხულობ. მანქანის მეპატრონე - კალპაკები მომპარეს, ამათ დედაც!.. - ნუ იგინები! მკაცრად ვუთხარი, -კალპაკები და ბოლტები მომპარეს და აღარც ვიგინო? - მანქანა დაათვალიერე? -კი! - მოდი კიდევ ერთხელ ჩავხედოთ! - რა უნდა ჩავიხედო, არ უყენია, ძმაო! იაპონიაში რომ ვიყიდე, ეკეთა! ჩემი კალპაკები! დავაწყებინე მანქანის დათვალიერება, - აბა, ამ კარების ჯიბეში ნახე, არის რამე? - არა! - უხეშად მესროლა სიტყვა ისე, რომ არც კი ჩაუხედავს სათავსოში. -კარგი, აბა, კარგად დააკვირდი, კარებში რა დევს? - ჩახედა და დაინახა ოთხი ცალი ნაკლული ქანჩი. - ეგ ჰო, მარა, სად არის ჩემი კალპაკები!? - გავაგრძელოთ დათვალიერება, წყნარად ვუთხარი და თვითონაც ინტერესში ჩავარდა. - უკანა სავარძლები ვნახოთ, - უკანა კარი გამოაღო, ჩახედა - არაფერი! ხო, ვთქვი, მოიპარეს-მეთქი, არა! და შემოჰკრა ხელი ხელს ისეთი ძალით, მეგონა მაჯებში ჩაატყდებოდა. ჩვენს გარშემო ოც კაცამდე შემოკრებილიყო და სეირს უყურებდა, აინტერესებთ, ეს ყველაფერი როგორ დამთავრდება. გავაგრძელე - მოდი, აბა, საბარგული ახსენი. ახსნა საბარგული და რას ხედავს, 4 ცალი საბურავის დაკარგული ხუფი (კალპაკი) დევს, მის გვერდით პირველადი დახმარების სამედიცინო ჩანთაც. გაოგნებული დარჩა, ვერაფერს ამბობდა, უცებ ამოქექა საბარგული და ისევ აენთო თვალები - სად არის დანკრატი! აბა, მითხარი, სად!? - მიდი, გახსენი კარი და მძღოლის სავარძლის ქვეშ ნახე. მართლაც მივიდა, გამოაღო კარი, გაწია უკან სავარძელი და ამოიღო დომკრატიც. დგას განცვიფრებული, ბოღმით გაბერილი, დომკრატით ხელში. სეირის საყურებლად მოსულებმა კარგად იცინეს - აბა, მე რა ვიცოდი, - ჩაიბურტყუნა და თან თვალებით ეძებს რაიმეს მანქანაში, იქნება აკლდესო. - ჰო, არ იცოდი! არ გააღე კარი! არ ახსენი საბარგული! არ ჩახედე უჯრაში! აქ შენი სალანძღავი არავინ არის, გასაგებია, ბიჭო! მეორე შესახვევი მარცხნივ! - და მივანიშნე გასასვლელისკენ. ჩემკენ აღარ გამოუხედავს, ხოლო „ჩეკუ“ გასაკავებელი გაგვიხდა - რასაა, რომ ილანძღებოდაო! სიმაღლეში პატარა კია, მაგრამ დიდი გული აქვს, „ჩეკუ“ ანუ „ჩეკუშკა“ - არყის ჭიქა შემოკლებით.

მოკლედ, დღე მხიარულად გავატარე. ოცი წუთით ადრე მივედი სადგურში, თბილისში გამსვლელი „მარშუტკა“ მოვძებნე და შევხტი წინ - ოპ, ოპ! მძღოლმა მომაძახა, ქალბატონებს აქვთ დაკავებულიო, ამიტომ მეორე რიგში დამსვა დიდი ყუთის გვერდით, როგორც შემდეგ გავარკვიე, თბილისში დაზღვევით ნაყიდ სარეცხ მანქანას ქუთაისში

აგზავნიდა პატრონი. სარეცხ მანქანას წინა ერთი მთლიანი სავარძელი და მეორეს ნახევარი ეჭირა, მეც ჩემი გაბარიტებიდან გამომდინარე ნორმალურად მოვთავსდი, ხედვაც, ჰორიზონტიც კარგი მქონდა. მოვიდნენ ქალბატონებიც, მოთავსდნენ წინ, მძღოლიც გაბადრული გადახედავდა ხოლმე და კმაყოფილებისაგან ყურებამდე იღიმებოდა.

მალე შეივსო მანქანა, დავიძარით, გადავიარეთ ფოთის ყველაზე მაღალი ადგილი პორტის ხიდი, მთელი ქალაქი ხელისგულზეა, ფოთის საკათედრო ტაძარიც მოჩანს და პორტში შემომსვლელი გემებიც, თეთრ ეკლესიასთან წრეზე ხელმარჯვნივ ავუხვიეთ, დავინახე ახლად აშენებული ცემენტის ქარხანა, რომლის მუშაობის დაწყებასაც ნახევარი ფოთი ელოდება, გავცდით ლარნაკას ქუჩას, სადაც ფოთის არტერია „ტერმინალები“ დუღს, გავიარეთ მეშვიდე კილომეტრის რესტორნები, პატარა ფოთი და აღმოვჩნდით ულამაზესი ჭადრების გარემოცვაში, რომელიც კილომეტრებზე მიუყვება თბილისის გზას, ალბათ 50 წელზე ნაკლების არც ერთი არ იქნება, ამხელა ხეების გაზრდას ხელს უწყობს ჭაობიანი ნიადაგი და ნესტიანი ჰავა. ვეებერთელა ჭადრების ხეივანი წელიწადის დროების ფერების მიხედვით იფერება, ზამთარში თეთრი, გაზაფხულზე ხასხასა მწვანე, ზაფხულობით მწვანეში ხავსის ფერი ერევა, შემოდგომით ყვითლდება და ყავისფრდება შტორმამდე, კარგი ქარიშხლის შემდეგ კი სრულიად შიშვლდება. ჭადრების ხეივანი, შუქურა და ტაძარი მზექალაქის შუაგულში რომ დგას, მის სხივებზე გაშლილი ფოთის სავიზიტო ბარათია. ხეივანს მარჯვენა მხარეს დიდი წყლის არხი მიუყვება, რომელიც საგულდაგულოდ გაუსუფთავებიათ, სოფელი ჭალადიდი ასევე ჭადრებისა და არხის გადაღმაა გაშლილი. გზის გასწვრივ ათი კილომეტრის რადიუსში მხოლოდ ხუთი ხიდი იყო, ისიც მოსახლეობის ზურგით მოტანილი, დღეს კი, აგერ სულ ერთ წელში 40-ზე მეტი აუშენებიათ, როგორც საფეხმავლო, ისე სამანქანო, ჭალადიდელები ხუმრობენ: კაცზე ორი ხიდი მოდისო. თვალსა და გულს უხარია, კარგი სიახლეების გამო. მძღოლი გზაში ყველას უჩერებს, ხალხი ფეხზე დგას, აღარ ეტევა, - რეზინის კი არაა აგი, ძამა. უკნიდან - რა ვქნა ძმაო აღარ გავუჩერო? ცოდოა ხალხი, გზაზე დგას! იმართლებს თავს მძღოლი. - გამიჩერე, ძმა, - მიაწოდა ლარიანი და ჩავიდა, - გადასახვევთან გამიჩერე, აი, სულ ეს მაქვს, 80 თეთრი, ძღოლმა მხრები აიჩეჩა, თავი დაუქნია - მადლობა! ჩავიდა.

- აი, ეს თქვენ, ინებეთ, ესეც თქვენ, ასე ჩამოარიგა ბუკლეტები სუფთად კოსტუმიანმა ახალგაზრდა ბიჭმა, ჰალსტუხი აშკარად არ

ჯდებოდა ფერში, ფეხსაცმელი – ახალი, მაგრამ წინდები – ჩამოჩაჩული, ყელმორღვეული ჰქონდა - ეს რა არის? იკითხა შავებში ჩაცმულმა ბროწეულისფერლოყებიანმა ქალბატონმა, - გინდათ, ჭეშმარიტ ღმერთზე გელაპარაკოთ? - რატომ გვიჭირს ასე? - რატომ არავინ არ არის ჩვენი პატრონი? - გააგრძელა ბუკლეტების ჩამორიგება. - მადლობთ, - ვუთხარი, გამოვართვი ბუკლეტი, გავულიმე და დაიწყოოოო ლოყებღაჟღაჟა ქალბატონმა - ის არ გეყოფათ, ყველა რესტორნის გამოსასვლელი რომ გაქვთ დაკავებული? მზესუმზირის გასაყიდი ადგილი აღარ დაგვიტოვეთ!? შეგვჭამეთ ჭეშმარიტ ღმერთზე საუბრით, ახლა ჭეშმარიტ პოლიციას გამოვუძახებ და ხულიგნობისთვის ჭეშმარიტად დავაჭერინებ შენს თავს! - ქალბატონებმა ერთი ჭეშმარიტად გაკიცხეს და დაანებეს თავი. ახალგაზრდას არ ეშინოდა ვინმე ჩვენგანის, უბრალოდ ის კლავდა, რომ არავინ არ დევნიდა მას, არავინ ესხმოდა თავს, არავის სძულდა და არც თვითონ იყო ყველას წინააღმდეგ, უბრალოდ, ყველას ებრალებოდა, სწორედ სიბრალული იყო ყველაზე ძნელი ასატანი მისთვის, ამიტომ უბრალოდ დადუმდა, მეტი არც უცდია ვინმესთან საუბარი.

სენაკამდე არ მისული, სოფელ ქვალონთან, გზაზე ოთხი მამაკაცი, ერთი ახალგაზრდა ქალი ორი ბავშვით დგას, გაიხსნა ავტომატურად კარი და რას ვხედავ, მაღალი, ჩაფსკვნილი კაცი, ორი დღის გაუპარსავი წვერით, მზისგან გაშავებული მრგვალი სახით, შავი ქოჩრით, მოგრძო გატეხილი ცხვირით, დამსხვრეული ყურებით, დიდი მძიმე ხელებით, ჯორზაქარა გრატიაშვილი, კარდენახელი ვაჟკაცი, მოჭიდავე, სხვადასხვა სოფლიდან ჩამოჰყავდათ მასთან დასაჭიდებლად მამალი ბიჭები ხოლმე, ისიც დაეჭიდებოდა, ოღონდ არა ტატამზე, არა ნახერხზე, არა სილაზე, არა მიწაზე - მაინც და მაინც ასფალტზე, ჯორზაქარაც პატიოსნად ამტვრევდა თავის მოწინააღმდეგეებს ხოლმე, წაგებული კისრულობდა ცხვარს და სამწვადეს, მოგებული ღვინოს, მერე, კარგად რომ შეთვრებოდნენ, ისევ ჭიდაობდნენ, დილით პახმელიაზე საავადმყოფოში გამოდიოდნენ; ან პოლიციის განყოფილების გამოსაფხიზლებელში, ახლა კი, სამეგრელოში ჩამოსულა მოყვრებში, დიდი გზა გამოიარა, თავისი უფროსი გოგონა და ნამონაგარი ნახა.

თეკლა თბილისში გაუშვა სასწავლებლად, ლამაზი, ნიჭიერი გოგო იყო და ჩააბარა კიდეც, მაღალ ქულებზე სწავლობდა, ხელის მთხოვნელიც ბევრი ჰყავდა, გათხოვებასაც უპირებდნენ კარის მეზობელ შავ დათუაანთ ბიჭზე, მყუდრო გოგიაზე, მყუდროი კიდე მიტომ ეძახდნენ, რომა სვამდა კიდეცა და არ აფრენდა ხოლმე, სახნავიც

ჰქონდათ, სათესიც, ზვრებიც ბლომად ჰქონდათ, ღვინოცა და ყველ-აფერიცა, მოკლედ საუკეთესო სასიძო იყო, მაგრამ თეკლას სუსტი ტანის, თეთრი სახის, ქერა, თხელი თმით, ზღვისფერი თვალებით, აპოლონი შეყვარებია, ხასია, სტუმრადაც ჰყავდა ჩამოყვანილი კურსელებთან ერთად კარდენახში, სუფრაზე მეგობრებმა მათი სიყვარულის სადღეგრძელოც შესვეს. მყუდრო გოგიას სიმყუდროვე დაეკარგა, მხარი გაკრა აპოლონს და თვალით ანიშნა, გავიდეთო. მათთან ერთად, რამდენიმე ბიჭიც გამოვიდა გზაზე, ზორბა, კახელი მყუდრო ზემოდან უყურებდა აპოლონს თვალებში, ეძებს შიშს, მა-გრამ ვერ ხედავს. აპოლონი კი, რისი მეგრელია, თუ ერთხელ მაინც არ ჰქონდა ეს სიტუაცია გათვლილი თავში. - ეგ გოგო ჩემია, მჭახე ხმით უთხრა გოგიამ. - თეკლა მე მიყვარს, - თქვა აპოლონმა ისე, რომ ხმასაც არ აუწია, - სიყვარულს ვერ დამიშლი. - მაშ, ვერ დაგიშლი არა!? დაანებე, ჯო, თავი! გააქანა მყუდრომ ხელი, დაარტყა თვალში და გაახოხა ასფალტზე. აპოლონმა რის ვაივაგლახით აკრიფა ძვლები ასფალტიდან - მე, რომ თავი დავანებო, ცოცხალი არ უნდა ვიყო - უთხრა, თუ არა, მოიკრიბა რაც ძალა და ღონე ჰქონდა და დაარტყა გოგიას, კარგადაც მოხვდა, მყუდრო გოგიამ გახეთქილი ტუჩი მოიწმინდა. - მგონი, მართლა უყვარს, ჰა�ა! - და ერთი გემრიელად ამოიჩანთა, მერე ბიჭებმა გააშველეს: - ბიოო! მეორედ ერთი სტუმარია, ეგ კაცი და ეგრე არ შეიძლება, ჯერ ერთი კიდევა, ჯორზაქარას სტუმარია, მაგის გამო ჯერ შენ მოგდებს, მერე მა-მაშენსა, მერე ხევის უბანს გამოუყვება ცემა-ტყეპითა, მერე აღმართს აუყვება, მაგაი სასაფლაომდე ველარავინ გააჩერებს, შეიძლება, მკვდრებიც წამოყაროს და გააქციოს იქიდანა. აღდგომას პაპაშენი, შავ გოგია, საფლავში, რომ არ დაგხვდება, მიდი და ეძებე მერე, თან გაეცინა ფანოზიაანთ გიორგას, მყუდროსაც გაეცინა, აპოლონს კი ჩაეცინა, მიხვდა, რომ საქმე გამოსულიყო და ეს ყველაფერი, ჩალურ-ჯებული თვალი, გახეთქილი ტუჩი, დაჟეჟილი ნეკნები ღირდა ამად. რაც იოლი საქმე ნამდვილად არ იყო, დაიმკვიდრა სახელი კარდენახში და ბოლომდე მოიგო თეკლას გული. ქეიფი გაგრძელდა შავდათუაანთ ოჯახში, კარგი დროც გაატარეს და ძმობაც შეჰფიცეს ერთმანეთს.

თეკლა დღეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია სკოლაში, აპოლონი მუშაობს სურვეირად, ზომავს შემოსული ნავთობის რაოდენობას, უფროსი ვაჟი სპირიდონი ქათქათა თეთრი და ლურჯთვალებაა, მეორე პატარა ზაქარია, შავტუხა, გაბერილი და მოუსვენარი, ხელში უჭირავს თეკლას, თან ფრთხილობს, რომ ფეხი

არ მოარტყას მუცელზე. ჯორზაქარა კმაყოფილია, ჩამოვიდა მოინახულა ორსული თეკლა, შვილიშვილები, სიძე, მოყვრები, იქეიფეს, სამი თამადა გამოათრო, მერე თვითონ დაიკავა ეს თანამდებობა, ყველას მოეფერა, ოღონდ ღვინო შემოელია, ორი ბოცა მიაქვს უკან, - ჩავალ თუ არა, ამავე ღვინოს გამოვაგზავნი, ვაზის ცრემლებია, - იღიმება,- შარშანდელია, ცოტა კიდევ მაქვს დარჩენილი, კარდენახულია, ურწყავი ზვრებიდანაა, ახალი დაწურული კი, საახალწლოდ დაწყნარდება და რომ არ შეილახოს, მატარებლით გამოვაგზავნი, ხომ იცი, ამ ღვინოს მგზავრობა არ უყვარს, ხო მართლა, ბოცები დამიბრუნეთ, კიდევ მეტი რომ გამოგატანოთ ხოლმე- იღიმება. ამ დროს მოდის „მარშუტკა“, იქნევს ხელს, - ახლა ჩავალ თბილისში, გიორგი მელოდება, ხვალ კი გავუყვები ჩემ კახეთის გზასაა.

გაჩერდა მანქანა - საით მიდიხარ? - თბილისში - ამოდი, - სად დავჯდე, ჯოო? - ცოტა ჩაიწიე, ორივე მოთავსდებით, - მე მეუბნება, ორი კაცის, თან ამხელა კაცების და თან ერთის იქიდან, კარგი ნაჭამნასვამის, ადგილი ნამდვილად არ იყო, სკამები ყუთს ჰქონდა შევსებული და პატარა ბავშვიც ვერ დაჯდებოდა ნორმალურად ჩემ გვერდით, სახე წამეშალა! გულიდან და კიდევ კუჭიდან რაც ამოდიოდა, მინდოდა ამომენთხია და სახეზე გადამეგლისა. დამასწრო კახელმა - მანდა ბიო, კაცნახევრის ადგილია, კაცი ზის უკვე მანდა და ახლა ეს შენ მითხარი, ვინ მიგაჩნია შენა ნახევარ კაცადა, ჰა�ა!, ბოცები დაუშვა ძირს და მსხვილი ხელები დაიკაპიწა, სპირიდონი ჩაერთო უკნიდან - სიი! ეე, ბრელ ვეჩია, წიე! მოყვარეს დაუდგა გვერდში, მძღოლი მიხვდა თავის დიიიდ შეცდომას, ბოდიშები იხადა - ერთი ადგილის ფული გადამიხადა იმ შეჩვენებულმა, იშვერს ხელს სარეცხი მანქანის ყუთისკენ - ვერ დავინახე, აგერ, უკან ერთი ადგილი ყოფილა, იქ დაბძანდით, მერე, ქუთაისში ჩამოვიღებ ამ დასაწვავ ყუთს და წინ გადმობრძანდით. მოკლედ, ინცინდენტი ამოიწურა, ზაქარიას ადგილი ფანჯარასთან შეხვდა, მიეყუდა, თუ არა, ჩამოეძინა. გავაგრძელეთ გზა, შევედით სენაკის ავტოსადგურში, გზის პირას გავჩერდით, მძღოლმა - სიგარეტი მოწიეთო, თვითონ კი, ჩავიდა, ათი წუთი ტელეფონზე ილაპარაკა, ხალხმა ხმაური დაიწყო - ტროლეიბუსი ხომ არაა, ყველგან რომ აჩერებ!? - ამდენ დროს ვკარგავთ! ადგილიდან არ ვიძრებით! მძღოლს არ აინტერესებს არავისი ბუზღუნი, მორჩა ტელეფონზე საუბარს, დაჯდა წყნარად, მოაბრახუნა კარი, დაქოქა მანქანა და დააბრუნა უკან ფოთისკენ. ქალებს შეეშინდათ - ახლა, ისეთი არაფერი გვითქვია, უკან რომ წაგვიყვანოს, - დაწყნარდი, შემოგევლე. მე, როგორც გამოცდილი მგზავრი,

წყნარად ვზივარ და ვუსმენ ამ ყველაფერს, თან დაბუჟებული ვარ ამ აბსურდული, იდიოტური სიტუაციით. ჩემს უკან მჯდომი ახალგაზრდა კაცი შეშინებული ხმით ჩუმად მეკითხება - სად მივდივართ? - თბილისში - ეგრევე, აუღელვებლად ვუპასუხე - ეგ როგორ? — „ჩერეზ“ ფოთი, - ფოთიდან არ წამოვედით? - ხო, მაგრამ ალბათ გურიის მხრიდან აპირებს დაბრუნებას, სიცილს ძლივს ვიკავებ. - მოდი, გავაღვიძოთ ეს კაცი, იქნება ამან გვითხრას რამე, პასუხი გაგვცეს!? (მანდილოსნები ფიქრობენ ზაქარიას გაღვიძებას), უცებ, მანქანამ გადაუხვია მარცხნივ, თეკლათში, კიდევ კარგახანს ვიარეთ, მივადექით ერთ-ერთ ოჯახს, ჭიის კარებიდან გამოიტანეს თხილი - ექვსი ტომარა, ჩატვირთეს მანქანაში და გავაგრძელეთ გზა, შვებით ამოისუნთქა ყველამ და ზაქარიას გაღვიძებაც აღარ დასჭირდათ.

გავცდით სამტრედიას. ქუთაისთან არ მისული, სოფ. მუხიანის გადასახვევთან, სოფ. ფარცხანაყანებში ერთი მგზავრი ადგა და გადმოვიდა, წინა კარებთან დადგა, პირველი უნდა, რომ ჩავიდეს, ყველაზე პირველი, უნდა მოასწროს, ჩაასწროს, გადაასწროს, ჩახტეს პირველი, დადახტეს, ყველა დაფაროს, რაც დედამ ასწავლა ბავშვობაში, ასრულებს პირნათლად, პირველია! მის უკანიდან სავარძელზე მჯდომი ეკითხება: - ჩადიხარ, „ბრატ“?, - კი, - სად ჩადიხარ? - ქუთაისში, ვაგზალთან, - ხომ, მაგრამ იქამდე კიდევ 15 წუთია სავალი გზა! - მერე, შენ რა ხელს გიშლი, გაჩერდება და ჩავალ, - ძმაო! მეფარები, წინ ვერ ვიყურები, ფეხის გასასწორებელი ადგილიც არ ჩება, რომ დაატორმუზოს. კალთაში ხომ არ ჩამიხტები, არა? გადადი, დაჯექი რა, „ბრატ“, შენს ადგილზე, დაუძახებ მძღოლს, გაჩერდება მანქანა და შენც ნორმალურად ჩახვალ რა, ყველა კმაყოფილი დავრჩებით. - დაფიქრდა „ბრატი“. მართალი იყო ახალგაზრდა, თანაც გაბედული, დაჯდა პირველმოსურნე თავის სავარძელში და დაელოდა თავის რიგს, რკინიგზის სადგურთან დაძახებაც არ დასჭირვებია, გააჩერდა მანქანა, მადლობა გადაიხადა და პირველი ჩავიდა, ისე, რომ არავინ შეცილებია, მეორე გაფუჭებული სარეცხი მანქანა ჩავიდა, უფრო სწორედ, ჩამოღებაში მივეხმარეთ, ჩავაბარეთ დამხვდურს, მძღოლმა იწუწუნა - ნახევარი ადგილის გადასახდელი დარჩაო, მაგრამ გვიანი იყო, თანხა გამორთმეული ჰქონდა უკვე. ჩემს გვერდით კარგი გარეგნობის საშუალო ასაკის შენახული ქალი დაჯდა, ფოთელი ქალბატონი ნინო კომუნიკაბელური აღმოჩნდა, საუბარი მოგზაურობის დროს აუცილებელია, თუ გინდათ, მალე ჩახვიდეთ დანიშნულების ადგილამდე, უბრალოდ, საუბარში მალე გადის დრო, მომიყვა თავისი ოჯახის შესახებ, ორი გოგო ჰყავს, ორივე გათხოვილია და ბედნიერი

ოჯახები აქვთ და კარგადაც ცხოვრობენ თბილისში. თვითონ კიდევ ცდილობს ფოთის სახლის შენარჩუნებას, არ უნდა ფუძესახლის გამოკეტვა, თან მოსწავლეებიც ჰყავს, ასე რომ, ჩემსავით ხშირად მოგზაურობს, მომიყვა, თუ როგორი კარგი სიძეები ჰყავს და როგორ არის მათზე შეყვარებული (ერთ-ერთი ცნობილი სპორტსმენის სიდედრი აღმოჩნდა), მობილურში გადაღებული სურათებიც მაჩვენა, მეც შესაბამისად, ჩემი ოჯახის სურათები ვაჩვენე, მგზავრობა ნორმალურ კალაპოტში ჯდებოდა, მაგრამ ჩვენს გვერდით მჯდომი ახალგაზრდა ბიჭი, გიორგი ალაპარაკდა, ერთ ხელში პატარა ბრენდის ბოთლი უჭირავს, ცოტა მოსვა და ჩართო, დააღო პირი, ენა შემოიხვია კისერზე, თბილისამდე არ გაჩერებულა, პირი არ გაუჩერებია, პერიოდულად გამშრალ და გახურებულ ხახას სასმელით იგრილებდა. მეც წყნარად ჩავრთე ჩემს მობილურში სიმღერები, გავიკეთე ყურსასმენები და ჩავიძირე ფიქრებში.

მღოლის გვერდით გამოპრანჭული ქალბატონი მაკა იჯდა, შემოტკეცილი კაბით, შევსებული ტანით, მგზავრობის წინ დაყენებული ვარცხნილობით, სქლად შეღებილი სახით, მოკლედ, ნებისმიერი მძღოლის საოცნებო ქალი გახლდათ, თემურიც გაბადრული სახით გადაათვალიერებდა, არც მაკა რჩებოდა გულგრილად, წამოენთებოდა თვალები თუ არა, ჩაღუნავდა თავს და დაიწყებდა რაღაცის ბუტბუტს. ასე რამდენჯერმე განმეორდა. ქუთაისს რომ კარგად გავცდით, მძღოლმა პატივი დაგვდო და გამოგვიცხადა, ჩემი მეგობრების თხოვნით, აქვე უცებ, ორ წუთში შევირბენთ და გავაგრძელებთ გზასო, ცენტრალური გზიდან გადავუხვიეთ, მივუყვებით ასფალტის გზას, ამიტომაც არ ვნერვიულობ, ცივილიზაციას არ ავცდებით, ვფიქრობ. ისევ იმ მგზავრმა შეშინებული ხმით, ჩუმად ყურში ჩამჩურჩულა, ეხლა მაინც სად მივდივართ? თბი-ლის-შიდავუმარცვლე, - ეეეგგ როოგოორ? - აი, აასეეეე, მოეშვი რა, ნუ ხარ დაძაბული, ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება, ვერსად სხვაგან ვერ ნახავ, მოდუნდი და ისიამოვნე, ეს საქართველოა! - ვუთხარი ღიმილით, ავიჩეჩე მხრები და გავშალე ხელები. შევედით რაღაც სოფელში, მასაც გავცდით, გავჩერდით სადღაც სიბნელეში, კვლავ გამოაცხადა: - მოვედით! ყველა გაოგნებული და დაბნეული იყურება აქეთ-იქით, დაიწყეს ქალებმა - სადა ვართ? - ვაიმე, აქ რა გვინდა? -რას გვერჩის ეს კაცი? - გარშემო რა საფლავებია? ასე აღმოვჩნდით სოფ. ჭოგნარის სასაფლაოზე. ნელა-ნელა შეშინებულები ჩამოვედით „მარშუტკიდან“, ხან აქეთ-იქით ვიყურებით დაბნეულები,

ხან ერთმანეთს ვუყურებთ, ვერ გაგვერკვია, რა გვინდოდა სასაფლაოზე, ახლოშივე ეკლესია დავინახე, სანთლის შუქი ბჟუტავდა იქიდან, მაგრამ დაკეტილი დაგვხვდა. ერთი წავიბურტყუნე, ეკლესია ღია მაინც ყოფილიყო, სანთლებს ვიყიდიდი-მეთქი, იმავე წამს მაკაც გამოჩნდა, მომცა სანთელი, აგერ დაანთე, ღირსი მამა ამბროსის საფლავია, მინდოდა, მენახა, მომელოცა, სანთელი დამენთო, აგერ, იმდენი წამოვიღე, რომ ყველას გვეყოფა, მართლაც, ყველას ჩამოგვირიგა. ნელი ნიავი ქროდა, სანთლის ანთება გაგვიჭირდა, ამიტომაც, ყველანი მუხლმოდრეკილი საფლავის გარშემო მხარი მხარს მივადგით და ნიავს ვაკავებდით, ჩამქრალ სანთელს ვუნთებდით ერთმანეთს, ერთად შეკრებილი ქართველები სიკეთეზე, ჩვენს ოჯახებზე და ჩვენს ქვეყანაზე ვლოცულობდით, იმაზე კიდევ, რომ გათენებამდე მაინც მშვიდობით ჩავსულიყავით თბილისში. კარგა ხანს დავყავით, გეგონება რაღაცა ძალამ გაგვაჩერა, დროის შეგრძნება დაგვაკარგინა, გაგვაერთიანა, შემოდგომის ღამის სუსხი გაათბო, ხვალინდელი დღის იმედით აგვავსო და გაგვაძლიერა, კმაყოფილებმა გავაგრძელეთ გზა, შემდეგ სულიერ თემაზე ვილაპარაკეთ. მაკა გამოგვიტყდა, „მამაო ჩვენოს“ თუ იტყვი, ეშმა 17 წუთი ვერ მოგეკარებაო, აი, მაშინ კი მივხვდი წეღანდელი მაკას ბუტბუტის მიზეზიც, ისიც დავინახე, ჩვენს უკან სავარძელზე მჯდომი ჩაფიქრებული ჭეშმარიტი ადამიანი როგორ ატრიალებდა ხელში ნახევრად დამწვარ სანთელს, შემდეგ დავხუჭე თვალები და შევეცადე, მუსიკა მომესმინა.

ცოტა ხანში ვიგრძენი ჩემს მხარზე ქვითინი, გავიხედე გვერდზე და ქ-ნი ნინო არ ტირის? უკვე ვეღარ გავიგე, რა ხდებოდა, ჩემს გვერდზე მჯდომ ქალს ატირებდნენ?!! ქ-ნო ნინო? რა ხდება!! შეწუხებულმა ხმამაღლა ვუთხარი, - არაფერი, არაფერი, ცრემლები მოიწმინდა და ჩუმად მითხრა, - ბრაზილიურ სერიალებში არ არის ესე ჩახლართული, რასაც ეს გიორგი მიყვება, მერე გეტყვი ყველაფერს. ხელები გავასავსავე და მუსიკის მოსმენა გავაგრძელე. მალევე ნინო შემომიტრიალდა, მეუბნება - თურმე თბილისიდან წამოსულია დასავლეთში სამუშაოდ, ჰყავს ცოლი და შვილი, თვენახევარში ელოდება მეორეს, მაგრამ აქეთ შეყვარებია სხვა გოგოც, რომანი გაუბია და ისიც ორსულად ჰყავს, გოგონას ოჯახში მიღებულია სიძედ, არ იციან, რომ მას თბილისში ცოლ-შვილი ჰყავს, ერთადერთი, რაც ჯერჯერობით შველის, სამსახურიდან გამომდინარე, კვირის გარკვეული პერიოდი თბილისში უნდა იყოს და ნაწილი დასავლეთში, როდის გასკდება ეს ამბავი და რა მოყვება ამას, არავინ იცის. მოკლედ, ორივე უყვარს ძალიან, გოგოებსაც უყვართ, ფიქრობს, ერთი დიდი სახლი

იყიდოს და ცოლებთან და შვილებთან ერთად იქ იცხოვროს. ამ დროს გიორგიმ მომაწოდა ბრენდის ბოთლი - დალიეო, მე გავუღიმე და - გიო, მე მგონი, შენ უფრო გჭირდება, ძმაო, ვერ ჩაგეწილები, მადლობა. ასე სიცილში და ტირილში ჩავედით ზესტაფონამდე, გავძვერით „არკაში“, მივუყვებით ცენტრალურ, აღმაშენებლის ქუჩას, არ მისული ყაყაჩოებთან, თუ ვარდებთან, სამი წითლად რომ ანათებს და ერთი რომ გადამწვარია უკვე ორი წელიწადია, შორიდან დავინახე იმერელი კოპწია ქალის სილუეტი, რომელიც გზაზე გადასვლას აპირებს ნაბიჯი გადადგა წინ, მერე უკან, ისევ წინ, რამდენიმე ნაბიჯი კვლავ უკან, მერე უცბად გაიქცა და შუა გზაში გაჩერდა??? სწრაფად მოძრავი მანქანებით გადატენილ ქუჩაზე წესით, უნდა გაიხედო მარცხნივ, მერე, მარჯვნივ და თუ არ მოდის მანქანა, შემდეგ შეგიძლია გადაკვეთო გზა, ფიქრობს: - წავიდე თუ არა წინ? მოდი, წავალ! წავიდა- აქ რა მინდა? დაბრუნდა უკან, - უნდა თემოსთან მივიდე, დაბადების დღე აქვს-ა�ა, წავიდა წინ, - უი, მანქანა მოდის, ჩერდება შუა გზაში - როგორ გამოვიყურები? ამოიღო პატარა ჩანთიდან სარკე - მანიკური მისვია? ტუჩის საცხი მისვია, თვალებს ვაბრიალებ, წავედი წინ, მანქანა რომ დამეჯახოს? პრობლემა არაა, კალგოტკა მაცვია, ზეგამძლე ძაფისგანაა ნაკერი, გუშინწინ ვიყიდე, 20 ლარი მივაშავე, არ გაიხევა, იუბკაც კარგად მეტევა და ქუსლებზეც ძლივს დავდივარ, ჰო საცვალიც წითლად ბრდღვიალებს, თავი მაღლა დავიჭირო, არაფრის არ მეშინია, წავედი წინ! ლიფჩიკი გაისწორა, მხრები უკან გადასწია, ღრმად ჩაისუნთქა, მკერდი უფრო წამოსწია და წავიდა წინ, მაგრამ არც მარცხნივ იყურება და არც მარჯვნივ, მთავარია, წინ არაფერს ეჯახება, გზის მეორე მხარეს დაინახა თემურის დაქალი ლალი, კვლავ გაჩერდა - შეხედე ელასტიკებით, როგორ გამოიყურება? გამოტყლარწულა ჩემი გულის გასახეთქად, კაი გოგო კია, მარა ჩემსავით ქუსლებზე ვერ დგას, თეძოებიც ვერ აქვს ჩემნაირი, ვერც ჩემისთანა გამოხედვა აქვს. ტელეფონი რეკავს - ხოო, თემო! სადაცაა მოვალ, ხოო ტააქსიიით, ხუთ წუთშიიი შენთანაა ვაააარრ, გაღიმებული ელაპარაკება შუაგულ გზაზე. ყურებამდე გაკრეჭილი მარშუტკის მძღოლი უყურებს მაკას და სანახაობით ტკბება, მიდის წინ, სულაც ვერ ხედავს გოგონას, რომელიც შუაგულ გზაზე თავის გულის სწორს ესაუბრება ტელეფონზე. - იყურე წინ! - ვუთხარი ხმამაღლა - წინ იყურე, ბიჭო! მანქანა ზედ მიდის სულ რამდენიმე მეტრი რჩება, მძღოლი გაოგნებული, რა დაუშავეო, მე მიყურებს - წინ, ბიჭო!! დავუღრიალე, გამოფხიზლდა, უცბად გაიხედა წინ, საჭე აიღო მარჯვნივ და სულ მილიმეტრებში

ააცილა „პროფესიონალმა მძღოლმა“. გოგონას არც კი დაუნახავს ამხელა მანქანა, არც შეშინებული მგზავრების სახეები, არც სხვა მანქანებს ხედავდა, ის ბედნიერი მიფრინავდა თემოსთან.

ყველამ ამოვისუნთქეთ, ორივე შენ გადაარჩინეო, უკნიდან შემომძახეს, მეც მესიამოვნა, ჩავთვალე, რომ დღევანდელ დღეს ჩემი მისია შესრულებული იყო და დავხუჭე თვალები.

იმ ღამეს ძალიან გვიან ჩავედით თბილისში, ყველა ემოციურად დატვირთული და კმაყოფილი ვიყავით, ჩვენი დედაქალაქიც შეგვხვდა გაშლილი ხელებით, ღია გულით და სითბოთი განათებული. პატარა სალოს სამზარეულოში ეძინა, მამიკოს ელოდებოდა! ავიტაცე ხელში, ასორმოცდათხუტმეტჯერ ვაკოცე, მაგრამ ვერ გავაღვიძე, ბედნიერი ვიყავი, რომ მელოდებოდნენ სიყვარულით.

ზაირა გელაძე

დაიბადა 1990 წლის 31 მაისს. ცხოვრობდა ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხაში, დაამთავრა ჩუნჩხის საშუალო სკოლა.

2008-2012 წლებში სწავლობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

2013 წლიდან დღემდე მუშაობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის თანაშემწედ, ხოლო 2016 წლიდან „არავის“ მდივნად.

ჩუნჩხის გზებზე

ჩემს სოფელში ასვლა ყოველთვის დიდ სიხარულთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში მახსენდება ჩემი ბავშვობა, სტუდენტობის წლები, როდესაც, როგორც კი დროს მოვიხელთებდი, აქეთ გამოვიქცეოდი ხოლმე. ჩვენი წინაპრები იტყვიან: გათხოვილი ქალი დედამის სახლში რომ სტუმრად მოდის, ქვასანაყიც კი კანკალს იწყებს, ვაი თუ, თან გამატანონო. ამგვარი პრეტენზია ნამდვილად არ მაქვს ჩემს მამულ-დედულთან, პირიქით, ვხვდები, რომ ჩემი მისვლით ბავშვობის სახლის კედლებიც კი მიღიმიან და მახსენებენ ნამდვილ ლამაზ წლებს. მე ის თაობა ვარ, რომელიც აჭარიდან გადმოსახლებული ეკომიგრანტების აქ დასახლების შემდეგ მოვევლინე ამ ქვეყანას. პაპაჩემი - შოთა პაქსაძე თავისი ოჯახით 1989 წელს გადმოსახლდა ჩუნჩხაში ხულოს რაიონის სოფელ დანისპარაულიდან. მახსოვს, როდესაც დანისპარაულში მიწევდა ხოლმე სტუმრობა, უფროსები ამბობდნენ, სოფელს სახელი დანის გამო შეერქვაო - თითქოს აქაურები დანას იპარავდნენ და სახელწოდებაც იქიდან მოდისო. შემდეგ, სტუდენტობის წლებში გავარკვიე, რომ დანის მოპარვა არაფერ შუაში იყო. სახელი პატრონიმული წარმომავლობისაა და საკუთარ სახელს დარისპანს უკავშირდება. დანისპარაულიდან ჩუნჩხაში გადმოსახლება დიდი და კარგი საქმე იყო. მთიანი აჭარის სოფელი, საიდანაც ჩემი პაპა და მშობლები წამოვიდნენ, გზის მოშლის და ფლატე, მცოცავი ნიადაგის შედეგად პრობლემების წინაშე

დგებოდა და დგება დღესაც. ჩუნჩხას ვერც გაზაფხული და ვერც ზამთარი საძირკველს ვერ ურყევს. მისი კლდოვანი ქარაფები მკვიდრი საფუძველია სოფლისათვის.

მე გავიზარდე ჩუნჩხაში, ჯავახეთის ამ ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ სოფელში. აქ ყოველ ნაბიჯზე ჩვენი ისტორიაა, ზოგი მიწის ზევით და ზოგიც მიწის ქვეშ. ბევრი შესანიშნავი ადამიანი დაბადებულა და გაზრდილა ჩუნჩხაში. ჩემს ბავშვობაში კარგად მახსოვს, როგორი სიამაყით ხვდებოდა სოფელი ბორის ლომსაძეს. სოფლელები დღესაც მის სახელს უკავშირებენ მტკვარზე გადებულ ხიდს, რომლითაც უმოკლესი გზით დაუკავშირდა ჩუნჩხა ცენტრალურ გზას.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში არაერთი შრომა წამიკითხავს პროფესორ შოთა ლომსაძისა, ზოგჯერ მიცვნია კიდეც ის ადგილები, რაზეც ბატონი შოთა საუბრობდა.

ახლა კი ქორწილში მივდივარ, ჩემი უახლოესი ნათესავის ქორწილია, თან ჩემი შვილი მიმყავს. პატარა კი არის, მაგრამ მინდა, რომ მასაც ისევე უყვარდეს თავისი დედულეთი, როგორც მე. იცოდეს, რომ ისიც ისეთივე ჯავახია, როგორიც მე. ავცდით ხერთვისს და მივადექით სწორედ იმ ხიდს, რომლითაც ბატონმა ბორისმა ჯერ კიდევ 70-იან წლებში შეამოკლა გზა ჩუნჩხამდე. გადავუხვიეთ, გადავკვეთეთ ჯავახეთის მტკვარი და შევუყევით ჩუნჩხის აღმართებს. ეს ადგილები კიდევ უფრო ძვირფასია ჩემთვის, რადგან აქ გვაქვს ჩვენ შესანიშნავი ბაღი, რომელიც განთქმული იყო თავისი ჯავახური ბარის ხილით და მოსავლით. თითქოს არ უნდა გაუკვირდეს აჭარიდან გადმოსული ოჯახის შთამომავალს მსხლის ჯიშები - აჭარაში საუკეთესო მსხალი იცის, მაგრამ სულ სხვაა აქაური თავრეჟული, გულაბი... სხვანაირი ჭანჭური იცის ჩვენმა ბაღმა, კაკალი ხო ულევია.

მამაჩემი ბოლო დრომდე ხდიდა აქაური ჭანჭურის არაყს. ჩუნჩხის ხრამები ცნობილია თავისი შესანიშნავი წყაროებით. ამ წყაროებით ირწყვოდა ჩვენი ბაღები.

გზა კი შემოკლებულია, მაგრამ რად გინდა, ჩვენი მსუბუქი მანქანა რამდენჯერმე უკვე წამოედო უსწორმასწორო ზედაპირს არადა, აქ თავისუფლად მოძრაობდა ამ ტიპის ტრანსპორტი. მას შემდეგ, რაც ხერთვისის ჰესი გააკეთეს, დიდმა მანქანებმა მოუღეს ბოლო. იძულებული ვართ, უკან დავბრუნდეთ. არც ეს აღმოჩნდა ადვილი. როგორც იქნა, მოვაბრუნეთ მანქანა და წავედით ახალქალაქზე.

არ შეიძლება ადამიანმა არ იფიქროს იმ უსულგულობასა და უპატივცემლობაზე, რომელიც ახლავს ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ დიდი საქმის მკეთებელთ. ჰესი, რომელიც თურქებმა ააშენეს

და რომელსაც უცნაური სახელი ჰქვია - **შპს-საქართველო-ურბან ენერ.გე** (სწორი და უმჯობესი იქნებოდა ხერთვისის ჰესი). თავისთავად ალბად ქვეყნისთვის სიკეთის მომტანია, მაგრამ რა დააშავეს ჩუნჩხელებმა - ამ პატარა სოფლის მცხოვრებლებმა, რომ გააუბედურეს მათი ბაღები, გაუფუჭეს ნანატრი გზა და მასზე ტრანსპორტი ვეღარ მოძრაობს. ეს პრობლემა ჩემი პატარა სოფლისთვის, მისი ადგილზე დამაგრებისათვის ერთ-ერთი ხელშემშლელი პირობა ნამდვილად გახლავთ.

ავედით ახალქალაქში. გულს უხარია მოასფალტებული ქუჩების ცქერა. გავუარეთ, გავცდით ახალქალაქის ციხეს, რომელსაც დღევანდლამდე ამჩნევია მაშინ ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ზღუდეზე ალფასლანის მიერ დაღვრილი ქართველთა სისხლი. აქვე გაგახსენდება პასკევიჩის ზარბაზნების ხმა 1828 წელს, გადაივლი მუსხელიშვილების ხევს და რუსული სამხედრო ნაწილის მაგივრად ქართველებს დაუდიათ ბინა.

აქ არის ჯავახეთის ერთ-ერთი დიდი სოფელი დილისკა, სადაც მთავრდება მოასფალტებული გზა. ამ სოფლის სახელი დილისკარიდან უნდა მოდიოდეს. დილისკიდან გზა მიემართება ქართული სოფლებისაკენ, ეს კი უკვე იმას ნიშნავს, რომ უგზოობა გარანტინებულია. ოღროჩოღრო ორმოებიანი გრუნტი ჩვენს მანქანას სიფრთხილეს და ნელა სვლას აიძულებს. ასე მივდივართ პტენამდე და მერე ჩემს მშობლიურ სოფელ ჩუნჩხამდე. და ისევ ჩნდება კითხვები: ეს ხომ ის სოფლებია, ჯავახეთის პლატოს ქარაფის პირას რომ მდებარეობს და დანარჩენ ქართულ სოფლებთან ერთად პირველი რომ ხვდებოდა მტერს. ბრძოლაში რომ გალეულან და ძლივს მოულწევიათ ჩვენამდე. მე-20 საუკუნის 80-იან წლებიდან აჭარლები რომ გადმოსახლებულან და დღეს ჯავახებთან ერთად ეწევიან ჭაპანს. ესეც ჩვენი ახალქალაქის გზა. მოკლე გზიდან იმიტომ გავბრუნდით უკან, რომ ჩუნჩხის სანახები ვერ ამოვიარეთ. აქედან სადღა წავიდეთ? რატომ ხდება, რომ უგზოობა ძირითადად ქართულ სოფლებს ახასიათებს. განა, ყველაფერი არჩევნების დროს ხმის მიმცემთა რაოდენობით უნდა განისაზღვროს?

ასე ჯაყჯაყით მივადექით სოფელს. ყველანი ქორწილის სამზადისში იყვნენ. ქართველების ამბები მოგეხსენებათ, თამადის მიერ ნათქვამი ერთი-ორი ლამაზი სადღეგრძელო, ჯავახეთის და აჭარის გახსენება, ერთი-ორი ყანწი ღვინო და გზის ვარგისიანობაზე უკვე არავინ ფიქრობს. მეც ამ იმედით ჩავერთე საქორწილო ორომტრიალში.

მხატვარი - რევაზ ინანიშვილი

თეა რეხვიაშვილი

ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრი „არმაზი“

ქალბატონი თეა რეხვიაშვილი ქართულ-ბერძნულ კულტურისა და განათლების ცენტრს ხელმძღვანელობს ათენში. როგორც კი მისი წარმომავლობის შესახებ შევიტყვეთ, კიდევ უფრო მეტად დავინტერესდით ქალბატონი თეას საქმიანობით საბერძნეთში. იგი მესხეთიდანაა, ახალციხიდან, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. თუმცა, ამის შესახებ ინტერვიუს ბოლოსთვის შემოვინახეთ კითხვები.

- ქალბატონო თეა, როდის დაარსდა ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრი „არმაზი“ ათენში?

- ქართულ-ბერძნული კულტურის და განათლების ცენტრი „არმაზი“ დაფუძნდა 2013 წლის ნოემბერში, ხოლო ოფიციალური პრეზენტაცია შედგა 2014 წლის 7 აპრილს. პრეზენტაცია იყო პირველი ღონისძიება, რომელიც თავისი ხასიათით არა მხოლოდ ორგანიზაციის, არამედ ქართველ ემიგრანტთა წარდგინებასაც ემსახურებოდა საზოგადოების წინაშე. საზოგადოებამ გაიცნო ქართველი ემიგრანტი მხატვრების - ბესიკ კიკილაშვილისა და რომან ტვილდიანის შემოქმედება. აქვე ჩაეყარა საფუძველი ქართველ ემიგრანტ ხელოვანთა კავშირის შექმნას, რომელიც დღემდე წარმატებულად

მოღვაწეობს. ძალიან მალე, 2014 წლის 11 მაისს, ქართველ მხატვართა ინიციატივით ორგანიზაციამ განახორციელა ღია პროექტი „ფესვები“, სადაც მონაწილეობა მიიღო ოცდასამმა მოზარდმა ქართველმა ემიგრანტმა. ეს იყო ათენში პირველი მასშტაბური გამოფენა, რომელიც ათი დღე გრძელდებოდა. გამოფენის მთავარი იდეა იყო ემიგრანტი ბავშვების ნიჭის წარმოჩენა და საკვანძო იდეა – გაცნობოდნენ ქართულ მხატვრობას. მისი პრეზენტაცია შედგა პროექტის დახურვის დღეს, სადაც პატარა მხატვრებს ჩვენი ორგანიზაციის სახელით სიგელებიც გადაეცათ.

- გვიამბეთ, რა არის თქვენი საქმიანობის მთავარი კონცეფცია?

- არსებობის პირველი დღიდან ორგანიზაცია მხარს უჭერს ემიგრანტების შემოქმედებით საქმიანობას. ამ ხაზით ემიგრანტულ გაზეთ „ელადას“ რედაქტორთან, ქალბატონ ანა ყურშავიშვილთან თანამშრომლობის ფარგლებში 2014 წელს ორგანიზაციამ უმასპინძლა ცხრა ქართველ ემიგრანტ პოეტსა და მწერალს.

- ყველაზე საინტერესო საქმიანობად, პირადად მე, მიმაჩნია, რომ არსებობს ხელოვნების სკოლა, რომელიც თქვენთან ფუნქციონირებს. გვიამბეთ ამ სკოლის და აქ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

- 2014 წელის ოქტომბერში დაარსდა *ხელოვნების სკოლა*, სადაც ქართველი მოზარდები ხატვას, ძერწვას, გობელენისა და თექის დამუშავების ტრადიციულ ხელოვნებას ეუფლებიან. ხელოვნების სკოლის ხაზით იმავე წლის ნოემბრიდან ხათუნა ლობჯანიძის ხელმძღვანელობით დაარსდა საბავშვო ცენტრი ხელოვნების წინასასკოლო პროგრამით, სადაც დამატებით პროგრამად შევიდა ქართული სკოლამდელი აღზრდის პროგრამები.

2015 წლის 17 მაისს ორგანიზაციამ ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო ლიგასთან თანამშრომლობით განახორციელა პროექტი – „მესიჯი სამშობლოს“. პროექტში მონაწილეობა მიიღეს როგორც „არმაზის“ ხელოვნების სკოლის, ასევე ათენის მოზარდმა ემიგრანტებმა. პროექტმა გადაინაცვლა საქართველოში და პატარა ემიგრანტების ნახატები გამოფენილი იქნა ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

2015 წლის 26 მაისს ჩვენმა ორგანიზაციამ ქართველ ემიგრანტთა ურთიერთდახმარების ფონდის ხელმძღვანელთან, მარინა გელოვანთან თანამშრომლობით ორგანიზება გაუწია ეროვნული დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ათენში არსებულმა ყველა საგანმანათლებლო და კულტურულმა ორგანიზაციებმა. ღონისძიების მიზანი იყო ამ ორგანიზაციების სამომავლო ურთიერთთანამშრომლობა.

2015 წლის სექტემბრიდან ემიგრანტი ბავშვებისათვის, შეიქმნა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი სკოლა (დაწყებითი სასკოლო პროგრამის კურსები), რომელსაც უძღვება დაწყებითი განათლების სპეციალისტი ხათუნა ლობჟანიძე და მე პროფესიით ისტორიკოსი გახლავართ).

2015 წლის 30 ნოემბერს, „არმაზის“ სააქტო დარბაზში გაიმართა ბერძნულ-ქართული მეგობრული ღონისძიება, სადაც ქართველი მხატვრის – ბესიკ კიკილაშვილის პერსონალური გამოფენა და დასკვნით ნაწილად მოყვარულთა დასის სპეტაკლი „ნერვიული კაცის“ პრემიერა გაიმართა.

2016 წელს „არმაზის“ ორგანიზებით შედგა არაერთი ქართველი ემიგრანტის შემოქმედების პრეზენტაცია. მათ შორის აღსანიშნავია ცნობილი ემიგრანტი პოეტის, ქალბატონი ზაირა კეღოშვილის შემოქმედებითი საღამო, რომელიც გაშუქდა ნინო ცხოიძის გადაცემაში „ემიგრანტები ანუ სხვა საქართველო აქ არის“. აგრეთვე, ნანა მიქაუტიძის ნოველების კრებულ „ევას“ პრეზენტაცია, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა და სხვა.

2016 წელს სექტემბრიდან დაარსდა ქართული ფოლკლორული ცეკვის სტუდია, რომელსაც დათო წივილაშვილი ხელმძღვანელობს. ეს სტუდია თანდათანობით ყალიბდება, როგორც ცეკვის ანსამბლი. მსურველები სწავლობენ ქართულ ხალხურ ცეკვებს. მათ უკვე არაერთ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.

2017 წლიდან „არმაზის“ ბაზაზე მოქმედებს ქართული თოჯინების თეატრი „ბაბილინა“, რომელსაც ქალბატონი ნინო ახვლედიანი ხელმძღვანელობს და ქართველი მოზარდებისათვის ქართულ დიდაქტიკურ ნოველებს, ზღაპრებს და იგავ-არაკებს წარმოადგენს.

ამავე წელს შეიქმნა „ლიტერატურული ლესხი“, სადაც გაწევრიანებული არიან ემიგრანტი პოეტები, მწერლები და ლიტერატურის მოყვარული თანამემამულეები. მათი საქმიანობა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია და ემიგრაციაში ქართული ღირებულებების შენარჩუნებაა. ამ მიზნით „არმაზის“ სააქტო დარბაზში იმართება მრავალი ღია და დახურული ღონისძიება, რომელიც ქართული მწერლობის მნიშვნელოვან მოვლენებს ეხმაურება. „ლესხს“ წარმატებით ხელმძღვანელობს ქალბატონი შორენა მჭედლიძე.

2016 წლის სექტემბრიდან ორგანიზაციის ბაზაზე მოქმედებს „ნიკო გომელაურის სახელობის თეატრის მოყვარულთა დასი“, რომელსაც არაერთი სპექტაკლი აქვს წარმოდგენილი. დასს სათავეში უდგას მსახიობი და რეჟისორი ნიკოლოზ ტყავაძე. დასი ამჟამად მზად არის, წარმოადგინოს ახალი სპექტაკლი – ჟან-პოლ სარტრის „ცხრაკლიტული“. თეატრალური დასის ინიციატივით ასევე მოქმედებს მეტყველების და სასცენო ხელოვნების სტუდია, სადაც სხვადასხვა ასაკის ჩვენი ემიგრანტები არიან გაწევრიანებულნი.

- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ცდილობთ ემიგრანტ მოზარდთა ინტეგრაციას როგორც საზოგადოებაში, ასევე სასწავლებლებში. როგორ ახერხებთ ამას?

- 2016 წლის სექტემბრიდან ორგანიზაციამ მუშაობა დაიწყო ქართველ ემიგრანტ მოზარდთა ინტეგრაციის მიმართულებით. ამ პროგრამის მიზანი ბერძნული სასწავლო პროგრამების დაძლევა, თავად ბერძნული ენის ან ტექნიკური საგნების სწავლაში დახმარებაა. ამით ქართველ ემიგრანტ ბავშვებს თავის დამკვიდრების შესაძლებლობას ვუადვილებთ. ამ საქმიანობაში გვეხმარება და პროგრამას ხელმძღვანელობს ბერძენი პედაგოგი ნიკი დიავატი.

- როგორი ურთიერთობები გაქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თანამშრომლობთ თუ არა მათთან?

- „არმაზი“ გაწევრიანებულია საბერძნეთის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა „ევროპული გზა“, „იუნესკო“, „სრულიად საბერძნეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ორგანიზაციების კავშირი“ და ა.შ. ყოველთვის აქტიურად ვცდილობთ მათთან თანამშრომლობას.

- და ბოლოს, გაგვაცანით საკუთარი თავი. ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ხართ მესხეთის შვილი, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. ეს ჩვენთვის ორმაგად საამაყოა. რას გაიხსენებდით თქვენი სტუდენტური წლებიდან?

- დავიბადე სოფელ მოხეში. მოგვიანებით ჩემი ოჯახი ქალაქ ახალციხეში გადმოვიდა საცხოვრებლად, სადაც ამჟამადაც ცხოვრობს. მოხე დედამიწის ის პატარა ნაწილია, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს და მენატრება, იქ გატარებული ბავშვობის წლები ქრისტიან და მუსლიმან მეგობრებთან ერთად. ვთვლი, რომ, რაც კი საუკეთესო და ღირებული გამაჩნია როგორც ადამიანს, ამ პატარა სოფლიდან მომყვება.

ახალციხის უნივერსიტეტში ვსწავლობდი 1997-2002 წლებში, ისტორიის ფაკულტეტზე.

როგორც ყველა ადამინისათვის განსაკუთრებულია სტუდენტობა, ასევე არის ჩემთვისაც. ოთხმოცდაათიანი წლების სტუდენტური პერიოდი შეუდარებლად რთული იყო. დღევანდელი გადმოსახედიდან

საოცარია, როგორ ვახერხებდით წიგნის, განათების, ფინანსების და ყოველგვარი ხელისშემწყობი პირობების გარეშე სწავლას. მაგონდება, მესამე კურსზე, მეორე ცვლაში დაგვენიშნა ლექციები. ეს ლექციები იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე ერთმანეთის დანახვა შეგვეძლო. გამოვდიოდით ბნელში ფრთხილად აუდიტორიიდან, ასევე ფრთხილად ჩავდიოდით კიბის საფეხურებს (ყველაზე საშიშ მონაკვეთს) და აქა-იქ განათებული ქუჩებით ვბრუნდებოდით სახლებში. მიუხედავად ამისა, უკეთესი მომავლის იმედი გვქონდა, ვცდილობდით, გვესწავლა და შემოქმედებითად აქტიურებიც ვყოფილიყავით.

მახსოვს, მეორე კურსზე ვიყავი, უნივერსიტეტში ინტელექტუალური ვიქტორინა გაიმართა, მთელი ძალისხმევით ვიყავით ჩართულები. მაშინ საუკეთესო ინტელექტის პრიზი ავიღე. ეს იმდროისთვის ჩემთვის დიდი წარმატება იყო და დიდი სტიმულის მომცემი. ამის შემდეგ გადავწყვიტე ისტორიის კათედრაზე დარჩენა (იურიდიულ ფაკულტეტზე ვაპირებდი გადასვლას). ჩავთვალე, რომ ისტორია მრავალმხრივი ინფორმაციით გავსებს, მათ შორის - სამართლებრივი ცოდნითაც.

სასიამოვნოდ მახსენდება ე. წ. „ლიტერატურული ხუთშაბათები“, რომლის აქტიური წევრიც ვიყავი. ეს იყო ფილოლოგთა ინიციატივით შექმნილი სტუდენტური პოეზიის დღე. წევრიანდებოდნენ ლიტერატურული, პოეტური ნიჭის მქონე სტუდენტები. ყოველ ხუთშაბათს ვიკრიბებოდით და ერთმანეთის ვუზიარებით ჩვენს ნაწერებს. ვიწვევდით სხვადასხვა ცნობილ ქართველ მწერალსა და პოეტს. ასე შევხვდი და გავიცანი გოდერძი ჩოხელი და ბევრი ისეთი ადამიანი, რომელთა შეხვედრაც ჩემთვის დიდი პატივი იყო.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ჩემი კათედრის პროფესორები. კათედრის გამგე ბატონი ვალერი სილოგავა (ღმერთმა აცხონოს), დეკანი ქალბატონი თინა იველაშვილი, პედაგოგები - მედეა ბურდული, რომელიც წლების განმავლობაში ჩემი საკონფერენციო თუ საკურსო ნაშრომების ხელმძღვანელი იყო, ირინა ღამბაშიძე, რომელმაც არქეოლოგია შემაყვარა, ზურა ქუქჩიშვილი, რომლის გარდაცვალებამ ძალიან დამწყვიტა გული და სხვები. ყველას ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ დიდ პატივს ვცემ თითოეულ მათგანს. ყოველთვის ვგრძნობდი ჩემი კათედრის მხარდაჭერას.

მაოცებდა მათი თავგანწირვა. ისინი მოდიოდნენ თბილისიდან ლექციების შემდეგ. ღამით მგზავრობდნენ. ლექტორებისათვის გამოყოფილ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ, სადაც საყოფაცხ-

ოვრებო პირობებს - ელექტროენერგიას, წყალს, გათბობას მოკლებულნი იყვნენ. თანაც მაშინდელი მიზერული ანაზღაურებით, თავიანთ საქმეს ღირსეულად ასრულებდნენ. ფაქტობრივად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ფუნქციონირება მესხეთში 1990 წლიდან მათი დამსახურება იყო და არის, რა ფორმით და სახელითაც ფუნქციონირებს დღეს ჩვენი უნივერსიტეტი. ეს გმირობის ტოლფასია და როგორც ერთი, მესხეთში დაბადებული ქართველი მოქალაქე, მადლობას ვუხდი მათ ამ დიდი ღვაწლისათვის.

- დიდი მადლობა, რომ ითანამშრომლეთ ჩვენს ჟურნალთან. გისურვებთ წარმატებულ გზას ცხოვრებაში და საქართველოში მშვიდობით დაბრუნებას.

ინტერვიუერი მაია ქუქჩიშვილი

თარგმანი

ალექსანდრე ელერდაშვილი ახლახანს დაჯილდოვდა ივანე მაჩაბლის პრემიით, ვულოცავთ ბატონ ალექსანდრეს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.

გთავაზობთ მის ახალ თარგმანებს

ოსიპ მანდელშტამი

* * *

სიზმრად ვხედავ მთაგორიან თბილისს,
საზანდარი სადღაც ჰანგებს წელავს,
ეს ქალაქი ჭრელ ფარდაგს ჰგავს თითქმის...
მაღლა ხალხი ხიდებს ფეხით თელავს,
დაბლა მტკვარი დუდუნებს და ღელავს.

ვხედავ მტკვარზე გადმოკიდულ დუქნებს,
იქ ღვინოა და საამო ფლავი,
იქ მედუქნე ყველას სუფრას უქებს,
ჭიქებს უვსებს, ხელს მზადყოფნით უქნევს,
რომ სტუმარმა ლაღად იგრძნოს თავი.

ბადაგივით კახურ ღვინის სმა და
დროსტარება გეამება დაღლილს,
სიგრილეში გაგეხსნება მადა,
სიწყნარეში სადღეგრძელოს თქმა და
სმა ორთან სჯობს... მარტო თრობა არ ღირს!

სულ პატარა დუქანში რომ ჩახვალ
მატყუარას ჰპოვებ ვინმეს, - მზაკვარს,
იქ „თელიანს“ თუ მოითხოვ, ნახავ,
რომ თბილისურ ნისლში განიზრახავ;
ბოთლებს შუა დაეძებდე გზაკვალს.

კაცს იცნობდე შეიძლება ხნიერს,
ბატკანი კი; ნორჩი გვინდა, ოდეს
მთვარიანი ღამის დასალიერს
ღვინით თრობას მოვისურვებთ ძლიერს,
ირგვლივ მწვადის სურნელი რომ ქროდეს.

მარინა ცვეტაევა

* * *

ო, როგორ მომწონს, ჩემზე ფიქრით, რომ არ ხართ ავად,
მომწონს, რომ თქვენგან საფიქრალი მეც არ მეცვლება,
რომ დედამიწა არასოდეს იქცევა ნავად
და ფეხქვეშ არსად და არასდროს გამოგვეცლება.
მომწონს, რომ გიხმობთ თამამად და ვიცინი ლაღად,
რომ არ ვკეკლუცობ და არ ვცდილობ კვლავაც შეხვედრას,
რომ არც ალმური გადაგვირბენს სახეზე ტალღად,
სახელოებით თუ შევიგრძნობთ ოდნავ შეხებას.

მე ისიც მომწონს, რომ მიმზერთ და არც კი მთვლით ქალად,
სხვის საალერსოდ რომ გწადიათ, მალე მომცილდეთ...
რომ არ მექცევა ჯოჯოხეთურ ცეცხლად და ალად,
რომ, მე კი არა, სადღაც სხვას რომ ვნებით კოცნიდეთ.
ჩემს ლამაზ სახელს რომ არასდროს, ჩემო ლამაზო,
არც დღე გაგონებთ და არც ღამე.... არსად მოგელით
მდუმარე ტაძრის თაღებქვეშ რომ შემომთავაზოთ
„ალელუია“ – ღვთაებრივი საგალობელით.

მადლობას გიძღვნით მთელი გულით, მთელი არსებით,
რადგან თუნდ ასე გყვარებივართ, რომ ვერ გრძნობთ თავად,
ღამის სიმშვიდე მომანიჭეთ რადგან სავსებით,
რადგან არასდროს გამოვრბივარ თქვენს სანახავად,
რადგან მთვარის შუქს ჩვენი ჩრდილი არასდროს ერთვის,
რადგან მზის სხივებს არ სურთ ჩვენთვის კამარა შეკრან...
რადგან თქვენ ავად სულაც არ ხართ – ვაი რომ! – ჩემთვის,
რადგან მე ავად სულაც არ ვარ – ვაი რომ! – თქვენგან!

* * *

წადით!... არაფრის თქმა აღარ მმართებს
და ამაოა სიტყვა ყოველი...
ვიცი, ჩემს დუმილს არვინ ამართლებს, -
ამას თავადაც აღარ მოველი.

ამ ბრძოლით მე რომ არ ვპოვებ სასრულს,
თქვენ ეს არ გესმით, მხდალს და ნებიერს,
ჭაბუკო, არვის ფლობა მე არ მსურს,
არც ბატონობა გამხდის ბედნიერს.

არც თქვენთან კამათს მივეძალები,
არც ლექსი მითხრათ, ყალბი და ამო...
თქვენ შეგიძლიათ, რომ სხვების გამო,
აღარ იხილოთ ჩემი თვალები.

თქვენი სიბრმავეც ფუჭად ემონა
ჩემთა გრძნობათა ძალს და მისნობას...
ჩვენ მიგვატოვა - ო, რა დემონმა! -
და შეეხიზნა მარადისობას.

თუმც გწამდეთ ცოდვას განკითხვაც მოსდევს
და, ვით ისარი, ცოდვილს ესობა,
აბრიალდება მის თავზე ოდეს
ცეცხლოვან ფრთების უწყვილესობა.

* * *

არვინ წაგვართმევს არაფერს არსად,
შორიშორ რომ ვართ, მე ამით ვტკბები...
გიგზავნით კოცნას, თუნდ ერთი ასად
გაგრძელდეს თქვენსკენ სავალი გზები.

ვიცი, სხვაობა რომ არის ჩვენში, -
მიტომ არ ვარღვევ დუმილს პირველი...
ჩემს ლექსს დახვეწა სჭირდება, თქვენში
ვარ დერჟავინის სიყრმის მხილველი.

კურთხევა თქვენდა! შემზარავ ფრენას
გიმზადებთ ჟამი თქვენ - ჯერაც მართვეს,
ხომ მედგრად უძლებთ მზის სხივთა ფენას,
ყრმის თვალებს განა გადაღლა მართებს?

არვინ გიმზერდათ თქვენ ასე ნაზად,
ეს მზერა თქვენს კვალს ჩემგან თან გაჰყვა;
...გიგზავნით კოცნას აწ ერთი ასად
ქცეულ წელთა და სივრცის გადაღმა.

ბელა ახმადულინა

სიზმრად ვხედავ საქართველოს

სიზმრად ვხედავ საქართველოს! - შვება და
ნეტარება სულმა ასე ინება
და ბაგეებს ყურძნის სიტკბოებათა
მადლი თითქოს კვლავაც დაედინება.
განვიშორე სინანული ყოველი,
არ მსურს გული ნატვრით დავიავადო –
ოქროსფრად რომ მოჩანს სვეტიცხოველი,
იქ სანთელი ობლად მინდა ავანთო.
მინდა მცხეთის უმცირესი კენჭების
ხოტბაც ვთქვა და ჩემი ლოცვაც ეს არის:
ღმერთო, თხოვნით ცაში შემოგეჭრები,
რომ სულ იყოს ასე ის, რაც დღეს არის.
რომ სიახლედ ვთვლიდე ყველა სანახავს,
მწამდეს, რომ ეს სასწაულად მწვევია,
რა სიმკაცრეც ჩემს სამშობლოს თან ახლავს,
რა სინაზეც სხვის სამშობლოს სჩვევია.

ევგენი ევტუშენკო

* * *

ვინც თბილისიდან წასვლის გზას ეძებს
იცის, რომ ამას ვერასდროს შეძლებს,
თბილისი შენგან არ მიდის არსად,
თუნდ გაცილებდეს სტუმართა მსგავსად.

თუ უცებ ხსოვნა გეტყვის არღარას,
გულს ქაშუეთის ლანდი დაღარავს,
უკვდავი ირმის ნახტომის დარად,
მწამს, რომ თბილისიც იქნება მარად.

* * *

რა პატარა ხარ, მიწავ ქართულო! -
არ გაქვს ათასი სიდიდის ველი...
არწივებით და ხალხით განთქმულო,
შენ უსაშველოდ ხარ მიმზიდველი.

თუნდ სიყალბეში მძლევდეს ვერავინ,
ან პატივაყრილს მცნობდნენ პატივით,
ჯაგლაგს ვგავდე ან მგავდეს მერანი,
მაინც მიზიდავ ანდამატივით.

მიწავ ქართულო, იმ სტიქიონით,
შენს წიაღ რომ ჩქეფს უცხო ძალებით,
სარკმელთან მდგარი გალაკტიონიც
შენ მიიზიდე გარდაცვალებით.

ბულატ ოკუჯავა

* * *

წყვდიადს და დუმილს სხივად ესობა
დღეს თქვენი მზერა აქ შემოხედვით...
ო, თქვენო უდიდებულესობავ,
თქვენ, ქალბატონო, ჩემთან მოხვედით?!

ნუ მკითხავთ ბნელში ვზივარ რატომ და
სახურავიდან წყალი რად წვეთავს...
უდიდებულესს ვჭვრეტ ქალბატონს და
ვფიქრობ, თუ როგორ აღმოჩნდა ჩემთან?!

თქვენს მოსვლას მოჰყვა ხანძარი თითქოს,
ძლივსღა ვსუნთქავ და ფეხსაც ვერ ვადგამ,
მოსვლა ოთახში შესვლასაც ითხოვს...
მაშ, შემობრძანდით, მეწვიეთ რადგან!

სასაცილო ვარ? - რაც არი, არი!
თქვენ ნეტავ ვინ ხართ? ვისთან წვეული?
ეჰ, შეგეშალათ თქვენ, ალბათ, კარი,
ქუჩა, ქალაქი და ასწლეული.

პაველ გრებენიუკი

სონეტი

ორ ცრემლს წვიმა არ მოჰყვება, რაგინდ ღაწვზე ეგოროს,
ორი ღრუბლით რაც შექმნილა, განა ის ამინდია?!.
მედიდური გამოხედვა ჯიში არვის ეგონოს,
ხოლო შლაპა უფრო ხშირად ხომ ლურსმანზე კიდია.

მიზანსწრაფვას თვით მიზნისა განა რამე უწყოდა...
ორ მანეთად კაპიტალის შექმნას ფუჭად ნუ ელი...
ორ ღირსებას იდეალი ჯერ არავინ უწოდა...
ორ გასროლას არასოდეს დარქმევია დუელი...

ორი სირჩით როდის იყო, რომ თვრებოდნენ ლოთები...
ორ მასხარას ცირკს ნუ არქმევ, ბალაგანი რომ არის...
ორი დარტყმა სულ არ არის ჩხუბში შესაშფოთები...
ორი კოცნა ნუ გგონია დასაწყისი რომანის...

ო, რა ხშირად მღელვარებით ვქმნით ამაო იგავებს
და მოწმენდილ ცაზე ვხედავთ ქარიშხალს და გრიგალებს.

მარი ლუიზე კაშნიცი (1901 - 1974)

1933 წელს გამოვიდა მისი პირველი რომანი „სიყვარული იწყება“, რომელსაც მოჰყვა მოთხრობები, ესეები და ლექსები.

კაშნიცის ნაწარმოებები ყოველდღიურ რეალობას და დემონურ-საშინელებათა შორისაა განფენილი და ყოველ მათგანში მოთხრობილი ამბავი აუხსნელი ძალების ზეგავლენის ქვეშ ვითარდება.

1955 წელს მიენიჭა ლიტერატურული გეორგ ბიუჰნერის ლიტერატურული პრემია, 1970 წელს გახდა ჰებელის პრემიის მფლობელი. იგი მრავალი სხვა ჯილდოს მფლობელიცაა.

ᲩᲐᲚᲘᲡ ᲦᲔᲠᲝ

შუადღეს, თორმეტს ცოტაღა აკლდა, წერილი ვიპოვე, არც მიძებნია და არც პიჯაკის ჯიბიდან ამომიღია, სრულიად შემთხვევით წავაწყდი. ერთ წიგნში იდო და კიდე მოუჩანდა. წიგნი ფელიქსის ტუმბოზე კი არა, მისაღები ოთახის მაგიდაზე იდო, რომელზეც მუდამ გაზეთები ელაგა. ბოლომდე არ წამიკითხავს, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა წავიკითხე: „ძალიან მენატრები, ჩემო გულით საყვარელო!“ თავიდან სიტყვები ვერც გავიგე. მხოლოდ ხელნაწერმა მიიქცია ჩემი ყურადღება. გაკრული ლამაზი ხელით იყო ნაწერი. მოგვიანებით მივხვდი, რა ეწერა. გამეცინა, თუმცა, ბუნებრივია, აქ სასაცილო არაფერი იყო. მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ გავიაზრე, რომ წერილი, ალბათ, ფელიქსს ეკუთვნოდა. წერილი ისევ წიგნში ჩავდე და დავხურე. სამზარეულოში გავედი და გავიფიქრე: რაღაცაშია საქმე. ამ სიტყვებს ასე იოლად არ წერენ. არც გული წამსვლია და არც მიტირია. სატირელი რა მქონდა.

ასე! – გავიფიქრე, – უკანასკნელად ვისადილებთ ერთად, უკანასკნელად მოვისმენ სიტყვებს – როგორ ხარ, ვინმეს ხომ არ დაურეკავს?

– ეს ყველაფერი უკანასკნელად... მაინც – რატომ? რა მოხდა? არაფერიც არ მომხდარა, თუმცა, მეტი რაღა უნდა მოხდეს? დარტყმა მივიღე, მაგრამ ჯერ კიდევ არ მინდა, გავიაზრო.

მაგიდასთან დავჯექი კარტოფილის გასაფცქვნელად და რაიმეს მოსაფიქრებლად. პირველი კარტოფილი გავფცქვენი, გაგულისებული ვფიქრობ: „მე რომ დამმართნოდა ეს ამბავი, კიდევ – ჰო, მეპატიებოდა, ფელიქსს კი არავითარ შემთხვევაში, მე იქნებ კიდეც მოვქცეულიყავი ასე, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემთვის გართობა იქნებოდა და მეტი არაფერი. ოღონდ არა ასე, უგუნურად და წუთიერი სიამოვნებისათვის. ზოგჯერ ხდება, უცნობ თვალებს წააწყდები და მაშინვე ხვდები, რომ უკვე შეყვარებული ხარ. კაცები კი – სხვაგვარნი არიან, მამაკაცებისათვის მხოლოდ ეს არ კმარა.“

ექვსი კარტოფილი გავფცქვენი და ამით დავამთავრე. აღარ მშიოდა. ერთ ცალს მაინც შევჭამ, ფელიქსმა რომ ვერ შეამჩნიოს. ცხადია, წერილის შესახებ არაფერს ვეტყვი. ეს არც ისე ადვილი სათქმელია, ჯერ ნამდვილად უნდა დავრწმუნდე, რომ მართალია, რასაც ამბობ. ასე რომ, საძინებლისაკენ გავემართე, რათა სარკის წინ ცოტა მოვწესრიგებულიყავი და ბედნიერი ახალგაზრდა ქალის როლი მეთამაშა.

„ყველაფერში გარკვევა მოუწევს“, გავიფიქრე მე „რომელი საპონი, რომელი კბილის პასტაა საჭირო, ლოგინი როგორ უნდა გაასწოროს. ძველი სათბურა სულ ძირში დევს, მაგრამ, ალბათ, აღარ დასჭირდება. არა, რა თქმა უნდა, არაფერი ენდომება ძველებურად. კიდევ ერთხელ დაიწყებს ყველაფერს თავიდან.“

აბაზანაში ვიჯექი და ასე ველაპარაკებოდი ჩემ თავს, თან სარკეში ვიყურებოდი. მთლად ახალგაზრდა აღარ ვარ, რამდენიმე ნაოჭი მაქვს – სიცილის, ფიქრის, საერთოდ, ცხოვრების ნაკვალევი. წლების ბრალიცაა. როგორ გადის დრო... ნაოჭები გზებს ჰგავს, ერთად გატარებულ გზებს. იმაზე კი არ მიფიქრია, რომ შესაძლებელია ის ქალი ჩემზე ახალგაზრდა ყოფილიყო. საერთოდ, არ მაფიქრებდა ვინ იყო. ეს ჩემთვის სულ ერთი იყო. პირი დავიბანე და შემდეგ საძინებლისაკენ გავემართე.

„ბინა მე უნდა დამიტოვოს,“ – გავიფიქრე: „ჩემს ლოგინში ხომ არ ჩააწვენს. თუ ბინა მე დამრჩა, გავაქირავებ. მაგალითად, წინა ოთახს. კუთხეში საწოლის დადგმა შეიძლება, ლამაზი გადასაფარებელიც მაქვს. ლამფა მწვანე აბაჟურით... არა, არ მოუხდება. ახალი აბაჟურის ყიდვაა საჭირო. შემიძლია კარადა დავდგა. შიგ გამოსაკრავად ახალი ქაღალდიც უნდა ვიყიდო. ლამაზი, გემებიანი; რამდენი ხანია მინდა იმის ყიდვა!“

ამ ფიქრებზე მე თვითონ გამეცინა. რა არ მოუვა ადამიანს აზრად, ასე არ არის?

ტელეფონმა დარეკა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ. ხდება,ზოგჯერ არასწორ ნომერს აკრეფენ და ყურმილს სწრაფადვე დაკიდებენ ხოლმე. უცბად, ცრემლები თვალებზე? არაფერია, ხომ ვერ მხედავს. მას მხოლოდ ჩემი ხმა ესმის, ხმა კი, ზედმიწევნით სათუთი და მხიარული მაქვს. „რას ამბობ? სადილად არ მოხვალ? რამე ხომ არ დაშავდება? – არა, რა თქმა უნდა, არაფერი. მიხარია კიდეც. რაღაც საქმე მაქვს კიდევ და მოგვიანებით გასვლაც მინდოდა. არა, განსაკუთრებული არაფერი მომიმზადებია. არც კი დამიწყია სადილის მომზადება. შენ ხომ კარგადა ხარ, საყვარელო? მე? – ძალიან კარგად. მშვენიერი დღეა. საღამომდე, კარგი!“.

დიახ, ასე მინდოდა მოვქცეულიყავი, ვითომც არაფერი მომხდარა და ბუნებრივად დავლაპარაკებოდი, როცა შინ მოვიდოდა.

ორის ნახევარი შესრულდა. აქამდე უნდა მოსულიყო. იშვიათად ბრუნდებოდა შინ გვიან და ყოველთვის ძალიან შიოდა. მან იცოდა, რომ დღეს რაღაც განსაკუთრებული მქონდა მომზადებული. იქნებ აღარც კი ახსოვდა. შეიძლება ასე იმიტომ იგვიანებს, რომ იმ ქალთან ერთად ზის სადმე. იქნებ, ახლა სწორედ საათს უყურებს და ამბობს: „ორის ნახევარი შესრულდა, ის მელოდება, მე სახლში უნდა წავიდე.“

„ის მელოდება“, – გავიფიქრე მე. „ის“ ვიყავი მე. მე არ უნდა მალოდინონ. მათ ეშინიათ ჩემი. მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი მესამე პირია და ეს მესამე პირი მე ვარ. მესამე პირი, ბოროტი პიროვნება, „ის“! ალბათ მეტყვის:

– „მაპატიე, მე შენ აღარ მიყვარხარ. მაპატიე და მომეცი თავისუფლება.

რა თქმა უნდა, გავათავისუფლებ, კი ბატონო, მიბრძანდი, გზა მშვიდობისა. უშენოდაც კარგად ვიცოცხლებ. არავინ არ მომკვდარა და არც მე არაფერი მომივა. არც შენი ბინა მინდა და არც შენი ფული მჭირდება. ვერ ვიმუშავებ, თუ რა?! ისედაც დიდი ხანია, მუშაობა მინდა, მაგრამ შენ იყავი წინააღმდეგი.

ეს მაშინ მომაგონდა, როცა ფანჯარასთან დავდექი და გავიხედე. თებერვლის მშვენიერი დღე იდგა, ნათელი და გამჭვირვალე. როგორ ვივიწყებთ ყოველწლიურად, რომ თებერვალში უკვე ასეთი ძალა შეიძლება ჰქონდეს მზის სხივს. ასეთ მზიან დღეებში ხალხი ჩალის ტიკინებს ყრის ჭაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ზამთარი გზას უნდა გაუდგეს და გაზაფხული დგება. ერთხელ ერთად დავესწარით ამ რიტუალს ფელიქსი და მე. რამდენი კარგი განცდა გვაკავშირებს ერთმანეთთან! ახლა კი, ალბათ, ამის გახსენებაც აღარ უნდა. ალბათ

ყველაფერმა დაკარგა აზრი, მისთვის ნაცრისფერი და მკვდარია წარსული. მომავალი ხომ არ არსებობს და წარსულიც წაიშალა – ესაა ყველაზე საშინელი. წარსულს მალე ჭაში მოვისვრით, ორჯერ მოვშორდი ფანჯარას, ნაცნობებმა ჩაიარეს, წარმოვიდგინე, როგორ ილაპარაკებდნენ: „უკვე გაიგეთ, საწყალი ქალბატონი?“

დგომა აღარ შემეძლო, სკამზე ჩამოვჯექი და რადიო ჩავრთე. შემდეგ კვლავ ტელეფონმა დარეკა, ზარი განმეორდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამჯერად ნამდვილად ფელიქსი იყო, არც მოვტყუვდი. გავიხსენე, რისი თქმაც მინდოდა, როგორც წინასწარ გავივარჯიშე. მთავარია, ხმამაღალი, რბილი ხმით. მაგრამ სრულიად სხვაგვარად გამომივიდა და კერძოდ ასე:

– „აა, შენ ხარ“.

– „რას იტყვი, სადილად არ მოხვალ?“ (შესაფერის ტონს ვერ მივაგენი, ასე არ უნდა მეთქვა).

– „რატომაც არა, მესმის, მესმის, თან, ამინდიც მშვენიერია“.

– „ამას შენ ვერც ამჩნევ? არა, რა თქმა უნდა, არა“.

– „მე ვარ უცნაური? მაინც, რითი ვარ უცნაური?“.

– „არა, არაფერი მომხდარა, არაფერი ისეთი, რაც შენთვის საინტერესო იქნებოდა“.

– „რატომ არა? მე ვფიქრობ, რომ ეს ჩემზე უკეთესად შენ იცი...

და ამის შემდეგ, ისევ ამ ტონით, თუმცა ასე ნამდვილად არ მინდოდა. მაგრამ მისი ბრალია, მან გამოათრია ჩვენგან ის ჩალის ტიკინა ასეთი დაბეჩავებული და საზიზღარი. მეც ამიტომ ველაპარაკე ასე, რათა ყურმილი დაკიდოს და ამით ყველაფერი დასრულდეს, დამთავრდეს ყველაფერი! მაგრამ მას ყურმილი არ დაუგდია... და მე დავდუმდი, მთლად დავმუნჯდი. „მისმენ?“ მკითხა მან დიდი სიყვარულლით და მთლად დაბნეულმა, შემდეგ ყურმილი დაკიდა, მეც ასევე მოვიქეცი და კარგა ხანს ტელეფონთან გაშეშებული ვიდექი. ჩემი თავიც მეზიზღებოდა და ფელიქსიც, ჩემი საქციელის გამო. მესამე პირი, ბოროტი სული, ჭაში ჩასაგდები ჩალის ტიკინა... ახლა კი შემეძლო წერილი ბოლომდე მშვიდად წამეკითხა. ახლა, მართლაც, ისეთი ვიყავი, როგორსაც ისინი ფიქრობენ. იქნებ ყოველთვისაც ასეთი ვიყავი, მთელი ჩემი ცხოვრება.

მაშ ასე, მისაღებ ოთახში გავედი და ხელახლა დავიწყე წერილის კითხვა. პირველი გვერდი უკვე ვიცოდი, ძალიან სწრაფად ჩავიკითხე, მეორე გვერდზე ცოტა რამ ეწერა და მესამე და მეოთხე გვერდზე კი არაფერი ისეთი, ბოლოს მინაწერი იყო: „კარგად იყავი, საყვარელო ფრანც, თავს გაუფრთხილდი. გკოცნი, მარია.“

კარგად იყავი, საყვარელო ფრანც, თავს გაუფრთხილდი – კარგად იყავი, საყვარელო ფრანც... ათჯერ გავიმეორე და სულელურად გავიცინე, რადგან წერილი ფელიქსისა არ იყო. წერილი ვინმე ბატონ ფრანც კოფს ეკუთვნოდა. ამ კაცის სახელი წიგნზეც ეწერა. ფელიქსს ამ ამბავთან შეხებაც არ ჰქონია. ეს კი ვუთხარი ჩემს თავს, მაგრამ მაინც ძნელი გასაგები იყო. წესით, უნდა გამხარებოდა, მეცინა და მემღერა, მაგრამ არა. იქვე ვიჯექი და ვგრძნობდი, თითქოს ღრმა ჭაში ჩავვარდი და ზემოთ ამოსასვლელ გზას ვადექი, მაგრამ, სასაცილოა, ვერ ამოვდიოდი. სინათლეც არ ჩანდა.

მთელი ნაშუადღევი ვცდილობდი, ბნელი ჭიდან ამოვსულიყავი. საღამოს პირზე ცოტა არა მიშავდა. როცა ფელიქსი მოვიდა, გავიცინე და ვუთხარი:

„მაპატიე, ცუდად გელაპარაკე ტელეფონზე. თავი მტკიოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, უკვე გამიარა“.

„ჰო, ალბათ, გაგიარა, – თქვა ფელიქსმა, – რადგან მხნედ გამოიყურები“. შემდეგ კი უცბად მკითხა: „რა გაქვს აქ? – და რაღაც გამომაძრო თმებიდან, გრძელი, ღია ფერის ჩალის ღერო იყო. ნეტავ საიდან გაჩნდა აქ?

გერმანულიდან თარგმნა ნინო ნათენაძემ

მხატვარი - ლელა ფერაძე

მოჩვენებები

რაო? მოჩვენებები მინახავს, თუ არა? — ო, დიახ, რასაკვირველია! — დღემდე არ მავიწყდება და მსურს თქვენც გიამბოთ. მაგრამ დავამთავრებ თუ არა თხრობას, აღარაფერი მკითხოთ და არც რაიმეს განმარტება მომთხოვოთ. მე მხოლოდ ის ვიცი, რასაც მოგახსენებთ, არც ერთი ზედმეტი სიტყვა.

ის, რასაც დღემდე ვერ ვივიწყებ, თეატრში დაიწყო, კერძოდ, ლონდონის "Old Vic Theater"-ში. შექსპირის „რიჩარდ II" იდგმებოდა. ლონდონი ჯერ არ მენახა, ჩემი მეუღლეც პირველად იყო აქ და ქალაქმა დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ ხომ ერთ ავსტრიულ სოფელში ვცხოვრობდით და, რა თქმა უნდა, ვიცნობდით ვენას, მიუნხენსა და რომსაც. მაგრამ მსოფლიო ქალაქი რა იყო, წარმოდგენა არ გვქონდა. ახლაც მახსოვს, რომ თეატრის გზაზე მიმავალთ უცნაური სიხარულის გრძნობა დაგვეუფლა, მოგვიანებით კი ბავშვებივით ვუცდიდით ფარდის აწევას.

ბოლოს და ბოლოს, ფარდა გაიხსნა და სპექტაკლი დაიწყო. ყურადღებით ვუცქერდი ყველაფერს, რაც სცენაზე ხდებოდა, ანტონი კი როგორც ჩანდა, მთელი არსებით ვერ მიიზიდა სპექტაკლმა. მისი ყურადღება, თითქოს უეცრად, სხვა რამემ მიიპყრო. მისკენ თვალი რომ გავაპარე, შევამჩნიე, სცენას არც კი უყურებდა და, ალბათ, არც ის ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ. იგი თვალს არ აცილებდა ქალს, რომელიც წინა რიგში იჯდა, ოდნავ მარჯვნივ. ხანდახან ქალიც მალულად გადმოხედავდა ჩემ მეუღლეს და მაშინ მის ნაღვლიან სახეს რაღაც ღიმილის მაგვარი გადაურბენდა ხოლმე.

ანტონი და მე უკვე ექვსი წლის შეუღლებულები ვიყავით მაშინ და ვიცოდი, რომ უყვარდა ლამაზ ქალებსა და გოგონებზე თვალის შევლება. ამიტომ, ვითომ ვერ ვამჩნევდი ქალს, ყურადღება არ მიმიქცევია. მაშინაც კი, როდესაც ანტონი მკლავზე მსუბუქად შემეხო და თვალებით ლამაზმანისკენ მიმანიშნა, მხოლოდ თავაზიანად გავიღიმე და კვლავ სცენას შევხედე. შესვენებაზე კი, სხვა გზა არ იყო, მასთან შეხვედრას ვერ გავექცეოდი.

ანტონი, მართლაც რომ, მთელი სისწრაფით გაემართა გასასვლელისაკენ და მეც თან წამიყვანა. მივხვდი, რომ ის იქ უცნობის გამოსვლას ელოდა. აღმოჩნდა, რომ გოგონა მარტო არ იყო, თან ახალგაზრდა კაცი ახლდა. მასაც ისეთივე სათუთი, ნათელი სახის ფერი და წითური თმა ჰქონდა, როგორც თვითონ ქალს და დაღლილიც სჩანდა.

არც ისე ლამაზია, – გავიფიქრე, – არც განსაკუთრებულად ჩაცმული, ქვედაბოლო და სვიტერი – როგორც ქალაქგარეთ გასეირნებისას აცვიათ ხოლმე.

ფოიეში სეირნობა დავაპირე და თან საუბარი სპექტაკლზე წამოვიწყე, თუმცა მალევე მივხვდი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. ანტონი გარეთ არ გამომყვა და არც მისმენდა. ის დაჟინებით უყურებდა ახალგაზრდა წყვილს, რომლებიც ის – ის იყო ადგნენ და ჩემკენ გამოემართნენ. უცნაურად მოდიოდნენ, როგორც სიზმარში.

ანტონი მას ვერ გამოელეპარაკება, – ვფიქრობდი მე, – ეს ყველგან მიუღებელია, მითუმეტეს აქ. და აი, გოგონამ სულ ახლოს ჩაგვიარა და არც კი შემოუხედავს ჩვენთვის.

უეცრად პროგრამა ხელიდან გაუვარდა. ფურცელს ანტონი დაწვდა, მაგრამ მიწოდების ნაცვლად, გოგონას ერთხელ გადახედვის ნება სთხოვა. მან კარგად შეათვალიერა უცნობი ქალი და თავისი ცუდი ინგლისურით რაღაც უაზრობა უთხრა სპეკტაკლისა და მსახიობების შესახებ. ბოლოს გაეცნო მას, მეც წარმადგინა და ხელი გაუწოდა. გოგონამ ხელს არც კი შეხედა, არც სახელი გაგვიმხილა, მხოლოდ თქვა: „ჩვენ და-ძმა ვართ“. მას ნაზი და ტკბილი ხმა ჰქონდა, რის გამოც რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა.

ანტონი ამ სიტყვებზე პატარა ბიჭივით წამოწითლდა. ჩვენ ფოიეში გავდი-გამოვდიოდით და სულელურ რამეებზე ვსაუბროდბით, უცნობი გოგონა რამდენჯერმე შეჩერდა და ანტონს უღიმოდა.

სპეკტაკლი კვლავ განახლდა და ჩვენც ჩვენს ადგილს დავუბრუნდით. მე ისევ გატაცებით ვუსმენდი და ვუცქერდი სცენას; ასე რომ, მალე დამავიწყდა ინგლისელი და-ძმა. ანტონს კი ისინი არ დავიწყებია. თუმცა, ისე ხშირად აღარ უცქეროდა მათ, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ერთი სული ჰქონდა სპექტაკლის დამთავრებამდე.

და როდესაც ფარდა დაეშვა, ანტონს დიდხანს აღარ უცდია, და-ძმისკენ გზა გაიკვლია და გამოელაპარაკა, შემდეგ მან ძლივს გაარღვია მშვიდად მომლოდინე ხალხის რიგი და მალე ჩვენი ქუდებითა და პალტოებით დაბრუნდა. მაინცდამაინც, არ მომეწონა ეს თავაზიანობა, რადგან, დარწმუნებული ვიყავი ჩვენი ახალი მეგობრები ბოლოს გულგრილად დაგვშორდებოდნენ.

მაგრამ ყველაფერი სხგვარად მოხდა, გარეთ გასულთ ძლიერი წვიმა დაგვხვდა, არც მანქანა გვქონდა. ძლივს ჩავიჭედეთ ერთადერთ მანქანაში, რომელიც ანტონმა, ბოლოს და ბოლოს, იშოვა. ამან ყველა გაგვამხიარულა.

„საით?” - იკითხა ანტონმა. გოგონამ კი თავისი სათნო, ტკბილი ხმით უპასუხა: „ჩვენთან“. მან მძღოლს ქუჩისა და ბინის ნომერი დაუსახელა და ჩვენც ფინჯან ჩაიზე დაგვპატჟა. „ვივიანი მქვია, - თქვა მან, ჩემ ძმას კი – ლაური. გთხოვთ, სახელით მოგვმართოთ“. მე გვერდიდან შევათვალიერე გოგონა და ბევრად უფრო სიცოცხლის-უნარიანი მომეჩვენა.

სახლთან მისვლისას ანტონმა მძღოლს გასამრჯელო გადაუხადა, მე კი სახლებს ვათვალიერებდი, თითქმის ერთნაირი სახლები ერთ რიგზე ჩაემწკრივებინათ, წინ ვიწრო, პატარა ბაღებით, სადაც ერთი და იგივე მცენარეები ხარობდა.

„ალბათ ძნელია აქ სახლის ხელმეორედ მიგნება” – გავიფიქრე უნებლიედ.

გამიხარდა კიდეც ჩვენი წყვილის ბაღში რაღაც განსაკუთრებული რომ შევნიშნე, ეს იყო ქვის კატის სკულპტურა.

ამასობაში ლაურიმ შესასვლელი კარი გააღო და დასთან ერთად კიბეზე წინ გაგვიძღვა. ანტონმა ჩაიჩურჩულა: „მე მათ ვიცნობ, რასაკვირველია, ვიცნობ, მაგრამ არ ვიცი, საიდან“. მაღლა ავედით თუ არა, ვივიანი ჩაის მოსადუღებლად გაქრა, ანტონმა კი მის ძმას ჰკითხა, უმოგზაურიათ, თუ არა ამ ბოლო დროს და სად. ლაურიმ აუჩქარებლად უპასუხა, რომ ვერ იხსენებდა და საცოდავი გამო-მეტყველება მიიღო.

„მთლად კარგად ვერ აზროვნებს” – გავიფიქრე მე. რაღაც უც-ნაური სახლი იყო, ისეთი წყნარი და ბნელი, ავეჯიც მტვრიანი, თითქოს დიდხანს არავის უცხოვრიაო, შუქიც არ იყო, ამიტომ სანთ-ლების ანთება მოგვიხდა, ეს უკანასკნელი მათ უხვად ჰქონდათ. სან-თლები სითბოს და სიმყუდროვეს გამოსცემდნენ და ირგვლივ სილა-მაზე სუფევდა.

ამ დროს ვივიანიც მოვიდა ლამაზი, ცისფერნაყშიანი, ნატიფი ფინჯნებით. მაგარი ჩაი იყო, უშაქრო და ურძეო.

„რაზე საუბრობთ?” – იკითხა ვივიანმა და ანტონს შეხედა. ჩემმა მეუღლემ კითხვა გაუმეორა.

„ოჰ, დიახ, - უპასუხა ვივიანმა სწრაფად, ავსტრიაში ვიყავით, იქ...“ მაგრამ სახელი მაინც ვერ მოიგონა და მრგვალ მაგიდას უყოყმანოდ შეხედა. ამ დროს ანტონმა მამის ნაჩუქარი პორტსიგარა ამოიღო, ბრტყელი, ოქროს პორტსიგარი, გახსნა, თითო ყველას მოგვაწოდა, დახურა და იქვე მაგიდაზე დადო. ეს მე მეორე დღეს ზუსტად აღვიდგინე, როდესაც მან პორტსიგარი ველარ იპოვა.

უცებ ვივიანი წამოდგა და რადიო ჩართო. „მოდი ვიცეკვოთ," – თქვა მან და ჩემ მეუღლეს შეხედა. ანტონიც ადგა და ხელი მოხვია ვივიანს, მის ძმას არც უცდია ჩემთან ცეკვა; ასე რომ, ჩვენ მაგიდასთან დავრჩით და ვუსმენდით მუსიკას, თან ფართოჭ ოთახში მოცეკვავე წყვილს შევცქეროდით.

ჩემი მეუღლის მკლავები ვივიანის პატარა ხელების საკუთრებად ქცეულიყო. მისი ბაგეების მოძრაობა კი თხოვნას ჰგავდა, საშველად მოხმობილს. ხოლო ანტონი, მაშინ ის ჯერ კიდევ ძალ-ღონით სავსე ჭაბუკი იყო, ვერაფერს ამჩნევდა. ის მშვიდად და სიყვარულით დასცქეროდა მას, ხანდახან კი, მეც ასეთივე სითბოთი გადმომხედავდა ხოლმე, თითქოს წინასწარ მაფრთხილებდა: „ნუ იდარდებ, ეს ყველაფერი ჩაივლის." მუსიკა არ წყდებოდა. ცეკვას დასასრული არ უჩანდა. ვივიანი მსუბუქად და ნაზად ცეკვავდა და მაინც, ბოლოს ანტონს მთელი ძალების დაძაბვა მოუხდა. სახე დაენამა და მისი მძიმე სუნთქვა ჩვენამდე აღწევდა. ლაური, რომელიც დაღლილი იჯდა ჩემს გვერდით, მუსიკას აჰყვა და თითებით, ჩაის კოვზით და პორტსიგარით მაგიდაზე დაკვრა დაიწყო. ამით მუსიკა აუტანელი გახდა და მეც სიმშვიდე დავკარგე.

„ჩვენ მათ დაგვატყვევეს, – ვფიქრობდი მე, – მათ ჩვენი ფული სურთ". მაგრამ წამსვე ეს აზრი სისულელედ მომეჩვენა. – „რა სისულელეა? ვინა ვართ ჩვენ, ვიღაც უმნიშვნელო უცხოელები, თეატრის მაყურებლები, რომელთაც არაფერი გააჩნიათ ცოტაოდენი ფულის გარდა, ისიც – საჭმლისთვის".

უცნაური აზრები ისევ არ მასვენებდა. რაღაც საოცარი დაღლილობა ვიგრძენი. ჩაი რაღაც უჩვეულოდ მაგარი არ იყო? ვივიანმა ფინჯნები სავსე შემოიტანა? უცებ გონს მოვეგე. „შინ, სასტუმროში", – გავიფიქრე და ჩემს ქმარს გავხედე, ის კი ჩემკენ არ იხედებოდა, თვალები დაეხუჭა.

„სად არის ტელეფონი? – ვიკითხე საკმაოდ უხეშად. – მანქანა უნდა გამოვიძახო". ლაურიმ სასწრაფოდ უკან გადასწია ხელი, იქ იდგა აპარატი. სამწუხაროდ, ყურმილი დუმდა. ანტონი უცებ გამოერკვა, გაჩერდა, ვივიანისაგან გათავისუფლდა, „უკვე გვიანაა, - თქვა მან, ვფიქრობ, ჩვენი წასვლის დროა". და-ძმას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო. მხოლოდ ორიოდე თავაზიანი და მეგობრული სიტყვა ითქვა, გმადლობთ სასიამოვნო საღამოსთვის, და ასე შემდეგ... და ლაურიმ კარებამდე გაგვაცილა. ვივიანი ზემოთ იდგა.

ანტონის სურვილით მოკლე მანძილი ფეხით გავიარეთ. თავიდან წყნარად მოაბიჯებდა და დაღლილობისაგან მოშიებული ჩანდა, უცებ

კი, გაცხოველებით დაიწყო ლაპარაკი. მას ორივე ჰყავდა უკვე ნანახი და, თანაც ამ მოკლე ხანში, ალბათ, კიტცბიუჰელში და ეს უცხოელისთვის ნამდვილად ძნელად სათქმელი სახელია, სრულიად ბუნებრივია, ვივიანს ეს აღარ ემახსოვრებოდა. ახლა კი, მან ყველაფერი გარკვევით აღიდგინა: გზა მთებში და მზერა მანქანიდან მანქანაზე, ერთში ის – მარტო, წითელ სპორტულში კი – და-ძმა. მანქანას გოგონა მართავდა. რამდენიმე წუთი ნელი სვლით გვერდიგვერდ მიდიოდნენ, შემდეგ კი, ჩაუქროლეს და წინ საშინელი სისწრაფით გავარდნენ.

ლამაზია და რაღაც განსაკუთრებული, არა? - მკითხა ანტონმა. ლამაზი კი, განსაკუთრებულიც, მაგრამ რაღაც უცნაურია, - ვუთხარი მე და დავიწყე ლაპარაკი ცუდ სუნზე, ჭუჭყზე და მკვდარ ტელეფონზე, რომელიც ბინაში იყო. ანტონს არც არაფერი შეუნიშნავს და არც ახლა სურდა გაეგო. ორივე დაღლილი ვიყავით და საუბარი აღარ გავიგრძელებია. უსიტყვოდ მივედით სასტუმროში და დავიძინეთ.

მეორე დღეს, დილით, საუზმის შემდეგ, სურათების გალერეაში ვაპირებდით წასვლას და საუზმისას ვლაპარაკობდით, რომელი სურათების ნახვა გვსურდა. ანტონმა პორტსიგარი ვეღარ იპოვნა. ვუთხარი, რომ ბოლოს ინგლისელი და-ძმის მაგიდაზე დავინახე. გადავწყვიტეთ გალერეაში წასვლის წინ შეგვევლო ჩვენს გუშინდელ მასპინძლებთან. ქალაქის რუკაზე მოვძებნეთ ქუჩა და ავტობუსით გავემგზავრეთ.

ანტონი მშვენიერ ხასიათზე იყო, მეც. წუხანდელმა მღელვარებამ გადამიარა და ჩვენი ახალი ნაცნობების დღის სინათლეზე ხილვა მინდოდა. იოლად ვიპოვნეთ ქუჩაც და სახლიც, ის კი უცნაურად გვეჩვენა, რომ ყველა დარაბა დახურული იყო – ალბათ ისევ ეძინათ.

ჩემს მორიდებულ ზარზე თავიდან არავინ გამოგვეხმაურა. ბოლოს კი, ხმამაღლა და დიდხანს ვრეკავდით. კარზე სპეციალური სახელურიც იყო დასაკაკუნებლად, მაგრამ სახლიდან ჩქამიც არ ისმოდა. სახლს მოვშორდით. ანტონი კვლავ გაჩერდა. „პორტსიგარს არ დავეძებ, – თქვა მან, – ახალგაზრდებს ხომ არაფერი შეემთხვათ.“ ნამდვილად აღარ ჰქონდა განწყობა გალერეაში მშვიდად დაეთვალიერებინა სურათები.

ჩვენ კვლავ დავბრუნდით №79 სახლში. ის ისეთივე გარინდებულად და მკვდრად გამოიყურებოდა, როგორც ადრე.

„მეზობლები, – ვთქვი მე – მეზობლებს უნდა ვკითხოთ“.

სწორედ ამ დროს გაიღო ფანჯარა და ჩასუქებული ქალი გამოჩნდა.

დავუძახეთ და ვეცადეთ აგვეხსნა, რაც ჩვენ გვსურდა. გვარი არ ვიცოდით, მხოლოდ ვივიანი და ლაური, მაგრამ ქალი მაშინვე მიხვდა, ვის ვგულისხმობდით. ქალმა, შეშინებულმა შემოგვხედა. „ჩვენ ამ სახლში გუშინ ვიყავით, – უთხრა ანტონმა, – რაღაც დაგვავიწყდა და ახლა გვსურს წაღება“.

„შეუძლებელია, – თქვა ქალმა მჭახე ხმით, – სახლი ცარიელია, გასაღები მხოლოდ მე მაქვს“.

„რამდენი ხანია?“ – შევეკითხე სწრაფად, თან დარწმუნებული ვიყავი, რომ სახლის ნომერი შეგვეშალა, მაგრამ ბაღში, ქვის კატა ეფიცხებოდა მზის სხივებს.

„სამი თვეა, – დამაჯერებლად თქვა ქალმა, – მას შემდეგ, რაც ახალგაზრდები დაიღუპნენ“.

„დაიღუპნენ? – გაკვირვებით ვიკითხეთ, – მაგრამ გუშინ ხომ ერთად ვიყავით თეატრში, მათთან ჩაი დავლიეთ, მუსიკას მოვუსმინეთ და ვიცეკვეთ“.

„ერთი წუთით, – თქვა ქალმა და ფანჯარა მიხურა. ქუჩაში გამოვიდა, ხელში გასაღების ასხმა ეჭირა“ – სრულ ჭკუაზე ვარ. ვიცი, რასაც ვამბობ, ახალგაზრდები დაიღუპნენ. უცხოეთში სამოგზაუროდ იყვნენ მანქანით და სწრაფი სიჩქარის გამო მთაზე გადაიჩეხნენ“.

„კიტცბიუჰელში?“ — იკითხა ანტონმა გაკვირვებით.

„შეიძლება მანდ, შეიძლება სხვაგან. ამ უცნაურ უცხოურ სახელებს ხომ კაცი ვერაფერს გაუგებს“. წინ გაგვიძღვა, კიბეებზე ავიდა და კარი გააღო. უნდოდა, დავერწმუნებინეთ, რომ მართალს ამბობდა და სახლი ცარიელი იყო, ქალს შევყევით. მძიმე სუნი იდგა, კიბეზე ჩემ მეუღლეს ხელი ჩავჭიდე და ვუთხარი: ან სხვა ქუჩა იყო, ან კიდევ დაგვესიზმრა. ერთ ღამეს შეიძლება ორმა ადამიანმა ერთი და იგივე სიზმარი ნახოს, ასეც ხდება ხოლმე.

„ჰო, – თქვა ანტონმა, მართალი ხარ. რა გვესაქმება აქ?“ და მან ჯიბეში ფული მოიჩხრიკა, რათა ქალისათვის გადაეხადა შეწუხების საფასური, მაგრამ ის უკვე მაღლა ოთახში ასულიყო. იძულებული გავხდით გავყოლოდით და ოთახშიც შევყევით, თუმცა აღარავითარი სურილი აღარ გვქონდა. თითქმის დარწმუნებული ვიყავით – ან რაღაც ძალიან აგვერია, ან ყოველივე ეს სიზმარი იყო.

„შემოდით“, – გვითხრა ქალმა და დაიწყო ერთ-ერთი დარაბის გაღება, მთლიანად არა, მხოლოდ ოდნავ შეაღო, მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ყველა ავეჯი შეგვეცნო, განსაკუთრებით, მრგვალი მაგიდა, რომელზეც ერთადერთი ნივთი იდო, ბრტყელი, ოქროს პორტსიგარი.

გერმანულიდან თარგმნა ლია წაქაძემ

მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

ირინა ჯიშკარიანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დაამთავრა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ამავე ინსტიტუტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებლად. 2009 წლიდან მუშაობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ევგენი ევტუშენკო

ეძღვნება ევგენი ევტუშენკოს ხსოვნას



2017 წლის 1 აპრილს 85 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი რუსი პოეტი, პროზაიკოსი, რეჟისორი და მსახიობი ევგენი ევტუშენკო. გარდაიცვალა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ცხოვრობდა ბოლო 25 წლის განმავლობაში. ე.წ. „სამოციანელ“ პოეტთა შორის ევგენი ევტუშენკო ბელა ახმადულინასთან და ანდრეი ვოზნესენსკისთან ერთად ქართულ-რუსულ კულტურათა დიალოგის აქტიური მონაწილე გახლდათ.

ევტუშენკო იხსენებდა: „თბილისში 100-ზე მეტჯერ ვარ ნამყოფი. ასეთი დამოკიდებულება მსოფლიოში არც ერთ ქალაქთან არ მაქვს. მიყვარს ქართველი ხალხის კულტურა, მრავალხმიანობა, ხალხური ფოლკლორი, უდიდესი მსახიობები ნატო ვაჩნაძე და სოფიკო ჭიაურელი, რუსთაველის პოეზია და ოთარ ჭილაძე, ქართველი ათოსი ჭაბუა ამირეჯიბი, მარადისობიდან მომღიმარი ნოდარ დუმბაძე, ფიროსმანის, გუდიაშვილის, კაკაბაძის

მხატვრობა, ყანჩელის მუსიკა, ჭაბუკიანის ფრენა, რობერტ სტურუას თეატრი, ფასდაუდებელი მამარდაშვილი, თენგიზ აბულაძის კინო და პაიჭაძის, ჯეჯელავას, მესხის, ყიფიანის ფეხბურთი. მიყვარს ხაში, კუჭმაჭი, ფხალი, ჯონჯოლი, რომელსაც მუდმივად მინაწილებდა ბულატ ოკუჯავა. თავადაც მშვენივრად ვამზადებ აჯაფსანდალს. მენატრება ნამდვილი ალადასტური, რომელსაც ქართული მიწის სუნი დაჰყვება...“

ქართული თემა ევგენი ევტუშენკოს შემოქმედებაში გაჩნდა მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში. პირველად სრულიად ახალგაზრდა ჩამოსულა საქართველოში, შემდეგ თავის პირველ მეუღლესთან, ბელა ახმადულინასთან ერთად. გარდა ამისა, ევტუშენკო მოკლე დროით შეკრებაზე იმყოფებოდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, როგორც რიგითი ჯარისკაცი.

საქართველო რუსი პოეტისთვის გახდა მისი პოეზიის მუზა, სამოთხის კუთხე. იდეალიზაციის, რომანტიზაციის მოტივი იგრძნობა ევტუშენკოს ყველა ლექსში, რომელიც მან მიუძღვნა საქართველოს. საკმარისია გავიხსენოთ მისი ლექსები: „ქაშვეთში“, „ქართულ სოფელში“, „ქართველ ქალს“, „თბილისი მენატრება“, „მაწონი“, „ხერგიანის თოკი“, „სვანები“, „ქართული სადღეგრძელო“, „ქართული ღვინო“, „ყიფიანის საუკეთესო გოლი“, „ქართველთა მიწა“ და სხვ. საქართველოში პოეტი თავს თავისუფლად გრძნობს, აქ იგი მეგობრების გარემოცვაშია, „თავისუფალია ბორკილებისა და ცილისწამებისგან“. „როდესაც ჩვენ, სამოციანელ პოეტებს, გვანადგურებდნენ და ფეხქვეშ გვთელავდნენ, ჩვენ ყოველთვის დიდი სიყვარულით და სითბოთი გვიღებდნენ საქართველოში“[1]

რა პატარა ხარ, მიწავ ქართულო! -
არ გაქვს ათასი სიდიდის ველი...
არწივებით და ხალხით განთქმულო,
შენ უსაშველოდ ხარ მიმზიდველი.

თუნდ სიყალბეში მძლევდეს ვერავინ,
ან პატივაყრილს მცნობდნენ პატივით,
ჯაგლაგს ვგავდე ან მგავდეს მერანი,
მაინც მიზიდავ ანდამატივით.

---

[1] გაზ. „Свободная Грузия“, №198-199 (22847) 18 ივლისი2003. გვ.2.

მიწავ ქართულო, იმ სტიქიონით,
შენს წიაღ რომ ჩქეფს უცხო ძალებით,
სარკმელთან მდგარი გალაკტიონიც
შენ მიიზიდე გარდაცვალებით.*

მას უყვარდა საქართველოს მიწა. საქართველო, კავკასია მისთვის ის ადგილი იყო, სადაც არ გრძნობდა სიყალბეს.

არაერთი ლექსი მიუძღვნა ევტუშენკომ თბილისს. მისთვის თბილისი იდეალური, მშვენიერი, ამაღლებული და ამავე დროს შინაური და თბილია:

ვინც თბილისიდან წასვლის გზას ეძებს
იცის, რომ ამას ვერასდროს შეძლებს,
თბილისი შენგან არ მიდის არსად,
თუნდ გაცილებდეს სტუმართა მსგავსად.
თუ უცებ ხსოვნა გეტყვის არღარას,
გულს ქაშუეთის ლანდი დაღარავს,
უკვდავი ირმის ნახტომის დარად,
მწამს, რომ თბილისიც იქნება მარად.*
(„ჩემი თბილისი“)

თბილისი ევტუშენკოსთვის, პირველ რიგში, „ქალაქია, სადაც, საბედნიეროდ, დროთა კავშირი არ გაწყვეტილა“, სადაც ადამიანები პატივს სცემენ თავის ისტორიას, აფასებენ წარსულს და ადათ-წესებს. მის ლექსებში სუნთქავენ, ცოცხლობენ თბილისის ქვაფენილის თბილი ქვები, ქუჩის შადრევნები, ხილით სავსე დახლები. ევტუშენკოს სწამს, რომ თბილისი უკვდავი, მარადიული ქალაქია, რომელმაც გაუძლო მტრის შემოსევას, მეგობრებს კი, ყოველთვის ხვდება თბილი ღიმილით, აოცებს თავისი სიკეთით და ადამიანურობით“[2]

ევტუშენკოსთვის ძვირფასი იყო არა მხოლოდ ქართული კულტურა, ტრადიციები, ლამაზი ბუნება, არამედ ადამიანებიც, ვინც ქმნიდნენ მშვენიერსა და მარადიულს, უფრთხილდებოდნენ ტრადიციებს. მისი ლექსების გმირები იყვნენ ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი დავით ყიფიანი, ქუთაისელი ფარმაცევტი მიტროფანე ლაღიძე, პოპულარული ქართული გამაგრილებელი სასმელის ავტორი, მხატვრები – ლადო გუდიაშვილი და ნიკო ფიროსმანი, მეყვავილე და

---

[2] Джинчарадзе Д. К вопросу литературного взаимообогащения (Грузия в русской поэзии XX века) (20-е - 60-е годы). Автореферат доктора филологических наук, 1993. Тб.http://cheloveknauka.com

* თარგმანი ალ. ელარდაშვილის.

ნიჭიერი ბოტანიკოსი მიხეილ მამულაშვილი, რომელიც ფლობდა „თაიგულების ხელოვნებას“, მთებში დაღუპული ალპინისტი მიხეილ ხერგიანი და სხვ.

ევგენი ევტუშენკოს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა ქართველ პოეტებთან და მწერლებთან, კულტურის სხვა მოღვაწეებთან - თამაზ და ოთარ ჭილაძესთან, სიმონ ჩიქოვანთან, გიორგი ლეონიძესთან, ვასო გოძიაშვილთან, ლადო გუდიაშვილთან, ჭაბუა ამირეჯიბთან და სხვებთან.

ერთ-ერთ ინტერვიუში ევტუშენკო იხსენებდა გიორგი ლეონიძესთან სახლში სტუმრობას:

„მან დამპატიჟა თავის მესამოცე დაბადების დღეზე. სუფრა გაშლილი იყო მისი საკუთარი სახლის ეზოში. საქართველოს სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი დაინიშნა თამადად, მე მის მოადგილედ. დაახლოებით ასი ადამიანი შეიკრიბა ღია ცის ქვეშ გოგლას სახლის ეზოში...

პირველი, რაც გააკეთა ლეონიძემ, გამოთქვა სურვილი, რომ ყველას ჩემ საპატივცემულოდ ელაპარაკა რუსულად, მიუხედავად იმისა, რომ მე ვიყავი ერთადერთი არაქართველი ... ვასო, რომელმაც უკვე არაერთი ყანწი გამოსცალა, გამთენიისას ავიდა სკამზე და წარმოთქვა შემდეგი სადღეგრძელო: „მე ვსვამ ამ მშობლიური მიწის სადღეგრძელოს, რომელმაც გვაჩუქა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და ჩვენი ძვირფასი გოგლა...! ალავერდს შენთან ვარ, ძვირფასო ევგენი!“ ვასომ გამოსცალა მორიგი ყანწი და მოელვარე თვალებით შემომხედა - როგორ დაიძვრენ, ჟენია, თავსო. მეც ავედი სკამზე ისე, რომ არ დამეკარგა სახე და ვთქვი: „მე სიამოვნებით ვუერთდები თქვენს სადღეგრძელოს, ძვირფასო ვასო და მინდა მხოლოდ დავამატო მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის და ტიციან ტაბიძის სახელები,... რომლებიც სტალინის რეჟიმმა იმსხვერპლა! გთხოვთ, პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას ადგომით!“ ყველა, რა თქმა უნდა, ადგა და ისე შესვა სადღეგრძელო“.

თავის ქართველ მეგობრებს ევტუშენკომ მიუძღვნა ემოციური ლექსი „თბილისი მენატრება“, რომელიც მეგობრობის ერთგვარ ჰიმნს წარმოადგენს:

Я тоскую по Тбилиси,
по домам, чей срок на слом,
по лихому острословью,
ну, хотя бы за столом,
по Отару, по Тамазу,

по «Давлиот!», «Аллаверды!»,
по горбатому томату
на лице у тамады,
по Симону и по Гогле,
будь земля для них легка!

ლექსი „გუდიაშვილის ვარსკვლავი“ მან გამოჩენილ ქართველ მხატვარს მიუძღვნა. ევტუშენკო იხსენებდა: „მე დიდი მხატვრის ლადო გუდიაშვილის მეგობარი ვიყავი. როდესაც ლადო გავიცანი, ჯერ კიდევ 1955 წელს, იგი მთავრობას ათვალწუნებული ჰყავდა. მას შემდეგ, რაც მე ვეწვიე ქაშუეთის ეკლესიას, მე მას ლექსი მივუძღვენი. ლექსი რომ დამებეჭდა, პატარა ოინს მივმართე. მე ვაცნობე „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციას, რომ ლადო გუდიაშვილი შუა საუკუნეების მხატვარია, რომელმაც მოხატა ქაშუეთის ეკლესია, რომ მისი მოხატულობა არ მოეწონა სამღვდელოებას და ამიტომ არ იყო დასრულებული. როდესაც ეს დაიბეჭდა „კომსომოლსკაია პრავდაში“, მთელი საქართველოს იცინოდა, მაგრამ ბედნიერი იყო. ამ ლექსის შემდეგ გუდიაშვილის ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა. უკან დასახევი გზა აღარ იყო, და დაიწყეს მისი ნამუშევრების გამოფენების მოწყობა“.[3]

ევგენი ევტუშენკოს შემოქმედების მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსების თარგმანები. ამის შესახებ მან დაწერა ბევრი კრიტიკული სტატია და ნარკვევი. ევგენი ევტუშენკოს მთარგმნელობითი საქმიანობის აქტიური პერიოდი მოდის 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისზე. 1958 წელს, გამოქვეყნდა მუხრან მაჭავარიანის ლექსების ორი კრებული, რომელიც რუსულ ენაზე თარგმნა ევგენი ევტუშენკომ, ხოლო 1959 წელს, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“ გამოვიდა კრებული „მშვილდი და ლირა. ლექსები საქართველოზე. ქართველ პოეტთა ლექსების თარგმანი“.

1979 წელს თბილისში, გამომცემლობა „მერანში“ გამოვიდა ევგენი ევტუშენკოს ლექსების კრებული «Тяжелее земли», რომელშიც შევიდა პოეტის ლექსები, რომელიც მან მიუძღვნა საქართველოს. ამ კრებულში ასევე შევიდა ქართველ პოეტთა ლექსების თარგმანი, მათ შორის შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთელის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეების, რ.

[3] გაზეთი «Свободная Грузия», 2003, №198-199 (22847) 18 ივლისი 2003, გვ.2)

ამაშუკელის, ა. აბშილავას, ხუტა ბერულავას, ანა კალანდაძის – სულ, დაახლოებით, 60 ქართველი პოეტის.

2003 წელს 70 წლის იუბილე ევგენი ევტუშენკომ, რომელიც ქართველებს სტუმართმოყვარეობაში მსოფლიო ჩემპიონს უწოდებს, თბილისში აღნიშნა. უნდა აღინიშნოს, რომ ევტუშენკო ერთადერთი რუსი პოეტია, რომელმაც გამოთქვა სურვილი აღენიშნა თავისი 70 წლის იუბილე საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც უყვარდა და რომელსაც უმღეროდა თავის ლექსებში:

რუსად რომ არ დავბადებულიყავი,
ვისურვებდი, ქართველი ვყოფილიყავი.

სწორედ საქართველოში მიიღო ევტუშენკომ თავისი პირველი, გალაქტიონ ტაბიძის სახელობის პრემია (1981) რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობების განვითარებისა და ქართული პოეზიის პოპულარიზაციისათვის.

ევგენი ევტუშენკოს უკანასკნელი სურვილი იყო, დაეკრძალათ პერედელკინოში მისთვის საყვარელი ცნობილი რუსი პოეტისა და მწერლის, ბორის პასტერნაკის გვერდით, რომელსაც ასევე ძალიან უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი.

ჩვენ მის მშობლიურ ენაზე ვემშვიდობებით ამ ბუმბერაზ ხელოვანს: «Пусть земля тебе будет пухом!»

ზაზა მელიქიძე

კითხვები მუნიციპალიტეტის გამგებელს

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა მელიქიძე 1966 წლის 6 მაისს დაბა ასპინძაში დაიბადა. 1984-1991 წლებში დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საბუღალტრო-ეკონომიკური საქმის სპეციალობა. 1986-1988 წლებში მოიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1988-1991 წლებში იყო ახალციხის ადგილმრეწველობის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების მომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსი, 1992-1996 წლებში – სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „ვარძიის“ მომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსი. 1997-2000-იან წლებში გახდა შპს „ვარძიის“ ლუდის საამქროს უფროსი. 2000-2003 წლებში კი – შპს „მელიზას“ დირექტორი. 2003-2010 წლებში იყო შპს-ს „მესხეთი XXI“ დირექტორი. 2010-2014 წლებში კვლავ შპს „მელიზას“ დირექტორი, ხოლო 2014 წლის 14 ივლისიდან დღემდე გახლავთ ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ბატონო ზაზა, ინტერვიუს ჩაწერამდე ბევრი მოქალაქე მიიღეთ. რა პრობლემებზე მოგმართავენ უფრო ხშირად მოქალაქეები?

– დღეს გრაფიკით მიღების დღეები არა გვაქვს. მაგრამ მოქალაქეს, რომელიც ჩამობრძანდება სოფლიდან თუ ქალაქიდან, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობაა შეხვდეს. ჩემი პრიორიტეტია მოსახლეობასთან ურთიერთობა. საჭიროა ის საკითხები, რომელიც

მათ აწუხებთ, ერთად განვიხილოთ. პრობლემები უამრავია. ალბათ, ხალხი ფიქრობს, რომ გამგებელს ყველაფერი შეუძლია. ჩვენი სპეციალისტები აქ მოსულ ადამიანებს აძლევენ განმარტებებს იმ საკითხებზე, რომლებიც მუნიციპალიტეტის კომპეტენციაშია. ხშირ შემთხვევაში მოსახლეობამ არ იცის, ვის უნდა მიმართოს. ჩვენ მათ ამაშიც ვეხმარებით.

– ახალციხის მუნიციპალიტეტში 46 დასახლებული პუნქტია. გზებთან, წყალთან და გაზიფიცირებასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. ხშირად უჩივის მოსახლეობა უგზოობას ახალციხიდან დაშორებული სოფლებისაკენ; არის წყლის პრობლემა; არ აქვს ბუნებრივი აირი ყველა სოფელს. რას გვეტყვით ამ საკითხებთან დაკავშირებით?

– სოფელი ნებისმიერი კუთხით უნდა განვითარდეს. მნიშვნელოვანია, როდესაც სოფელში არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და მოსახლე თავს გრძნობს ისე, როგორც ქალაქის დასახლებაში. ამ შემთხვევაში სურვილიც აღარ უჩნდება წავიდეს სოფლიდან. ეს კი ადგილზე ახალგაზრდების დაკავებას უწყობს ხელს. შემიძლია გითხრათ, რომ არჩევნებამდე, 2014 წლამდე, მუნიციპალიტეტის სოფლებში გზა მხოლოდ ორი მიმართულებით – ურავლის ხეობაში და სოფელ კლდეში იყო დაგებული. დაწყებული იყო სოფელ ღრელის (საფარის მიმართულებით მიმავალი) და წყალთბილა-ნაოხრების გზების მოასფალტება.

– ბატონო ზაზა, მოასფალტებული გზა არ მიდის ყველა სოფლამდე. მაგალითად, სოფლების – ანისა და სვირის მიმართულებით.

– დღეს არ დაგვრჩა მიმართულება, რომ არ იყოს გზა, არ იგეგმებოდეს, ან არ მიმდინარეობდეს გზის საფარის დაგება. გზების რეაბილიტაციისათვის 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, ჯამში დაიხარჯება 12 502 476 ლარი. ძირითადად, პრიორიტეტი გავაკეთეთ მაღალმთიან სოფლებზე, სადაც გზა იყო გაუვალი. მაგალითად, ანის მიმართულებით სასწრაფო დახმარების მანქანასაც კი უჭირდა ასვლა. დღეს გზა ყველა სოფლამდე მიდის. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეტაპობრივად მოხდება ამ გზების მოასფალტება.

– რაც შეეხება კითხვას წყალთან და ბუნებრივ აირთან დაკავშირებით?

– გზების პარალელურად ყურადღება დავუთმეთ სასმელი წყლის საკითხსაც. მუნიციპალიტეტმა 2014-2015 წლებში, აგვისტოსა და იანვარში შეისწავლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ

ბუნებრივი წყლებზე. გვაინტერესებდა, რომელი მათგანი გამოდ-
გებოდა სასმელ წყლად. უმეტეს სოფლებში განხორციელდა სასმელი
წყლის მაგისტრალების და შიდა ქსელების რეაბილიტაცია. უკვე ბევრ
სოფელს მიეწოდება წყაროს სუფთა წყალი. ზოგ სოფელში
მიმდინარეობს წყლის სისტემის რეაბილიტაცია. არის ისეთი სოფ-
ლები, სადაც როგორც რაოდენობივად, ასევე ხარისხის მხრივ არის
სასმელი წყლის სიმცირე. არის სოფლები, სადაც მოედინება ღელის
წყლები. ჩვენ შედგენილი გვაქვს პროექტები, რომელთა დაფინან-
სებისთანავე მოხდება გაფილტვრა და სუფთა წყლის მიწოდება.
წინუბნის წყლის პროექტი გამზადებულია, რაც მილიონ რვაასი ათას
ლარს მოიცავს. პროექტში ჩაერთვება აქ მდებარე სოფლები: გურ-
კელი, წინუბანი, აგარა, ზიკილია და მუგარეთი, სადაც საერთოდ არ
არის წყლის დებეტი. დანარჩენ სოფლებში ღელის წყლები აღარ
გვექნება. ერთადერთი არის აწყური, სადაც ასეთი წყალი მოედინება.
აქაც გვაქვს პროექტი, რომელიც წელს დასრულდება. მოხდება
ღელის წყლის ფილტრაცია და მოსახლეობა მიიღებს სუფთა წყალს.

სამელიორაციო სისტემას რაც შეეხება, მელიორაციას ახორციე-
ლებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული შპს
„საქართველოს მელიორაცია“, ასევე, მუნიციპალიტეტსაც აქვს სარ-
წყავი სისტემები, რომელსაც მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული
ა(ა)იპ „ახალციხის მელიორაცია“ უძღვება. ჩვენ ვითანამშრომლეთ
სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ასევე, შპს „საქართველოს
მელიორაციასთან“, რომლებმაც მუნიციპალიტეტში დიდი პროექტები
განახორციელეს. ერთ-ერთი გახლავთ ფერსა-გიორგიწმინდა –
მუგარეთის ორი სატუმბი სადგური, რომელთა საშუალებითაც
მოხდება ამ ტერიტორიების გასარწყავიანება. ამჟამად პროექტი და-
სრულების სტადიაშია. ასევე მასშტაბური პროექტია კლდე-წნისის
სარწყავ სისტემასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროექტი დიდი
ფართობის მორწყვას შეუწყობს ხელს. შპს „საქართველოს მელიო-
რაციასთან“ მიმდინარეობს მოლაპარაკება და 2018 წლისათვის იგეგ-
მება საძელი–ხაკისა და ტყემლანა-საყუნეთის სადგურების რეაბილი-
ტაცია. გარდა იმისა, რომ საქართველოს მელიორაცია ახორციელებს
ამ პროექტებს, მუნიციპალიტეტში რამდენიმე სატუმბი სადგური
უკვე აღვადგინეთ. ასევე რამდენიმე სოფელში – საყუნეთი, აწყური,
წყორძა – გასუფთავდა ბუნებრივი სარწყავი არხი. ამ ეტაპზე მიმდი-
ნარეობს სოფლების – ნაოხრების და წყალთბილის გასარწყავიანების
პროექტირება. ვალეში არის სატუმბი სადგურები, თუმცა აქ

დამატებითი ტუმბოს დადგმაა საჭირო და ვმუშაობთ მოცემულ საკითხზეც. აბსოლუტურად ყველა სატუმბ სადგურს, რომელიც ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში, ჩაუტარდა რეაბილიტაცია. ეს ეხება, როგორც ელექტროსისტემებს და ძრავების მექანიკურ ნაწილს, ასევე არხების მოწესრიგებას, რაც საკმაოდ მოცულობითი სამუშაოები იყო. 2016 წელს 10 კილომეტრზე მეტი არხი გაიწმინდა, რომელიც წლების მანძილზე არ გაწმენდილა. ასევე, ვალეში გავაკეთეთ ახალი ბუნებრივი სარწყავი სისტემა, ე.წ. „თინარი-მაზანა-მოკრულის“ არხი. გარდა ამისა, დაახლოებით 7-8 კილომეტრის სარწყავი არხის გაწმენდა–გასუფთავება განხორციელდა კლდესა და წნისში, ასევე გაიწმინდა სარწყავი არხი სხვილისში. 2016 წელს ჩვენ მიერ განხორციელებულმა პროექტებმა 143-ს მიაღწია. 105 პროექტი განხორციელდა 2015 წელს. ეს ის მაჩვენებელია, რომელიც არასოდეს დაფიქსირებულა მუნიციპალიტეტში.

რაც შეეხება გაზს, ეს არ არის მუნიციპალიტეტის განსახორციელებელი პროექტები. 2014 წლამდე გაზი არცერთ სოფელში არ იყო. დღეს მდგომარეობა შეცვლილია. ამჟამად მიმდინარეობს გაზის რეაბილიტაცია ვალეში, მინაძეში, ჭაჭარაქსა და ღრელში. ნაოხრებში ეს პროცესი დასრულებულია. წყალთბილაში კი დასასრულს უახლოვდება. ახლო მომავალში გაზის გაყვანა აბათხევში, ჯულღასა და წინუბანში დაიწყება. რაც შეეხება დანარჩენ სოფლებს, აქტიურად ვთანამშრომლობთ ენერგეტიკის სამინისტროსთან, რამეთუ გაზიფიცირების პროცესი რამდენიმე მიმართულებით გაგრძელდეს. საკითხი მოლაპარაკებების პროცესშია და გაზის გაყვანა სხვა მიმართულებებითაც დაიწყება.

– კულტურული ღონისძიებების თვალსაზრისით რა მდგომარეობაა სოფლებში?

– ჩემთვის მნიშვნელოვანია სოფლის სახლები, ახალგაზრდული ცენტრები, კულტურის სახლები და საბავშვო ბაღები. საინტერესოა სოფლის სახლების იდეა. ერთ ჭერქვეშ სხვადასხვა მიმართულებაა გაერთიანებული. აქ განთავსებულია საბავშო ბაღი, ბიბლიოთეკა, ამბულატორია და სხვ. არის ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა წრე. აქტიურად მუშაობს ახალგაზრდული ცენტრები. ახალციხის თემში სპორტული წრეები არ იყო. ახლა გვაქვს ფეხბურთის, ტაიკვანდოს, ძიუდოს, კრივის ჯგუფები. ახალგაზრდები ცხოვრობენ ჯანსაღი ცხოვრებით, დასაქმდა ხალხი. არის ცეკვის, ფანდურის, ხალხური სიმღერის წრეები. მუნიციპალიტეტში მხოლოდ ორი ბიბლიოთეკა

ფუნქციონირებდა. ახლა მიმდინარეობს ძველი ბიბლიოთეკების აღდგენა. მისასალმებელია, რომ ამ თაობას უყვარს წიგნი. ჩვენ განვაახლებთ საბიბლიოთეკო ფონდს. ასევე სოფლებში არის ოთახი, სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან, სხვადასხვა ღონისძიებას გეგმავენ, წერენ პროექტებს, აწვდიან არასამთავრობო ორგანიზაციებს და ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხდება პროექ-ტების განხორციელება. ამ ახალგაზრდებმა ბევრი სიკეთე მოუტანეს თავიანთ სოფლებს. ისინი ემზადებიან მომავალი ცხოვრებისთვის. სწავლობენ, როგორ უნდა დაწერონ პროექტი, როგორ უნდა იურთიერთონ სხვადასხვა ორგანიზაციასთან, მუნიციპალიტეტთან. ჩვენს მუნიციპალიტეტში 13 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, სამი კი უახლოეს დღეებში გაიხსნება.

– ეს რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, სოციალური მიმართულებით რისი გაკეთება ხელეწიფება მუნიციპალიტეტის გამგეობას?

– ჯანდაცვისა თუ სოციალური დახმარების კუთხით სახელმწიფო პროგრამა კარგად მუშაობს. თუმცა, მოსახლეობიდან ხშირად ისმის საყვედური, რომ მოეხსნათ სოციალური დახმარება. გვქონია შემთხ-ვევა, მოსულა სოციალურად დაუცველი და უთხოვია დახმარება. ჩვენ ვეუბნებით, რომ დავასაქმებთ, მაგრამ არ უნდათ იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში სოციალური დახმარება მოეხსნებათ. არასამთავრობო და სხვადასხვა ორგანიზაცია მათ ეუბნება, რომ გიყიდით პირუტყვს, მაგრამ ესეც არ უნდათ. პირუტყვის გამო სოციალური დახმარება მოეხსნებათ. ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ადამიანი მიეჩვია „პენსიას“, ხელის განძრევა არ უნდა. ეს თაობებზე მოქმედებს. ოჯახში ამას ხედავს შვილი და არასასურველი გავლენის ქვეშ ექცევა. რა თქმა უნდა, ამას ყველაზე ვერ ვიტყვი, ასეთები ერთეულები არიან. თუმცა, არიან ადამიანები, გაჭირვებულები, ბევრს შრომობენ, წვალობენ, მაგრამ ხელი არ ეწყობათ.

შეჭირვებულებს წელიწადში ოთხჯერ სასურსათო პაკეტით ვეხმარებით. ასევე საახალწლოდ და სააღდგომოდ გვაქვს დახმარება დევნილებისთვის. შშმ პირებისთვის და უსახლკაროთათვის არის სხვადასხვა სოციალური დახმარება. გვაქვს სოლიდური დახმარება უსინათლოებისთვის, დიალეზით მოსარგებლეებისათვის, ონკოლო-გიური ავადმყოფებისათვის. სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეო-ბისთვის ვახორციელებთ ჯანდაცვის პროგრამებს. ჯანდაცვის კუთ-ხით გარკვეულ ხარჯებს სახელმწიფო პროგრამა აფინანსებს. დანარ-ჩენი თანხით მოსახლეობას მუნიციპალიტეტი უდგას გვერდით. ეს არ ატარებს ერთჯერად ხასიათს. ჩვენ მიერ შემუშავებული სოციალური

დახმარების წესით ბენეფიციარს შეუძლია ამ პროგრამით ისარგებლოს წლიური ლიმიტის ფარგლებში და არა ერთჯერადად. ახალშობილებისთვის გავზარდეთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 ლარამდე. ტყუპების შეძენის შემთხვევაში 500 ლარამდე, ხოლო ორზე მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში - 700 ლარამდე.

– მიწის გასხვისებაზე მინდა გკითხოთ. მოსახლეობა წუხს, რომ მიწის შეძენა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ადგილობრივებისათვის. მიწის გასხვისების საკითხზე მთელ ქვეყანაში მსჯელობენ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ახალციხის მუნიციპალიტეტში?

– მე ვერ ვიტყვი, რომ ქართველებს ხელი არ მიუწვდებათ მიწის შეძენაზე. მიწის შეძენის შესახებ საქართველოში მოქმედებს კანონმდებლობა, რომელიც ყველასთვის ერთია. პირველ რიგში მნიშვნელოვანია მიწის რეგისტრაციის საკითხი. მთავრობამ იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შეიმუშავა პროგრამა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მიწების რეგისტრაცია. ყველა მიწა უნდა იყოს რეგისტრირებული ერთიან ბაზაში. ელექტრონული აღწერის დროს, ხშირად ვხვდებით მიწის გადაფარვის შემთხვევებს, არის შეცდომები გვარში ან სახელში და ა.შ. სოფლის წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ეხმარება მოსახლეობას მიწების რეგისტრაციაში. ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც ინვესტიციებზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული. მიწის გასხვისება არ ნიშნავს შეზღუდო ინვესტორი. პირიქით, მათ შემოაქვთ ახალი ტექნოლოგიები, საქმდება ხალხი. თუ ვინმე მოინდომებს, რომ სიკეთე მოუტანოს ქვეყანას, რატომ უნდა ვთქვათ უარი. რა თქმა უნდა, ამას გონივრულად უნდა განსჯა. არის სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს მიწის გასხვისების საკითხს. ჩვენ რამდენიმე საქმე არ განვიხილეთ. იყო თითქოს ინვესტორი, მაგრამ არ ჩანდა საქმის გამკეთებელი. მათ მარტო მიწა აინტერესებდათ. თუ იქნება შემოთავაზება, რომელიც სიკეთეს მოუტანს ქვეყანას და გარდა სიკეთისა, არ ავნებს საქართველოს, ასეთი ინვესტიციები უნდა განხორციელდეს.

– ისტორიული ძეგლებით მდიდარია მუნიციპალიტეტი. გამგეობის მოვალეობაში ამ ძეგლების მეთვალყურეობა შედის. რამდენად აქტიურია კავშირი კულტურის სამინისტროსთან, რომ მოხდეს ამ ძეგლების რეაბილიტაცია. ეს კი გარდა ჩვენი ისტორიის შენარჩუნებისა, სოფლებში ტურიზმის განვითარებასაც შეუწობს ხელს.

– ჩვენს მხარეში 4 000 —ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომლებსაც სჭირდება მეთვალყურეობა ადგილობრივი თვითმმართველობიდან. ეს ნიშნავს, რომ, თუ რაიმე საფრთხე ემუქრება ძეგლს, მაგალითად, ჩამონგრევის თვასაზრისით, ან ვინმემ ამ ძეგლების ხელყოფა შეიძლება განახორციელოს, რაც გულისხმობს თვითნებურ მშენებლობას და სხვა. ამ კუთხით, თვალყურს ვადევნებთ, კონრეტული ფაქტების შემთხვევაში, ინფორმაციას შესაბამის სამინისტროს ვაწვდით. ბოლო წლებში ბევრი ძეგლის აღდგენა-რეაბილიტაცია მოხდა. ამ ეტაპზეც მიმდინარეობს თისელში ორი ძეგლის აღდგენა, აწყურის ტაძრის რესტავრაცია, აგარის მონასტრის აღდგენა. მუნიციპალიტეტი ახორციელებს გზების აღდგენას, რომ ნებისმიერ ადამიანს შეეძლოს ძეგლებთან მისვლა. ვცდილობთ, შევქმნათ ინფრასტრუქტურა. საფარის მიმართულებით გზის აღდგენამ ხელი შეუწყო ტურისტების რაოდენობის ზრდას. გაათმაგდა მნახველთა რიცხვი. სხვა ძეგლებთან შეიძლება არ არის ბეტონის გზა, თუმცა, გზა არის გამავალი. მაგალითად, ბიეთთან მიბმულია ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკი, იქაც აქტიურად მიდიან ტურისტები, ამიტომ ჩვენ ვქმნით მისასვლელ გზებს. დასუფთავების კუთხით მაქსიმალურად ვცდილობთ, არ იყოს ნარჩენი. შეძენილი იქნა დამატებითი ურნები და დღეის მდგომარეობით ნარჩენი ყველა სოფლიდან გამოდის.

– თვითმმართველი ქალაქების სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ? მმართველობის როგორი ფორმა მიგაჩნიათ მიზანშეწონილად?

– ამ საკითხზე ბევრი მსჯელობაა, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო წრეებში. არის დისკუსიები, საუბრები. მე, როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი, შემიძლია დადებითად შევაფასო ის მოდელი, რაც არის შემოთავაზებული. შესაძლებელია მუნიციპალიტეტის გაერთიანება. ეს არც მერიის და არც გამგეობის გაუქმებას არ გულისხმობს. აქ არის გაერთიანებაზე საუბარი. თავისუფლად შეიძლება იმართოს რაიონი ერთი მუნიციპალიტეტით. მთავრობის გადაწყვეტილება ასეთია, რომ ბიუჯეტი არცერთ შემთხვევაში არ შემცირდება. მენეჯმენტი იქნება ერთი. საუბარია, რომ მუნიციპალიტეტს მერია დაერქმევა. ყველა მუნიციპალიტეტს ეყოლება მერი. ეს არ იქნება ცუდი. მოხდება ხარჯების შემცირება და ეს ხარჯები მიემართება ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

– სტუდენტებთან შეხვედრების დროს ხშირად არის თხოვნა, რომ სოფლებიდან სტუდენტებისთვის მგზავრობა იყოს შეღავათიან ფასში, ან უფასო. ასევე მუნიციპალიტეტის გამგეობა თუ დაამკვიდრებს ტრადიციას, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ჩამოსულ მხოლოდ და მხოლოდ წარჩინებულ სტუდენტებს დაუნიშნოს სტიპენდია? რას გვეტყვით ამ საკითხებზე?

– ჩვენ მგზავრობის საკითხზე ხშირად გვქონია საუბარი. მინდა გითხრათ, რომ სატრანსპორტო ორგანიზაცია მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. მგზავრების გადაყვანის ოპერირებას ახორციელებენ კერძო იურიდიული პირები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვერ იქნება შეღავათების გამწევი. მე არ გამოვრიცხავ, რომ მოხდეს თანადაფინანსება, მაგრამ აქ დგება კონტროლის მექანიზმის პრობლემა. ვთქვათ, ერთ გადაადგილებაზე მუნიციპალიტეტმა სტუდენტს უნდა გადაუხადოს გარკვეული ღირებულება. ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ, რამდენჯერ გადაადგილდება ეს სტუდენტი დღის თუ კვირის განმავლობაში. ვინ იქნება ამისი აღმწერი. ან მაგალითად, სტუდენტებს ამ თვეში ვუხდით გარკვეულ თანხას. ამ საკითხს ვინ გააკონტროლებს? როდესაც მუნიციპალიტეტი სტუდენტს მგზავრობის ღირებულებას უხდის, შეიძლება რაიმე პროგრამის ფარგლებში ეს სტუდენტი საზღვარგარეთ იყოს წასული. აქ ფინანსური პრობლემა არ დგება, აქ დგება კონტროლის მექანიზმის პრობლემა. გასულ წელს ჩვენ გვქონდა კერძო კომპანიებთან საუბარი, ვთხოვეთ და სტუდენტები, ვისაც ჰქონდა სტუდენტის ბარათი, ნახევარ ფასად მგზავრობდნენ. თავად კომპანიამ გამოხატა კეთილი ნება. რაც შეეხება სტიპენდიას, ჩვენ გვქონდა საუბარი, რომ წავახალისოთ წარჩინებული სტუდენტები სხვადასხვა ღონისძიებით. შეგვიძლია მათ სხვადასხვა სახით დავუდგეთ გვერდში, თუმცა, ამ ეტაპზე, სტიპენდიის კუთხით, ვერ გეტყვით, რომ რაიმე თანხა გვაქვს.

– საზღვარგარეთის ქვეყნებში არის შემდეგი პრაქტიკა: ესა თუ ის ორგანიზაცია, ან ხელისუფლება უკვეთავს უნივერსიტეტებს ამა თუ იმ მიმართულებით კადრების მომზადებას, ამაში იხდის გარკვეულ თანხას. უნივერსიტეტი კი ამზადებს დამსაქმებლის ინტერესების შესაბამის კადრს. ხომ არ არის შესაძლებელი ეს პრაქტიკა ჩვენს მუნიციპალიტეტსაც დაინერგოს?

– შემიძლია გითხრათ, რომ ზოგადად ქვეყანაში არის უმუშევრობის პრობლემა, მაგრამ ამასთან, არის კვალიფიციური კადრების დეფიციტი. მაგალითად, გვიჭირს კადრები ინფრასტრუქტურის

კუთხით. ძირითადად, მშენებლების მხრივ. დიდი როლი ითამაშა ამ მხარეში უნივერსიტეტის გახსნამ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ამ ჟურნალის ფურცლებიდან მადლობა ვუთხრა ბატონ მერაბ ბერიძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელი შეუწყო ამ კუთხეში საგანმანათლებლო კერის დაარსებას. ჩვენთან ამ უნივერსიტეტის ბევრი კურდამთავრებული მუშაობს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მთელ ქვეყანას უზრდის კვალიფიციურ კადრებს. აღვნიშნე, რომ ინფრასტრუქტურის მიმართულებით გვიჭირს კადრები. ეს სპეციალობა, სამწუხაროდ, არ არის ჩვენს უნივერსიტეტში. დარწმუნებული ვარ, რომ კარგი კადრი არასოდეს დარჩება უმუშევარი.

– წარმატებული პრაქტიკაა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და რეგიონში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის თანამშრომლობა. მაგალითად, არდაგანის მერიის დაფინანსებითა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მონაწილეობით გამოიცა წიგნი ქართულ-თურქული სამზარეულოს შესახებ. მსგავსი პრაქტიკა თუ დაინერგება ჩვენს მუნიციპალიტეტშიც?

– რაზედაც მოუმართავს უნივერსიტეტს, როგორც მერიას, ასევე ჩვენ, არ გვითქვამს უარი მსგავსი ღონისძიებების გატარების კუთხით. ჩვენ ვუმასპინძლეთ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ არაერთ ღონისძიებას, ხშირად ვართ ჩართული უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საქმეში. ვფიქრობ, უნივერსიტეტისთვის ისიც ხელშეწყობაა, რომ სოფლებში იხსნება ახალგაზრდული ცენტრები, ბიბლიოთეკები, სადაც უნივერსიტეტის სტუდნეტებიც აქტიურად არიან ჩართულები. ის აღსაზრდელები, რომლებიც საბავშვო ბაღში სწავლობენ, გაიზრდებიან, ჩაერთვებიან ახალგაზრდული ცენტრების საქმიანობაში, ეს ხომ წინაპირობაა იმისა, რომ უნივერსიტეტში უფრო მეტი განათლებული ახალგაზრდა შევა. ამ კუთხით ვხარჯავთ ამ ეტაპზე ფინანსებს. სტუდენტი რომ დაამთავრებს უნივერსიტეტს და წავა მშობლიურ სოფელში, ექნება შესაძლებლობა ახალგაზრდულ ცენტრში მოამზადოს ღონისძიება, დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობა. ეს ხომ უნივერსიტეტის და სტუდენტების ხელშეწყობაა. თუმცა, არ გამოვრიცხავ სხვა სახის თანამშრომლობას. თუ საჭიროა, რა თქმა უნდა, ჩვენ უნივერსიტეტის გვერდით ყოველთვის ვიქნებით.

– მადლობა, ბატონო ზაზა, საინტერესო საუბრისთვის.

ინტერვიუერი ლია ზაზაშვილი

ნესტან ფიფია

გული – როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი ილია ჭავჭავაძის მოთხრობებში

ილია ჭავჭავაძე თავისთავადი, კანონზომიერი და განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ სინამდვილეში. თავისთავადობა ხელდასმულ შემოქმედთა არსებითი ნიშანია. კანონზომიერების საფუძვლად მიგვაჩნია ილია ჭავჭავაძის თანამედროვე საქართველოს სულიერ-საზოგადოებრივი მდგომარეობა: მონობას მინებებულ ერს მართალი სიტყვა, ქმედებისკენ მოწოდება სჭირდებოდა და ეს მისია მან აღასრულა. რაც შეეხება განსაკუთრებულობას, აქ მრავალი შტრიხი გამოიკვეთება მხატვრულ-პუბლიცისტური აზროვნების სივრცეში, მაგალითად: სიტყვის *ძალმოსილების შეგრძნება, ბუნებრივი, სადა მეტყველებით ქრისტიანული ზნეობის ქადაგება.*

„ილია ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა ახალი საქართველოს ცხოვრებაში. მის მოღვაწეობაში, ცხოვრებაში, შემოქმედებაში თავს იყრიან საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე გზები – ყველა ნაკადი, ყველა განშტოება საქართველოს და საზოგადოებრივ-სულიერი ცხოვრებისა, „ქართვლის ბედის“ და „ქართლის ჭირის“ ყველა წყეული კითხვა...ილიას შემოქმედება არა მხოლოდ ანარეკლია ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, ის თავისთავად ისტორიაა – ქართული სულისა და გონების ევოლუციის თავი და თავი, წყაროსთვალი და ქვაკუთხედი“ (ასათიანი II 2002:60).

სული დროსა და სივრცეზე მაღლა დგას, საზოგადოებრივ-სულიერი ცხოვრების სიჯანსაღისთვის დაუდეგარი ღწვით ილია მართალს ადარებენ გრიგოლ ხანძთელს. ამ ორ სახელს, თუმცა საუკუნეები აშორებს, ისინი ქვეყანას სულიერი მოძღვრის მისიით მოევლინნენ: გრიგოლ ხანძთელი არაბთაგან დაპყრობილ, „გვემულ“ და „ქენჯნილ“ ქვეყანაში აღვივებდა თავისუფლების წყურვილს, ტაოკლარჯეთის „უდაბნოს ქალაქყოფით“, ხოლო ილია ჭავჭავაძე რუსული იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკით სულიერად გაუდაბურებულ ქვეყანაში მოვიდა წინამძღვრად და მიზნად დაისახა ერის სულიერი გამოღვიძება, რადგან „კარგია გაღვიძებული ადამიანი, მაგრამ მით უფრო კარგია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს ქვეყნის უბედურებით გულაღტკინებულსა“ (ქპ1984:26). ასეთ ადამიანებს ძალუძთ შინაგანი ცეცხლით შექმნან ენერგია, რომელიც დაუპირისპირდება მონობას, ქაოსს.

უდაბნო და მოძღვარი ცნობილი პარადიგმული სახეებია, რევაზ სირაძის განმარტებით: *„უდაბნოში ადამიანი იღებს კანონს და ემზადება მადლისთვის, რომელიც ახალი სულიერი დონეა“* (სირაძე 1987:149). ამდენად, უდაბნო ასპარეზია, მადლი კი - ქმედების ნაყოფი.

თუ არსებობს მიმართება „უდაბნო“ და ადამიანი, არსებობს მეორეც - „უდაბნო“ და წესრიგი. *„უდაბნო“ მოუწესრიგებელი გარემოა, გრიგოლს იგი უქცევია „ქალაქად“. ქალაქი აქ მართლაც ქალაქს როდი ნიშნავს (არსაიდან ჩანს და არცაა მოსალოდნელი, რომ გრიგოლს კლარჯეთში ქალაქი აეშენებინოს“* (სირაძე1987:150). ეს „ქალაქყოფა“ სულიერი აღორძინების, უღვთოობის, ქაოსის („უდაბნო“) ძლევის სიმბოლოა.

„უდაბნო“ გამოცდის ადგილია, იგი სულის სიძლიერესაც ავლენს და სისუსტესაც; „უდაბნოს ქალაქყოფა“ კი, მადლის, სულიერი სიმტკიცის გამარჯვებაა. სწორედ ამ თავლთახედვით ემსგავსება ერთმანეთს დროითა და სივრცით დაშორებული სხვადასხვა რეალურ ასპარეზზე მოღვაწე ორი სულიერი მოღვაწე – გრიგოლ ხანძთელი და ილია მართალი. პირველი „მონაგებთა დატევებითა” და სულიერი საძმოს ჩამოყალიბებით შეუდგა ეკლესია—მონასტრების აღმშენებლობას, რითაც უხილავი ძალა შეჰმატა ერს, „ზედამდგომელთა“ გავლენის დასაძლევად. ეს ძალა ილია ჭავჭავაძემ მხატვრული სიტყვით დაამკვიდრა.

მის შემოქმედებით სამყაროში განსაკუთრებული ძალმოსილება აქვს მოთხრობებს. მწერლის ოსტატობა და ჩანაფიქრის სისავსე სათაურებიდანვე ცხადია, უმეტეს შემთხვევაში („კაცია-ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, „სარჩობელაზედ“), აქ იკვეთება მხატვრული ქსოვილისა და იდეის გამთლიანება.

ილია მართლის სიტყვამ ქართულ ენას მიანიჭა განსაკუთრებული ძალმოსილება. ზოგადად, ენის შემწეობით ეროვნული ენერგია უდიდეს კონცენტრაციას აღწევს. ენა (ლიტერატურა) ამთლიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავალსაც, რადგან *,,სიტყვა იდეის კალაპოტშია, შთამომავლობა წინაპრებისაგან სიტყვასთან ერთად ტრადიციულ იდეასაც ღებულობს მემკვიდრეობით“* (ლთქ 2010:76). განსახილველ შემთხვევაში იდეა ქრისტიანული სიბრძნით იკვებება.

ცხადია, რეცეფციული, ანუ აღქმის ესთეტიკა მჭიდროდ უკავშირდება ჰერმენევტიკას - ინტერპრეტაციის ხელოვნებას. მხატვრული ნაწარმოების გაცოცხლება, ლიტერატურული ტექსტის რეალიზება მისი აღქმის პროცესში ხდება, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება

ექცევა მკითხველს - რეციპიენტს, ამ თვალსაზრისით ლიტერატურული ტექსტის აღმქმელი ყველაზე აქტიურია, მას აღმომჩენის ფუნქციაც ენიჭება. „ნებისმიერ ტექსტში ყოველთვის არსებობს უამრავი განუსაზღვრელი ადგილი, რომელთა „შევსება“, კონკრეტიზაცია და რეკონსტრუქცია ტექსტისა და მკითხველის შეხვედრისას, ანუ კითხვის პროცესში ხდება“ (ლთ 2008:186). ასეთი შეხვედრა მხატვრულ-შინაარსობრივი სივრცის შესაცნობად ილია ჭავჭავაძის მოთხრობებში ძალიან ნაყოფიერია. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მოთხრობებზე „ოთარაანთ ქვრივი“, „სარჩობელაზედ“, „კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“. მწერალი საინტერესოდ ახასიათებს სიტყვას „ოთარაანთ ქვრივში“, როგორც მისტიკურ მოვლენას. სიტყვამ უნდა *„გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურსა“* (ქპ 1984:237).

ნეტარ ავგუსტინესთან პური მადლის სიმბოლოა, ხოლო სახარების მიხედვით „სასუფეველი ღვთისა გულსა შინა თქვენთასა არს“. ამდენად, სიტყვამ უნდა უზრუნველყოს მადლის სიცოცხლისუნარიანობა, სიჯანსაღე. არსისა და არსისმიერი მადლის ერთგულება რჩეულთა ხვედრია, ერთგვარი მსხვერპლისუნარიანობაა. *„თავის თავში მსხვერპლის ტარება ღვთაებრივი თვისებაა; ამიტომ არის, რომ დედა-შვილის საქციელი თანასოფლელებისათვის უჩვეულო და გაუგებარია. მათი მოქმედების მიმართ ყოველთვის გაორებული დამოკიდებულება აქვთ“* (ბაქრაძე 2004:99).

ოთარაანთ ქვრივისა და მისი ოჯახის მიმართ საზოგადოებას უჩნდება კითხვა „გიჟია თუ რა?!“, მწერალი კი მათ განსაკუთრებულობას ასე ხსნის: მათ „სხვა ნიშან-წყალი“ აქვთ.

გიორგის შინაგან სამყაროს არჩილი ასე ახასიათებს: *,,მაგისი ნამუსი ჭკუით კი არ არის ახილებული, გულით გამოკვებილია, მარტო გულით, ეს დიდი საქმეა ჩემის ფიქრით, იმიტომ, რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვამის, მთელის აგებულების წყურვილია“* (ქპ 1984:276). აქ ცხადად იკითხება გულისა და სინდისის მიზეზ-შედეგობრივი მთლიანობა.

არჩილი გიორგის ქმედების საფუძველს ყოველთვის გულისხმას უკავშირებს: „მინამ ჭკუა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის, რა ჰქმნას“ (იქვე). მეჯინიბის დასჯაც ასე ახსნა: „საქმე და მოსაქმე ერთმანეთს გაჰყროდა და ეს მართალმა გულმა იუცხოვა“ (იქვე), მართალი გულის კარნახით ქმედებას კაცობის დიდ ნიშანწყალს უწოდებს.

მოთხრობაში მწერალი არჩილის პირით მეტყველებს. გიორგის დაღუპვის შემდეგ და-ძმას შორის კამათი, ფაქტობრივად, წოდებათა

შორის გაუცხოების მიზეზის ჩხრეკაა. არჩილი უმთავრეს საფუძველს გამწირებულ სიყვარულში „მკვდარი გულით“ ურთიერთობაში ხედავს. გიორგისადმი უკანასკნელ დღეს ზრუნვის ასე დახასიათება: „კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო“, - გლეხების უმადურობად აღიქვა კესომ და გაწიწმატდა, არჩილი კი თვლის, რომ „გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია“.

არჩილის მსჯელობაში მადლი გულის მკვიდრი ბინადარია და უერთმანეთოდ არც ერთი არ არსებობს. *„გული რა არის ? მარტო ერთადერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიც“* (ქპ 1984:294).

გული, როგორც მეტყველი სიმბოლო ძველი ქართული ლიტერატურიდან მოემართება. „აბოს წამებაში“ ვკითხულობთ: *„მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროისღა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქვენისანი“* (ქმ 1987:107). სიტყვა „საცნობელი“ შეცნობის უნარის მქონეს ნიშნავს, ამდენად იოანე საბანისძე მკითხველს გულისყურით მოსმენისკენ, გულისა და გონების გამთლიანებისკენ მოუწოდებს. „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა კიდიან“. . . ბერი იოსები გულისა და გონების ურთიერთმიმართებას ასე ახასიათებს: „გონება სულის მკვებავია, და ყველა სიკეთე და სიავე, რასაც ის ხედავს და ისმენს, გულში ჩაედინება, გული კი ცენტრია ადამიანის სულიერი და ხორციელი ძალებისა“ (ღსმე ს2007:135). არქიმანდრიტი რაფაელის (კარელინი) განმარტებით, „გული კაცის კარიბჭეა“ და განწმენდილი გულით ეძლევა „გამონათება“, რომლის საშუალებითაც წამიერად შეუძლია ზეციური ეკლესიის მშვენიერების, ადამის მიერ დაკარგული და ქრისტეს მიერ კაცობრიობისათვის დაბრუნებული სამოთხის ხილვა“. თვით ილია ჭავჭავაძესთან გული - როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი არაერთგან გვხვდება.

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ უფროსი ძმის პორტრეტს, რომელსაც „უმარილო სახე“ აქვს, ავსებს ფრაზა „უფხო გული“. ზოგიერთი პერსონაჟის გული ცოდვის საუფლოა, ზოგიც მადლს იკრებს საქმით მეტყველი სულით.

ოთარაანთ ქვრივი კი მეზობელ დედაკაცს ტუქსვით მიმართავს „მოგიკვდეს ეგ უგულო გული“. „უფხო გული“ და „უგულო გული“

მიგვითითებს, რომ ამ პერსონაჟებს არ აქვთ არსისმიერი, შინაგანი ძალა და სიჯანსაღე.

მოთხრობა „სარჩობელაზედ“ იდეას უმცროსი ძმის წერილით ახმიანებს; ეს ერთგვარი მონოლოგია, სადაც მხილებულია საზოგადოების გულგრილობა, ამავე დროს ხაზგასმულია, რომ გულს - უფლის საზეო ადგილს, ადამიანის ნებელობა განაგებს: „ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა-მადლი ტრიალებს“. ცნობილია: ადამიანი არის ხატება და მსგავსება უფლისა, რომელმაც მიანიჭა თავისუფალი ნება. „ადამიანი ერთადერთი ქმნილებაა, რომელიც ამართული დაიარება და შეჰყურებს ზეცას“ (იოანე ოქროპირი). ამიტომ გულის დათმობა ბნელის საასპარეზოდ ჩვენივე არჩევანია: *„რომელი რაი ვერ მიიღებს ნათელს მისსა, ესე არა უძლურებისაი არს, არცა სიმცირისაი ნათელმიმცემლობისაი მისისაი, არამედ უმარჯოებისაგან ნათელმიმღებელთასა“* (ქმ 1987:212). ნათელ მიმღებლობისათვის „უმარჯო“ ბუნების ნაყოფია ლუარსაბ თათქარიძე („კაცია ადამიანი?!“), ამიტომაც, ამ პერსონაჟის მეტყველი პორტრეტის შექმნას მწერალი მისი გულის დახასიათებით ამთავრებს: *„გული კი რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ქონდა, ასე რომ მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშიანობის დროს თავი აქ შეეფარათ“* (ქპ 1984:122). ეს ფრიად მეტყველი სიმბოლოა, არსსმოწყვეტილი ადამიანის გული გაუდაბურებულია მადლის, მღვიძარებისა და სიყვარულისთვის. იაკობ ხუცესი გამაზდეანებული ვარსქენის მრისხანებას აღვსების ორშაბათს ასე ახასიათებს „ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა“ (ე. ი. ეშმაკი თარეშობს პიტიახშის სულიერ სამყაროში).

სიმბოლოზე მსჯელობისას ყურადღებას ვამახვილებთ ჰეგელისეულ განმარტებაზე: „სიმბოლო უპირველეს ყოვლისა, რაღაც ნიშანია, მაგრამ უბრალო აღნიშვნისას იგი არის მნიშვნელობისა და მისი გამოხატულების კავშირი, ოღონდ სრულიად თვითნებური“, ჭეშმარიტი მწერალი ოსტატურად საზღვრავს მნიშვნელობისა და სახის ურთიერთმიმართებას სათქმელის გამოსახატავად. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი ილიას მოთხრობებში არის გული. სახარებაში, მღვდელმთავარ ვოინო-იასენეცკის ნაშრომში – „გული, სხეული და სამშვინველი“ – გული ზესულის სამკვიდროდ მოიაზრება. დამონმებული ამონარიდები ილია ჭავჭავაძის მოთხრობებიდან ცხადყოფს, რომ გული მწერლის შემოქმედებით სამყაროში მნიშვნელოვანი მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენია. მხატვრულ ქურაში გამოტარებული ცნება-ნიშანი „გული“ ფართო სახისმეტყველებით დატვირთვას იძენს, თუმცა იქნებ გულის

არსისმიერი ფუნქცია-მნიშვნელობა სწორედ ზესულის სამკვიდროდ ყოფნაა და ამიტომაც გვაქვს ლექსიკაში ასე უხვად გულისგან ნაწარმოები სიტყვები, რომლებიც ადამიანის სულიერ სამყაროს ახასიათებს, მაგალითად: ერთგული, ორგული, უგულო, გულადი, გულითადი, გულგრილი, გულაცრუებული, გულამღვრეული, გულდაკოდილი, გულანთებული, გულუხვი, გულშემატკივარი, გულმოდგინე, გულახდილი და ა. შ. დავიმოწმებთ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ ამონარიდს:

გულანი — საგალობელი სრული, გულის სანდომლად შეკრებილი (გულის ნების შემკრებელი)

გულგდებული – გულმიპყრობილი;

გულვა – გულისხმისყოფა;

გულვებადი – გულისსიტყვათა შორის მოღებული;

გულთმისანი – გონებით შემტყობი;

გულითადი –გულით მისანდო;

გულისათქმელი – (9,23, – დანიელ) – სანდომელი, სანატრელი;

გულისხმა – ესე არს გონებით ახმა და გულთა შეღება. რომელი ითქმის გულისხმად;

გულმავიწყი – მალ დამვიწყებელი;

გულწყებულ – მოწყენილი და ა. შ.

(სულხან-საბა ორბელიანი – 1991:175,176).

დამოწმებული მაგალითები ნათლად ადასტურებს, რომ სიტყვა „გული“ (შინაგანი ლოგოსი) ენდეოტეტურია და მოიაზრებოდა ზესულის სამკვიდრო ადგილად. წარმოდგენილი მსჯელობის ერთგვარ შესაკრებლად და დასკვნად მიგვაჩნია საქართველოს კატალიკოს–პატრიარქის ილია II-ის სიტყვები: „ისტორიულად ქართველ კაცს არ ახასიათებდა მიწიერი საუნჯის მოხვეჭა – იგი უფრო სულიერი საუნჯის მოხვეჭით იყო დაკავებული. სახარებაში წერია: *„სადაც არს საუნჯე შენი, მუნ არს გული შენი“... ქართველი კაცი მდიდარია, დაჯილდოებულია გულის კულტურით და ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ უმაღლესი ჯილდო მოგვანიჭა“* (ილია II2004:196).

ილია ჭავჭავაძის მოთხრობების მიხედვით, გულის სიმბოლურ-ესთეტიკურ მნიშვნელობაზე საუბრისას, სხვა ქმნილებებთან ერთად, უხვ მასალას იძლევა მოთხრობა „გლახის ნაამბობი“. *მაგალითად: „კაცს, რაკი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდარია, თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზე წავა“* (ქპ 1984:45). *„დიდი მადლი უნდა უტრიალებდეს კაცს გულში, რომ ასე გამოსცეს, გამოატანოს თვალებს“* (ქპ 1984:52).

ეს პერსონაჟი, მართლაც, „გულის კულტურით“ გამოირჩევა, მან გაბრიელს არა მხოლოდ „წიგნი ასწავლა, სული გაუნათა; განათლებას აზიარა, (ჭეშმარიტი განათლება ხომ უფალთან ზიარებას უკავშირდება არეოპაგეტიკის მიხედვით: „საცნაურისა მის ნათლისა მოსვლაი სრულმყოფელ და გამამთლიანებელ არს განათლებულთაი“ (ქმ 1997:207). მოძღვარმა შეგირდს ცხოვრების გზა და არსი ასე *აუხსნა: „ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გ ზას გაგინათლებს, გული – გაგათბობს, ღმერთი ძლიერია ... ყველას გულში, – ბატონია, თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, – ღვთისგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენს გამჩენსა“* (ქპ 1984:56).

მოძღვრის დისკურსით ხაზი ესმევა, რომ მადლი გულის მკვიდრი ბინადარია: *„ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა; ზოგს, მართალია, ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას – ცოტა“* (ქმ – 1984:61). საგულისხმო ის არის, რომ მღვდელი საქმით მეტყველ სულს დაატარებს, მისი თქმა და ქმნა მუდამ მთლიანია. ავადმყოფი ქმრის გამო ატირებულ დედაკაცს მთელი არსებით თანაუგრძნობდა, *„გული იმისი თვალებში გამოიხატა და ზედ ეწერა: „რა ვქნა, დედი, ჩემი სისხლი რომ მოარჩენდეს შენს ქმარსა, ძარღვს გავიხსნი და დავალევინებო!“* (ქპ 1984:64). მოთხრობაში აღწერილია, როგორ გადაარჩინა მღვდელმა მუშა დახრჩობას.

ავტორისა და პერსონაჟის სიტყვა თანაბრდება მწერლის მხატვრული ხერხით, როცა მათ შორის დიალოგი იმართება. ასეთი ეპიზოდი გვაქვს, მაგალითად, მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“. ნაწარმოების მეხუთე თავში გადმოცემულია ცოლ-ქმრის „ბაასი“ – გემოთმოყვარეობის დემონსტრირება: ბოზბაში სჯობს, თუ ჩიხირთმა, თართი, თუ ორაგული. დიალოგის ბოლოს მეტყველებს ანონიმი ავტორი: *„რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით არისხებდნენ ღმერთსა, რომელმაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია“* (ქპ 1984:156). ამ დისკურსს მოჰყვება ავტორისა და პერსონაჟის დიალოგი, თუ რატომ არისხებს ღმერთს ლუარსაბის და დარეჯანის საქციელი. ლუარსაბს თავი უცოდველი ჰგონია: არ მოუკლავს, არ მოუპარავს. ავტორი კი, ეპაექრება, კარგია, რომ რაც არ უნდა ექნა არ უქნია, უარარაობას ეგა სჯობს, „მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნიაო?

მითამ პასუხი ეგ არის? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა *„ვითა მამა ზეცისა იყავნ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ?“* (ქპ 1984:157).

ჰეტეროგლასიის ნიმუში უხვად გვაქვს სხვა მოთხრობებშიც. „ოთარაანთ ქვრივში“ ამ მხრივ განსაკუთრებით ჟღერადია კესოსა და არჩილის დიალოგი, მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ – უმცროსი ძმის წერილი. ეს არის ერთგვარი მონოლოგი, სადაც კონტექსტით ავტორის სათქმელი იკითხება. ბეჟანის ძმა პეტრეს მიმართავს: *„შენ მაშინ გულისტკივილით დაგვიურვე. შენმა გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელ გულამდე. კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომინადირა...*

მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე, ერთი, აქეთ პირას დავრჩი, თქვენ, მრავალნი – იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დადებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს“

(ქპ 1984:225).

ამ შემთხვევაშიც თანაბრდება ავტორისა და პერსონაჟის „ფასეული სიტყვა“. პერსონაჟი თავის სულიერ განწყობას ახასიათებს, სადაც იკითხება პიროვნებისა და საზოგადოების, გულისა და მადლის ურთიერთმიმართების საკითხი, ეს უკანასკნელი ზოგადადამიანური მოვლენაა და ბეჟანის ძმის შინაგან ბრძოლასაც ახასიათებს. არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) ამბობს: *„მადლიერება ხსოვნაა მიღებული სიკეთისა, რომელიც ქვაზე დაწერილივით ინახება გულში და სიკეთის წილ სიკეთის მიღების სურვილში გამოიხატება „მადლიერება თავმდაბალთა ხვედრია, ამაყს არ შეუძლია მადლიერი იყოს“* (არქიმანდრიტი რაფაელი 2006:176).

ამდენად, მწერალმა წერილის ფორმა მისცა პერსონაჟის მონოლოგს და გვიჩვენა, რომ დედისა და საზოგადოების გულგრილობას ბეჟანი ემსხვერპლა, მაგრამ მისი უმცროსი ძმა გადარჩა, რადგან მის ბნელ „გულში“ ჩააღწია გულკეთილობამ და ამბობს: „აქამდის კიდევ მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალიო“, თუმცა დასძენს, ისიც გაქრებაო, მაგრამ ყოველი ნიუანსით იკვეტება, რომ ნათელმიმღებლობის ეს უნარი არ მოკვდება. პეტრეს გულისხმიერებისა და უმცროსი ძმის გულისმიერი მიმღებლობის ნაყოფია მადლიერება, ეს კი ადვილად არ კვდება. (უმძიმესი ტრაგედიის

წუთებში, როცა ძმა ჩამოუხრჩვეს, მას გულმა პეტრესკენ გამოუწია და არა საავკაცოდ – შურისსაძიებლად)

ინტერესს მოკლებული არ არის, რომ სასწორზე დადებული გულის სიმბოლო უძველესი დროიდან არის ცნობილი. მკვდართა წიგნი, ეგვიპტურად „დღის შუქზე გამოსულთა წიგნი“, ასახავს გარდაცვლილის გასამართლებას ღმერთების კრებულის მიერ. ამ დროს იწონებოდა გარდაცვლილის გული ჭეშმარიტების ბუმბულთან მიმართებაში.

სახისმეტყველებით აზროვნებაში ზოგჯერ წარმართულ–ქრისტიანული ემთლიანება ერთმანეთს, იძენს არსობრივ მნიშვნელობას, საუკუნეებს გაუძლებს და მკვიდრობს მეტყველებაში. იქნებ სასწორზე დადებული გულიც ოსირისის სამყაროდან იღებს სათავეს.

ილიას მოთხრობების მიხედვით, შეიძლება ხაზი გაესვას მადლს, როგორც გულის მკვიდრ ბინადარს, გულს – უფლის საზეო ადგილს, ბიოლოგიური გულისა („სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის“) და მისტიური გულის („ღვთიური ცეცხლის“ – სიყვარულის მიმღები) არსობრივ განსხვავებას.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობების შინა არსზე (და არა მხოლოდ შინაარსზე) საუბრისას საცნაური ხდება, რომ იკვეთება ერთგვარი ჰეტეროგლასია (ბახტინი), *„პერსონაჟის ფასეული სიტყვა ავტორისეულ ფასეულ სიტყვას უთანაბრდება და ხასიათის შეცნობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს“* (ლთ 2008:45).

ეროვნულმა გმირმა მერაბ კოსტავამ ილიას რეალურ-შემოქმედებით სამყაროში გულის მისია ასე *დაახასიათა: „მე-ს გაგებასა და თვითგამოხატვაში უდავოდ თავისი ეპოქის სიმაღლეზე, ევროპული განვითარების დონეზე დგას ილია ჭავჭავაძე, მისთვის მაღალი, ადამიანური ღირსება აზრის, გრძნობისა და ნებელობის ჰარმონიაში, მათ სინთეზში მიიღწევა და თუ ჭკუა მისი წარმოდგენით უღონოს აძლიერებს და აღმართს ახვნევინებს, გული მშრალ ბელტებს ცრემლითა რწყავს ცდილობს აზრთა მდინარება მადლის გზით წარმართოს“* (კოსტავა 1991:122).

ილია მართალი თვით დაატარებდა მადლმოსილ გულს და სიტყვითაც სიცოცხლე მიანიჭა გულის დასაბამიერ მისიას, პირველქმნილ ფუნქციას, რათა ჯანსაღი, ბუნებრივი გზა ქართველი ერის თვითკმაყოფადობისა და ქრისტეს ერთგულებისა ბნელისთვის გამოეტაცნა.

ამდენად, ილია ჭავჭავაძის მოთხრობების მიხედვით, ცალკეულ შტრიხებზე ჰერმენევტიკული თვალსაზრისით დაკვირვების შესაბამისად გამოიკვეთა სათანადო დასკვნები: გული თავისი სიმბოლური

მნიშვნელობით, განხილულ შემთხვევებში, აღემატება ნივთიერს. ამ თვალსაზრისით, ის ძალიან მეტყველი და ფსიქოლოგიური დატვირთვისაა ილიას მოთხრობებში.

დასკვნა:

ა) გული ილია მართლის მოთხრობებში დატვირთულია მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციით;

ბ) საკითხის კვლევით რეალურად იკვეთება ქრისტიანული ღირებულებების ხაზგასმა ამ მხატვრული სახის საშუალებით.

გ) ერთ-ერთი უმთავრესი მხატვრული ხერხი პერსონაჟთა სულიერი სამყაროს წარმოსაჩენად არის ჰეტეროგლასია.

დ) განხილული მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის კვლევისთვის საინტერესო მხატვრულ-ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მასალას იძლევა ილია ჭავჭავაძის შემოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ასათიანი II** 2000 – ასათიანი გურამ, სათავეებთან, ტ. II, 2000;
2. **ასათიანი III** 2000 – ასათიანი გურამ, თანამდევი სულები“, ტ. III, 2000 წ.
3. **სირაძე 1987** – სირაძე რევაზ - ქართული აგიოგრაფია, 1987;
4. **ლთქ** 2010 – ლიტერატურის თეორია, ქრესტომათია, ტ. II, 2010;
5. **ლთ 2008** – ლიტერატურის თეორია – XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, 2008;
6. **ქპ** 1984 – ქართული პროზა, ტ. VIII, ილია ჭავჭავაძის მოთხრობები, 1984;
7. **ქმ 1987** – ქართული მწერლობა ტ. I, 1987;
8. **კოსტავა 1991** – მერაბ კოსტავა – „შეწყვეტილი ფიქრები“, 1991;
9. **ბაქრაძე 2004** – აკაკი ბაქრაძე ტ. I, 2004;
10. **ილია II** 2004 – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II – მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 2004;
11. **არქიმანდრიტი რაფაელი** 2006 – არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) „რისთვის გვითმენს უფალი?!“, 2006;
12. **სულხან-საბა ორბელიანი – ლექსიკონი ქართული ტ. 1**, თბილისი, 1991;
13. ღსმე, 2007.

ინტერვიუ

ელგუჯა ჯოხაძე



სამცხე-ჯავახეთში, ვალეში ცხოვრობს მეშახტის ოჯახში დაბადებული ხელოვანი, „ფესვების დიდოსტატი“ – ელგუჯა ჯოხაძე. ეს პიროვნება თავისი საქმის ერთგულია. აქვს დიდი ნებისყოფა და აგრეთვე მდიდარი ფანტაზია. ხის უბრალო ფესვიდან შეუქმნია არაერთი კარგი ნამუშევარი, რომლებიც დღეს უკვე ხელოვნების ნიმუშებია და მათი გამეორება შეუძლებელია.

ბატონი ელგუჯა, მიუხედავად შრომატევადი საქმისა, სულიერად და ფიზიკურად ისვენებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის უსაყვარლეს საქმეზე, ფესვებზე მუშაობს.

- მოდით, თქვენი დაბადების შესახებ გვითხარით.

- მე დავიბადე 1951 წლის 13 ივნისს, ქალაქ ვალეში, მეშახტის ოჯახში. დედა დიასახლისი და მამა მეშახტე იყო.

- იქნებ მოგვითხროთ თქვენს ოჯახზე.

- 19 წლის ვიყავი, როდესაც გავიცანი ერთი ლამაზი გოგო, რომელიც შემიყვარდა და დღემდე მყავს ცოლად. ჩემი მეუღლეც ხელოვანია, დაამთავრა დეკორატიული ხელოვნების ფაკულტეტი, მაგრამ თავისი ხელწერა აქვს. პორტრეტებს და პეიზაჟებს ხატავს ძირითადად, აკვარელში. ამ ბოლოს კი, ზეთშიც დაიწყო მუშაობა. ჩვენ გვყვავს ორი შვილი - ქალი და ვაჟი.

- თქვენს შვილებს თუ აქვთ სურვილი, გააგრძელონ თქვენი საქმიანობა?

- თავიდან ეტყობოდათ, რომ ნიჭი ჰქონდათ, მაგრამ გაგრძელებით არც ერთმა და არც მეორემ არ გააგრძელა. ეტყობა ცხოვრების სხვაგვარმა აღქმამ შეუშალათ ხელი, ასე რომ ვთქვათ, თანამედროვეობამ სხვა გზით წაიყვანა.

- როგორ მოხვდა თქვენი გვარი ვალეში?

- ჩვენი გვარი, მართლაც, რომ ერთადერთი გვარია ვალეში. ისტორიულად ჩვენი გვარი რაჭიდან უნდა იყოს, სოფელ ბოსანადან, მაგრამ პირადად მე, რაც ვიცი, რაჭიდან და ჭიათურიდან არიან ჩემი

მშობლები. იქიდან ვართ ჩამოსახლებული, სტალინმა რომ გადაასახლა შუააზიაში აქაური მაჰმადიანი მოსახლეობა, ჩაანაცვლა იმერეთიდან და სხვადასხვა კუთხიდან ხალხი. შემდეგ კი, მე გავჩნდი და ასე წავიდა ცხოვრება, დავმკვიდრდით ვალეში.

- როგორ დაიწყო თქვენი შემოქმედებითი გზა?

- 14 წლის ვიყავი, როდესაც ვიგრძენი, რომ შემეძლო ხატვა. ჩემი ძმა ხატავდა და მეც მივბაძე. შემდეგ კი შევთანხმდით, რომ ის აღარ დახატავდა, სამაგიეროდ, მე გავაგრძელე ეს გზა. ვხატავდი პარალელურად, ძირითადად კი, ქანდაკებას მოვკიდე ხელი. თავიდან რბილი ქვებით დავიწყე მუშაობა, სხვადასხვა ფიგურას ვაკეთებდი, შემდეგ ცოტა უფრო გავაუმჯობესე ქვაში მუშაობა და ბოლოს ისე მოხდა, რომ მოქანდაკეობა ზუსტად ამ ქვების მეშვეობით გავაგრძელე, სწავლასაც ამ მიმართულებით შევუდექი.

- როგორია თქვენი შემდგომი გზა დღემდე?

- როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 14 წლსამ ვიგრძენი, რომ ხატვა შემეძლო. პირველად 16 წლისა დედაჩემმა წამიყვანა თბილისში, ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმში, სადაც ჩავაბარე, მოვხვდი თავისუფალ მსმენელად. თავისუფალი მსმენელობა დაგეგმილი იყო იანვრამდე, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო გავანებე თავი და აღარ გავაგრძელე სწავლა, დავბრუნდი. შემდეგ მომიწია ჯარში სამსახურმა, ჯარის შემდეგ მოსე თოიძის სახელობის ტექნიკურ სასწავლებელში ჩავაბარე წარმატებით. სასწავლებელი დავამთავრე წარჩინებით, წითელ დიპლომზე. შემომთავაზეს სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებაც, მაგრამ, რადგან უკვე დაოჯახებული ვიყავი, ეტყობა, პრობლემების შემეშინდა და თავი შევიკავე აკადემიისგან. დავკმაყოფილდი მხოლოდ სასწავლებლით.

- გვიამბეთ თქვენი გამოფენების შესახებ:

- გამოფენა არაერთი მქონია. ეროვნულ გალერეაში თამარ მეფის და რუსთველის ძეგლების კონკურსებზე წარმოდგენილი იყო ჩემი ნამუშევრებიც. ახალციხეში, მაგალითად, კულტურის სახლში და სახელმწიფო თეატრში მოეწყო ჩემი გამოფენები. იმ პერიოდში, როდესაც მაია ჩიბურდანიძე იყო მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში და ეწვია ახალციხეს, მაშინ დაემთხვა ჩემი პერსონალური გამოფენაც. ამ ბოლო დროს, უკვე 10-12 წელია, ვღებულობ მონაწილეობას არტგენის ფესტივალებზე.

- რომელია თქვენი საყვარელი ნამუშევარი და რას იტყვით თქვენს შემოქმედებაზე?

- ყველა მიყვარს, მაგრამ საყვარელი ნამუშევარი ნამდვილად მაქვს, გამოვყოფდი ფესვებით შექმნილს. ყველას თავის სახელს ვარქმევ. „ნოეს კიდობანი“ ერთ-ერთი, გამორჩეული ქმნილებაა, რომელიც ფესვების საშუალებით არის გაკეთებული. ასევე ჩემთვის გამორჩეულია ძვალში შესრულებული მინიატურები, მათ შორის ყველაზე მეტად მომწონს „აკვანი“, რომელსაც თავისი შექმნის ისტორიაც აქვს: ოთხი წელი მე და ჩემს მეუღლეს შვილი არ გვყვავდა და შვილის ნატვრით შევქმენი სწორედ ეს მინიატურა. მართლაც, მალე შეგვეძინა გოგონა, ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არის განსაკუთრებული ეს ნაწარმოები ჩემთვის.

- როგორია თქვენი აზრით ხელოვნების განვითარება ამ კუთხით დღეს?

- 2004 წელს, როდესაც პირველად გამოჩნდა ხეზე შესრულებული ჩემი ნამუშევარი, საჯარო ბიბლიოთეკაში მქონდა გამოფენა, ჟურ-ნალისტმა დაბეჭდა წერილი ასეთი სათაურით: „ახალი ხელწერა ხელოვნებაში“. მე ასე მგონია, რომ ნებისმიერი ნამუშევარი, ფესვში

გაკეთებული, არის ყოველთვის ახალი. შეიძლება ითქვას, რომ ფესვების გამეორება შეუძლებელია, თითოეული ფესვი არის ორიგინალი. ფესვებზე სხვებიც მუშაობენ, როგორც გითხარით, ნიჭიერი ხალხის მეტი რა არის! ალბათ, კიდევ უფრო მეტი გამოჩნდება ამ საქმის გამგრძელებელი.

- რამ შთაგაგონათ იდეა, რომ ხის უბრალო ფესვიდან შეიძლებოდა ასეთი ნამუშევრების შექმნა?

- ეს შეკითხვა ყოველთვის აწ გარდაცვლილ მამაჩემს მახსენებს, რადგან პირველად ათასცხრაას სამოცდაჩვიდმეტ, თუ თვრამეტ წელს თბილისიდან რომ ჩამოვედი, ასეთი შემთხვევა მქონდა: მამაჩემმა სადღაც ხის კუნძი ნახა დასაჩეხად, რაც მოახერხა, მოაჩეხა ზედმეტი ნაწილები და რაც არა, მიაგდო გვერდზე. ერთ მშვენიერ დილას, რომ ავდექი, შევამჩნიე ფესვებში ადამიანის ფიგურა და გამოვთალე. აი, აქედან დაიწყო ხის ფესვზე ჩემი მუშაობა. იმ ფიგურას მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე და ბუნებრივად დავარქვი სკამი, რადგან სკამის ფორმა მივეცი. იმ ერთმა სკამმა მეორე სკამი მოითხოვა, მეორემ - მესამე. ამ სკამებმა მაგიდაც მოითხოვეს და შეიქმნა ასეთი კომპოზიცია. ბოლოს მაგიდაც გავაკეთე. რა თქმა უნდა, სიმბოლურად ჰქვიათ მათ სკამები და მაგიდა, თორემ ხელოვნების ნიმუშებია. სულ მაქვს დაახლოებით ექვსი ნამუშევარი, რადგან დიდ დროს მოითხოვს თითოეული მათგანის შექმნა. ამ ყველაფერს ნახაზით ვერ გააკეთებ, ამას უნდა ფიქრი იმაზე, თუ რის საშუალებას მოგცემს მასალა, თვით ხის ფესვები. აქამდე მოვედი ჯერ - ჯერობით და მომავალში თუ რამე პრობლემა არ შემხვდა, აუცილებლად გავაგრძელებ კიდევ. პრობლემაში ვგულისხმობ სამუშაო პირობებს და მოსალოდნელ ტრამვებს, რომელიც შეიძლებ შეგხვდეს, განსაკუთრებით ძნელია თვალების უსაფრთხოება, რადგან ხეს თავისებური მტვერი აქვს.

- ჩვენს მუზეუმში გვაქვს თქვენი ერთ-ერთი ნამუშევარი – „მყვირალობა", რომელიც გაკეთებულია ფესვებით, დაახლოებით რა დრო დაგჭირდათ მის შესაქმნელად და რამდენი სახეა წარმოდგენილი?

- ყველა ნამუშევარი საერთოდ მრავალსახოვანია, მაგრამ მყვირალობაში ალბათ ოცდათვრამეტი ფიგურა, ფრაგმენტი და დეტალია მოცემული. მყვირალობა შევქმენი ირმების გამოსახულებებიდან გამომდინარე და სწორედ ამიტომაც დავარქვი მას ეს სახელიც.

- მუშაობაში ყველაზე მეტად რა გიშლით ხელს, ან რა გახალისებთ?

ყველაზე მეტად მახალისებს და სტიმულს მაძლევს ის გამონახული დრო, რომელსაც ვუთმობ ჩემს საყვარელ საქმიანობას. ჩემთვის ხელისშემშლელია ის, რომ, ოჯახური პირობებიდან გამომდინარე,

ხშირად მიწევს გადაადგილება, მესხეთში არ ვარ ხოლმე და სულ სხვა საქმით ვკავდები.

- რა არის თქვენი შემოქმედების მთავარი მიზანი, აღწევთ თუ არა იმას, რაც გქონდათ დასახული და რას ფიქრობთ სამომავლოდ?

- მიზნის მიღწევა საერთოდ ძნელია, მაგრამ ამ ბოლო წლებში 60 წლისა რომ გავხდი, ჩვენმა ხელისუფლებამ და ხელმძღვანელობამ შეაფასა ჩემი ხელოვნებასთან დაკავშირებული საქმიანობა, წლის ღვაწლმოსილ მოქალაქედ ჩამთვალეს და მომანიჭეს ეს სახელი. მე დღეს განსაკუთრებით დიდი მადლობელი ვარ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, რომელმაც აი, ამ დონეზე დააფასა ჩემი ხელოვნება და მუზეუმის გახსნას დაუკავშირა გამოფენა.

- თქვენ ხეზე მუშაობისას იყენებთ ძირითადად კაკალის ხის ფესვებს. რა უპირატესობა აქვს კაკალს?

- კაკლის მასალა ძვირფასია და თან ფერი აქვს ძალიან ლამაზი. ვფიქრობ, რომ უფრო ლამაზი გამოდის ნამუშევარი ყოველთვის.

- ჩვენს მუზეუმში გამოფენილია, გრიგოლ ხანძთელის ძეგლის თქვენ მიერ შესრულებული ესკიზი, როგორც ვიცი, თქვენ აპირებდით საუნივერსიტეტო კონკურსში მონაწილეობას, რას იტყვით ამის შესახებ?

- ძალიან დიდი მადლობა ამ კითხვისთვის, რომელსაც ასეთ პასუხს გავცემ: აი, მე ამ მუზეუმს თამარ მეფის ძეგლის ერთ - ერთ საპრიზო ადგილზე გასული ექსპონატი გადავეცი, მე ეს მეამაყება. მე გრიგოლ ხანძთელის ძეგლი უსასყიდლოდ უნდა გამეკეთებინა. ერთ დროს უნივერსიტეტში მოღვაწეობდა პიროვნება, რომლის სახელსა და გვარს არ დავასახელებ

შეგნებულად, თვითონ მიხვდება. იგი დამპირდა, რომ შემატყობინებდა ბიენალეს (გრიგოლ ხანძთელის ძეგლისადმი მიძღვნილ მოქანდაკეთა კონკურსის) თარიღს და მეც მივიღებდი მონაწილეობას. მაგრამ შეგნებულად ამ პიროვნებამ არ შემატყობინა კონკურსის ამბავი. გრიგოლ ხანძთელის ძეგლის გამოძერწილი ესკიზი დამირჩა კონკურსში მონაწილეობის გარეშე, დღემდე ვეფერები ამ ნამუშევარს, რომელიც მოტანილი მაქვს მუზეუმში და შესაძლებელია ისიც დავუტოვო უნივერსიტეტს. მაგრამ ძალიან მწყინს, რომ ქვაში არ გავთალე ეს ესკიზი.

- გმადლობთ ინტერვიუსთვის, გისურვებთ წარმატებებს.

ინტერვიუერი მარიამ ჩიტაშვილი

სარჩევი

პოეზია
ალეკო ღონღაძე 3

პოეზია
ცირა ბარბაქაძე 11

პოეზია
ირმა შიოლაშვილი 16

ემიგრანტული პოეზია
მარი (მზევინარ) ბიბილური 19

ემიგრანტული პოეზია
ნანა ობოლაძე, საბერძნეთი 23

ემიგრანტული პოეზია
ნელი თედეიშვილი 29

მოსმენილიხ, ნანახიხ, ნაფიქრალიხ
გიზო ზარნაძე 33
კიდევ ერთხელ პეტრიაშვილის ლექსზე
მამის წერილები შვილს
შარჟები და პაროდიები

ინტერვიუ
რამაზ პატარიძე 44

პროზა
ლალი ბრეგვაძე-კახიანი 61
ხმა ანდეგრაუნდიდან

პროზა
ვასილ ბერიძე 73
თანამედროვე ცხოვრების თანამედროვე
ქართული მოგზაურობა

ჯაგახეთი
ზაირა გელაძე 84
ჩუნჩხის გზებზე

ინტერვიუ
თეა რეხვიაშვილი *88*
ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების
ცენტრი „არმაზი“

მარგმანი *95*
ოსიპ მანდელშტამი
მარინა ცვეტაევა
ბელა ახმადულინა
ევგენი ევტუშენკო
ბულატ ოკუჯავა
პაველ გრებენიუკი

მარგმანი
მარი ლუიზე კაშნიცი 1901 - 1974 *101*
ჩალის ღერო
მოჩვენებები

ირინა ჯიშკარიანი *114*
ევგენი ევტუშენკო

ინტერვიუ
ზაზა მელიქიძე *120*
კითხვები მუნიციპალიტეტის გამგებელს

ნესტან ფიფია *129*
გული - როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი
ილია ჭავჭავაძის მოთხრობებში

ინტერვიუ
ელგუჯა ჯოხაძე *139*

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com

ვასილ მამულაშვილი

ექსპრომტი „არავს“

ვინც ვაიოს ველებზეა –
პოეზიის ქარავნით,
ეს... ის „მესხი მელექსეა“ –
სხვას არ ველით არავის!..
თამარს გზაზე გაუშლია
სიყვარულის კარავი,
სხვას აქ მოსვლას დაუშლიან,
„სხვა“ არ გვინდა არავინ!
ჩვენ არა გვსურს სხვა მგოსანი,
რითმა – დაუფარავი,
თქვენ გაქვთ „ვეფხისტყაოსანი“,
წაიკითხეთ „არავიც“.
თბილი ქარი რომ ქრის ვნებით –
ეს სუნთქვაა „არავის“,
„არც არავის ვემონებით,
არც ვბატონობთ არავის!“

ISSN 2346-836X